სტუდენტის სახელმძღვანელო

დაზარალებულთან მოპყრობა

სახელმძღვანელო ქართულ ენაზე მომზადდა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ.

© „ღია საზოგადოების ინსტიტუტი.“ (OSI)
ყველა უფლება დაცულია. სახელმძღვანელო დაიბეჭდა „ღია საზოგადოების“ ინსტიტუტთან შეთანხმებით. ამ სახელმძღვანელოს ან მისი ნაწილის ნებისმიერი სახით რეპროდუცირება „ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ წერილობითი თანხმობის გარეშე აკრძალულია

მოდულის შინაარსი 4

1. პოლიციელის დაზარალებულისადმი დამოკიდებულება 4

1.1 დაზარალებულისადმი პოზიტიური დამოკიდებულება 5
1.2 ისტორიული პერსპექტივა 5
1.2.1 *დაზარალებულის როლი სისხლის სამართალში* 5
1.3 პოლიციის მიერ დაზარალებულის დახმარების მნიშვნელობა 6
1.4 კანონმდებლობა და რეგლამენტი 6
1.4.1 *საერთაშორისო სამართალი* 6
1.5 პოლიციელისა და პოლიციის დამოკიდებულება 7

2. შოკისმომგვრელი შემთხვევები 8

2.1 ინციდენტის ტიპები 9
2.1.1 *სერიოზული შემთხვევები* 9
2.1.2 *ძალადობა* 9
2.2 ვიქტიმიზაცია 9
2.2.1 *დაზარალებული და დაზარალებული მხარე* 9
2.2.2 *ემოციების წარმოშობა* 10

3. გამკლავების პროცესი 11

3.1 შოკისმომგვრელი შემთხვევების შედეგები 11
3.1.1 *განსხვავებები* 11
3.1.2 *ემოციური და ფიზიკური რეაქციები* 12
3.1.3 *მატერიალური ზარალი* 14
3.1.4 *სოციალური შედეგები* 14

3.2 გამკლავების პროცესი 15
3.2.1 *ფაზა 0: შემთხვევის მსვლელობა* 15
3.2.2 *ფაზა 1: შოკი* 16
3.2.3 *ფაზა 2: განგაში* 16
3.2.4 *ფაზა 3: ადაპტაცია* 17
3.2.5 *ფაზა 4: დასრულება* 17

3.3 განცდასთან გამკლავების შეფერხება 17
3.3.1 *მე-2 ფაზაში შეფერხება* 17
3.3.2 *მე-3 ფაზაში შეფერხება* 17
3.3.3 *სოციალური მხარდაჭერა* 18
3.3.4 *მეორადი ვიქტიმიზაცია* 18

4. პირველადი კონტაქტი 18

4.1 ესაფრთხილების უზრუნველყოფა 18
4.2 ემოციების აღიარება 19
4.3 მახე 19
4.3.1 *ემოციების იგნორირება* 19
4.3.2 *ტრიუიალური ემოციები* 19
4.3.3 *ემოციების ინტერპრეტაცია* 20
4.3.4 *დადანაშაულება* 20
4.3.5 *ზედმეტად ბევრი კითხვის დასმა* 20
4.3.6 *"შეუძლებელი" კითხვების დასმა* 20

4.3.7 *გართულებული ინფორმაციის მიწოდება* . . 20
4.3.8 *თავისუფლების შეზღუდვა/ფიზიკური კონტაქტი*. 20

5. ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲐ . 21

5.1 ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲨᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲔᲑᲘ . 21
5.2 ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ ᲮᲔᲠᲮᲔᲑᲘ 22
5.2.1 *მოსმენა* 24
5.2.2 *წარმართვა* 25
5.2.3 *რეგულირება* 26
5.2.4 *სტიმულირება* 27
5.2.5 *კონფრონტაცია* 27
5.2.6 *დაყოლიება* 28

6. ᲪᲣᲓᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ 29

6.1 ᲪᲣᲓᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲐ 29
6.1.1 *მოკლე შესავალი* 29
6.1.2 *ცუდი ამბების შეტყობინება* 30
6.1.3 *შეტყობინების მიმღების რეაქცია* 30
6.1.4 *თანაგრძნობის გამოხატვა* 30
6.1.5 *დასრულება* 30
6.2 ᲪᲣᲓᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲔᲑᲘ 31
6.2.1 *გადადება* 31
6.2.2 *„ცუდი ამბის გაუბრალოება"* 31
6.2.3 *შეტყობინების მიმღების მიტოვება* 31

7. ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲐ 31

7.1 ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘ 32
7.1.1 *პროცესუალური და სისხლის სამართლებრივი ინფორმაცია* . 32
7.1.2 *პრაქტიკული და პერსონალური დახმარება*. . . . 33
7.1.3 *პრევენცია* 33
7.2 ᲒᲐᲡᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲐᲚᲘ ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡᲐᲡ 33
7.2.1 *სასჯელთან დაკავშირებული განცხადებები* . . . 33
7.2.2 *მოლოდინი* 34
7.2.3 *ინფორმაციის დოზირება, გაგების შემოწმება* . . . 34
7.2.4 *შესაბამის დაწესებულებაში გაგზავნა* 34
7.2.5 *უარის თქმა* 35

8. ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ . 36

მოდულის შინაარსი

ამ მოდულში განხილულია მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც შეეხება პოლიციელის დაზარალებულისადმი დამოკიდებულებას. პირველი თავი მოიცავს შესავალს, სადაც განხილულია პოლიციის მიერ ზემოაღნიშნული საკითხისადმი დამოკიდებულება.

მეორე თავში მოცემულია ისეთი შემთხვევები, როდესაც. ადგილი ჰქონდა ტრავმებს და განხილულია მასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების პროცესები. ძალიან ხშირად პოლიციელები დაზარალებულს უცაბედად, შემთხვევისთანავე აწყდებიან, რის გამოც მესამე თავში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სწორედ პირველად კონტაქტს დაზარალებულსა და პოლიციელს შორის. რაც შეეხება მეოთხე თავს, იგი ეთმობა ინციდენტთან დაკავშირებულ მოხსენების შედგენას, ასევე ინფორმაციის შეგროვების ხერხებს.

უბედური შემთხვევებისა და დანაშაულების დროს პოლიციელებს ხშირად უხდებათ როგორც დაზარალებულთან, ასევე მათი ოჯახის წევრებთან ან ნათესავებთან შეხვედრა და მომხდარის შესახებ მათი ინფორმირება. აქედან გამომდინარე მეხუთე თავი შეეხება "ცუდი ამბების" შეტყობინების თემას. ბოლო თავში განხილულია ისეთი სახის ინფორმაცია, რომლის მიწოდებაც პოლიციას შეუძლია და რომელსაც ხშირად მოითხოვს დაზარალებული ან მისი ახლობლები.

ეს სახელმძღვანელო არის დამატება იმ მასალაზე, რომელიც გამოყენებულია ინსტრუქტორის მიერ, ინსტრუქციული CD-ROM მოდულის საფუძველზე.

1. პოლიციელის დაზარალებულისადმი დამოკიდებულება

ამ სახელმძღვანელოს პირველ თავში ზოგადად არის წარმოდგენილი, თუ რას ნიშნავს "დაზარალებულისადმი სწორი მოპყრობა" და მოცემულია ისტორიული პერსპექტივა დაზარალებულთან დაკავშირებით. შემდეგ განხილულია პოლიციელის დაზარალებულისადმი კონსტრუქციული მიდგომის მნიშვნელობა, ასევე, თუ რომელი იურიდიული საფუძვლებია გასათვალისწინებელი. განხილულია პოლიციის, როგორც ინდივიდის და როგორც დაწესებულების, მიდგომა.

მიზნები:

- იმის გარკვევა, თუ რა იგულისხმება დაზარალებულისადმი დამოკიდებულებაში;
- დაზარალებულის სტატუსის შესახებ მოკლე მონახაზის გაკეთება;
- იმის ახსნა, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი დაზარალებულისადმი სწორი მოპყრობა;
- "დანაშაულისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შედეგად დაზარალებულ პირთა შესახებ ძირითადი სამართლებრივი პრინციპების დეკლარაციის" დებულებების ჩამოთვლა;
- სამუშაო სიტუაციებში თითოეული პოლიციელის მიერ დაზარალებულთან დამოკიდებულებისას მისაღები სხვადასხვა პრაქტიკული ზომის ჩამოთვლა.

1.1. დაზარალებულისადმი პოზიტიური დამოკიდებულება

დაზარალებულისადმი დამოკიდებულება ნიშნავს იმას, რომ პოლიციელი გაგებით უნდა მიუდგეს მას და გაითვალისწინოს მისი ემოციები. მაგალითად, პოლიციელმა ფრთხილად და მშვიდად უნდა გააკეთოს მოხსენება. მოხსენების შემდეგ მან დაზარალებული უნდა უზრუნველყოს ინფორმაციით ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება შემდგომ ზომებს და კომპენსაციისა და მათი მდგომარეობის აღდგენის (რესტიტუციის) შესაძლებლობებს.

რა თქმა უნდა, შეზღუდულია ის საშუალებები, რომლითაც პოლიციელმა დაზარალებულის მდგომარეობის გაუმჯობესება უნდა უზრუნველყოს. დაზარალებულისადმი დამოკიდებულება ნამდვილად არ ნიშნავს იმას, რომ პოლიციელმა ექიმის როლი უნდა შეასრულოს. თუმცა, ამასთან დაზარალებულის შესაბამის დაწესებულებაში მიყვანა პოლიციელის მოვალეობაა.

1.2. ისტორიული პერსპექტივა

1.2.1. დაზარალებულის როლი სისხლის სამართალში

მოვალეობის შესრულებისას პოლიციელმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს დამნაშავეს. ხშირად დაზარალებული მოწმის ფუნქციას ასრულებს სისხლის სამართლის პროცესში.

დაზარალებულის როლი წარსულში

ისტორიის მანძილზე ადამიანთა შორის არსებული კონფლიქტური სიტუაციების დროს, როდესაც ადგილი ჰქონდა უფლებების დარღვევას, უპასუხოდ და რეაგირების გარეშე არავინ ტოვებდა. თავიდან ეს პასუხი კოლექტიური სახის იყო. როდესაც დანაშაული ხდებოდა რომელიმე ოჯახის ერთ-ერთი წევრის წინააღმდეგ, დაპირისპირებაში მთელი ოჯახი ერთვებოდა. ამ ოჯახს შეეძლო შური ეძია, რასაც ხშირ შემთხვევაში კონფლიქტის დაუსრულებელ სისხლისღვრაში გადაზრდა მოყვებოდა ხოლმე. მოგვიანებით ამგვარი პრაქტიკა შეიცვალა ე.წ. კომპენსაციის სისტემით. კოლექტიური შურისძიება დასრულდა და გაჩნდა ეკონომიკურად ღირებული ნივთებით კომპენსაციის სისტემა (იარაღი, საკვები, პირუტყვი და სხვ.). კომპენსაციის სახისა და რაოდენობის განსაზღვრა საქმის კერძო განხილვა-გადაწყვეტას ეფუძნებოდა. აზრთა სხვადასხვაობა წყდებოდა მედიატორის საშუალებით, რომელთაც საზოგადოების გავლენიანი პირები წარმოადგენდნენ. კომპენსაცია მთლიანად დაზარალებულისთვის იყო განკუთვნილი.

მე-17 საუკუნიდან მოყოლებული, ზემოთ ხსენებულმა გავლენიანმა პირებმა უფრო მეტი გავლენა მოიპოვეს ვინაიდან ისინი საზოგადოების სახელით ადგენდნენ გაცემული კომპენსაციის ხარისხს. კომპენსაციის რაოდენობის დადგენა კანონის საფუძველზე ხდებოდა, რადგან უფლების დარღვევის შედეგად არა მხოლოდ უშუალოდ დაზარალებული, არამედ მთელი საზოგადოება დაზარალებულ სუბიექტად განიხილებოდა. ამიტომ კომპენსაციის ნაწილს აძლევდნენ მეთაურს ან მეფეს. მოგვიანებით დაზარალებულის მაგივრად კომპენსაცია მთლიანად ცენტრალურ ხელისუფლებას გადაეცემოდა. ამრიგად, დაზარალებულის როლი სისხლის სამართალში შემცირდა და გაუთანაბრდა მოწმის სტატუსს. სისხლის სამართლის საქმეების მხარეებად ხელისუფლება

და ბრალდებული განიხილებოდა. ყოველივე ამის შედეგად დანაშაულს უდგებოდნენ არა. როგორც მოქალაქის უფლებების, არამედ როგორც კანონის დარღვევას.

დაზარალებულის როლი დღეს

ბოლო დრომდე დახმარების აღმოჩენას პოლიცია განიხილავდა, როგორც სიმშვიდის შენარჩუნების საშუალებას. სოციალური დახმარებით უზრუნველყოფა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ხდებოდა. პოლიციის დღევანდელი წარმოდგენა მისი ფუნქციების შესახებ სხვაგვარია. მოქალაქე მათთვის უფრო მეტია, ვიდრე კლიენტი და ურთიერთკავშირი პოლიციასა და საზოგადოებას შორის უფრო მნიშვნელოვანი გახდა. თანამედროვე პოლიციის საქმიანობაში მეტი ყურადღება ექცევა პოლიციის მიერ დახმარების აღმოჩენას. ეს ერთის მხრივ იმითაცაა განპირობებული, რომ დაზარალებული იმ კატეგორიის ადამიანებს მიეკუთვნება, რომელთაც ყველაზე მეტად ესაჭიროებათ დახმარება. ამასთან ერთად. პოლიცია და საზოგადოება მეტ მნიშვნელობას ანიჭებს დაზარალებულის ადგილს სისხლის სამართალში. ბევრი უსამართლოდ თელის იმ ფაქტს, რომ დაზარალებული არ ერევა სასამართლო პროცესებში, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ მან განიცადა ზარალი ან ზიანი: დანაშაული ხომ უშუალოდ დაზარალებულის წინააღმდეგ განხორციელდა.

1.3 პოლიციის მიერ დაზარალებულის დახმარების მნიშვნელობა

დაზარალებულისადმი სათანადო ყურადღების გამოჩენით პოლიცია საზოგადოებას უსაფრთხოების გრძნობას უჩენს. ამ გზით ჩვეულებრივ მოქალაქეებს ექმნებათ ისეთი განწყობა, რომ პოლიცია მზად არის, აქტიურად იმუშაოს მათთვის. ამის შედეგად მოქალაქეებს მეტი სურვილი აქვთ, დაეხმარონ პოლიციას გამოძიებაში (მაგ. შეატყობინონ დანაშაულის შესახებ). ასევე იზრდება ხალხის რწმენა პოლიციელებისადმი. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოქალაქეებისა და პოლიციის თანამშრომლობის გაუმჯობესებას. ამრიგად, ყურადღებიანი დამოკიდებულება დაზარალებულისადმი უზრუნველყოფს გამოძიების მაღალ ხარისხსა და პოლიციის იმიჯის გაუმჯობესებას.

1.4 კანონმდებლობა და რეგლამენტი

1.4.1 საერთაშორისო სამართალი

ადამიანის უფლება არის ის კანონიერი უფლება, რომელიც გააჩნია ყველა ადამიანს. ეს უფლებები საყოველთაოა და ერცელდება ყველაზე, მიუხედავად მატერიალური მდგომარეობისა თუ სქესისა. ადამიანის უფლებები შესაძლოა დაირღვევს, მაგრამ მისი წართმევა შეუძლებელია.

ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით უამრავი ხელშეკრულების გარდა, არსებობს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო და ეროვნული დაძაბულობების, არეულობების ან შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევებში. ჰუმანიტარული სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების პატივისცემა, დაძაბულ სიტუაციებში, არეულობებსა თუ შეიარაღებულ კონფლიქტებში დაზარალებულთა დაცვის, მზრუნველობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით.

დაზარალებულის უსაფრთხოებისა და კომპენსაციის თვალსაზრისით ორი პრინციპია მნიშვნელოვანი:

- დაზარალებულს აქვს უფლება, მოექცნენ თანაგრძნობით და პატივისცემით;
- დაზარალებულს აქვს უფლება, მიიღოს კომპენსაცია იმ ზიანისთვის, რომელიც მან განიცადა.

1985 წელს გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო "დანაშაულისა და ძალადობის მსხვერპლის შესახებ ძირითადი იურიდიული პრინციპების დეკლარაცია", რომელიც მოიცავს დანაშაულისა და ძალადობის დაზარალებულთან მოპყრობის ძირითად სტანდარტებს. მაგალითად, სასამართლო და ადმინისტრაციულ პროცედურებში დაშვებას, ინფორმაციისა და სამართლიან მოპყრობის უფლებას, მათი აზრების გათვალისწინებას, მათ კომპენსაციას.

ამ დეკლარაციის ძირითადი პრინციპებია:

- დანაშაულის, ძალადობისა და ადამიანის უფლებების დარღვევის ყველა მსხვერპლს მოექცნენ თანაგრძნობითა და პატივისცემით;
- მსხვერპლს უნდა შეეძლოს მართლმსაჯულების მექანიზმებში მონაწილეობა და ჰქონდეს სათანადო კომპენსაციის უფლება;
- კომპენსაციის პროცედურა უნდა იყოს სწრაფი, სამართლიანი, იაფი და ხელმისაწვდომი;
- მსხვერპლს უნდა განემარტოს მისი უფლებების შესახებ კომპენსაციისა და დაცვასთან დაკავშირებით;
- მსხვერპლს უნდა აღმოეჩინოს ყველა საჭირო, იურიდიული, მატერიალური, ფსიქოლოგიური, სოციალური დახმარება და უნდა ეცნობოს ყველა ამ დახმარების შესაძლებლობის შესახებ;
- დაზარალებულს უნდა ეცნობოს სამართალწარმოებაში მათი როლის შესახებ, სამართალწარმოების ფარგლების, ხანგრძლივობისა და თანმიმდევრობის შესახებ, ასევე მათი საქმეების განხილვის განრიგის შესახებ.

15 პოლიციელისა და პოლიციის დამოკიდებულება

დაზარალებულთან ეფექტური დამოკიდებულების მიზნით მნიშვნელოვანია, რომ პოლიციელს გააჩნდეს საკმარისი ცოდნა ასეთი მიდგომისა და შესაბამისი იურიდიული პირობების შესახებ. დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიციელის საკუთარი სამუშაოსადმი სწორ მიდგომას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიციელის მიერ დახმარების სურვილს. პოლიციელი, რომელიც არასწორად თვლის, რომ "დაზარალებულისადმი ზრუნვა მისი საქმე არ არის", ვერ შეძლებს ამ მოვალეობის სათანადოდ შესრულებას.

დაზარალებულის დახმარება არაა მხოლოდ ერთი პოლიციელის პასუხისმგებლობაა. დაზარალებულზე ორიენტირებული დამოკიდებულება პოლიციელისთვის მხოლოდ რამდენიმე უნარ-ჩვევის სწავლებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. დაზარალებულზე ზრუნვა პოლიციის მთელი დაწესებულების მოვალეობა უნდა იყოს.

გაერთიანებული ერების 1997 წლის "ადამიანის უფლებებისა და კანონის დაცვის" სახელმძღვანელო და ასევე "ადამიანის უფლებების სწავლება

პოლიციელებისთვის" სახელმძღვანელო (მე-5 გამოშვებები) მოიცავენ პრაქტიკულ ზომებს საერთაშორისო სტანდარტების განხორციელების შესახებ. ეს ზომებია:

- ყველა დაზარალებულს გარკვევით და გასაგებ ენაზე ეცნობოს შესაძლო იურიდიული, მატერიალური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარების შესახებ. მისი სურვილის შემთხვევაში იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ასეთი დახმარებით.
- პოლიციელს ხელთ უნდა ჰქონდეს დახმარებათა ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დაზარალებულისთვის შესაძლო დახმარების შესახებ.
- დაზარალებულს მშვიდად უნდა აეხსნას მისი უფლებების, მისი როლის შესახებ სამართალწარმოებაში, ამ სასამართლო პროცესების ფარგლების, ხანგრძლივობისა და თანმიმდევრობის შესახებ, ასევე მისი საქმესთან დაკავშირებული პროცედურების განრიგის შესახებ.
- დაზარალებული უზრუნველყოფილი იყოს სამედიცინო დაწესებულებაში ან მის საცხოვრებელ სახლში გადაყვანით, სადაც უნდა შემოწმდეს შენობებისა და მიმდებარე ტერიტორიის უსაფრთხოება.
- პოლიციელები უნდა ჩაეწერონ დაზარალებულის დახმარების ტრენინგზე და ამის შესახებ კოლეგებსაც აცნობონ.
- აკეთონ ჩანაწერები დაზარალებულის უსაფრთხოებაზე, დაიცვან მისი კონფიდენციალურობა. აცნობონ დაზარალებულს შემდგომი ზომების შესახებ.
- აუცილებელი პროცედურების ჩატარების შემდეგ შეძლებისდაგვარად დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს დაზარალებულს ყველა აღმოჩენილი ნივთი.

2. შოკისმომგვრელი შემთხვევები

პოლიციის თანამშრომლები რეგულარულად აწყდებიან დანაშაულისა თუ საგზაო შემთხვევის მსხვეპლს. ასეთ შოკისმომგვრელ სიტუაციებში დაზარალებულთან (სიტუაციებში, როდესაც მსხვერპლი შოკირებულ მდგომარეობაშია) სწორად მოპყრობის მიზნით ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ პოლიციელმა იცოდეს და გაითვალისწინოს, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ასეთ მდგომარეობას.

ამ თავში მოცემულია იმ შემთხვევების მიმოხილვა, როდესაც ადგილი ჰქონდა ტრავმებს. ასევე განიხილება, თუ რას ნიშნავს, იყო დაზარალებული.
ამგვარი შემთხვევების შედეგები (ხშირად სერიოზული), რომლებიც თავს იჩენს როგორც მოკლე, ისე ხანგრძლივ პერიოდში, განხილული იქნება მე-3 თავში, სადაც ასევე აღწერილი იქნება ასეთ შემთხვევებში შექმნილი სიტუაციისადმი გამკლავების პროცესი.

მიზნები:

- დაასახელეთ ხუთი სხვადასხვა ტიპის ინციდენტი;
- ახსენით ძირითადი განსხვავება დაზარალებულსა და დაზარალებულ მხარეს შორის;
- დაასახელეთ სამი ხერხი, რომლის საშუალებითაც ადამიანები ცდილობენ, ფსიქოლოგიურად მიუდგნენ დანაშაულის არსებობის ფაქტს.

2.1 ინციდენტთა ტიპები

ადამიანი შეიძლება უამრავი სხვადასხვა ტიპის შემთხვევის დაზარალებული გახდეს. ზოგადად თუ ვიტყვით, არსებობს ორი ტიპის ინციდენტი: სერიოზული შემთხვევები და ძალადობა. სწორედ ეს ორი შემთხვევაა აღწერილი ქვემოთ.

2.1.1 სერიოზული შემთხვევები

ავტოსაგზაო შემთხვევები

სერიოზული ავტოსაგზაო შემთხვევებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს გზებზე და მაგისტრალებზე, რომლის დროსაც ადამიანები იღებენ სერიოზულ დაზიანებებს, იმსხვრევა მანქანები, ზოგჯერ კი ხდება ადამიანთა დაღუპვაც.

უბედური შემთხვევა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას

უბედური შემთხვევა შეიძლება ყველგან მოხდეს, მათ შორის სამუშაო ადგილზეც. თანამშრომლები ხშირად იღებენ დაზიანებებს მანქანებთან ან სხვადასხვა ხელსაწყოებთან მუშაობისას, მათ შეიძლება დაეცეს რაიმე საგანი და მიაყენოს ზიანი. ამგვარ შემთხვევებს შეიძლება მოჰყვეს სერიოზული დაშავება ან გარდაცვალება.

სხვა უბედური შემთხვევები

ბევრი უბედური შემთხვევა ხდება სახლის გარემოში. მაგ: ბავშვები შეიძლება დაშავდნენ თამაშისას, ადამიანები შეიძლება ჩამოვარდნენ კიბიდან ღებვის ან სხვა საქმის შესრულების დროს. ასეთი შემთხვევები შეიძლება ასევე ჩაითვალოს უბედურ შემთხვევებად.

2.1.2. ძალადობა

ფიზიკური ძალადობა

ფიზიკური ძალადობა ძალადობის ყველაზე გავრცელებული სახეა. სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ამ კატეგორიის ძალადობას. სექსუალური დანაშაულიც განიხილება როგორც ფიზიკური ძალადობის ერთ-ერთი ფორმა.

სიტყვიერი და ემოციური ძალადობა

ძალადობა ასევე მოიცავს ისეთ ინციდენტებს, რომლებიც შეეხება სიტყვიერ ძალადობას: ყვირილს, შეურაცხყოფას. ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ემოციური ფორმითაც. მაგალითად: ფსიქოლოგიური ზეწოლის გამოყენება, ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მუქარა.

2.2 ვიქტიმიზაცია

2.2.1 დაზარალებული და დაზარალებული მხარე

პრაქტიკაში სხვადასხვა ტერმინი გამოიყენება იმ პირებთან მიმართებაში, რომელთა წინააღმდეგაც განხორციელდა დანაშაული. ტერმინები, რომლებიც რეგულარულად გამოიყენება, არის: "დაზარალებული მხარე" და "დაზარალებული/მსხვერპლი". დაზარალებული მხარე ხშირად ამავე დროს

დანაშაულის მსხვერპლიცაა და პირიქით. მაგრამ ეს ყოველთვის ასე შეიძლება არც იყოს. არის თუ არა ადამიანი დანაშაულის მსხვერპლი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად თვლის თავს მსხვერპლად. დაზარალებული მხარე არის ის პირი, რომელმაც დანაშაულის შედეგად განიცადა (მატერიალური) ზარალი. აბრიგად, შესაძლებელია იყო დაზარალებული, დაზარალებული მხარის არარსებობის შემთხვევაშიც, მაგალითად: ქურდობის მცდელობის ან მუქარის შემთხვევაში. ადამიანი ასევე შეიძლება იყოს დაზარალებული მხარე მაშინაც, როდესაც არ თვლის თავს დაზარალებულად.

2.2.2 ემოციების წარმოშობა

ადამიანები არ ცხოვრობენ იზოლირებულად, მაგრამ გარკვეულწილად ქმნიან დიდსა თუ პატარა სოციალურ ჯგუფებს. მათ უწევთ სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, უნდათ მათ ეს თუ არა. სოციალური ქცევა საჭიროა სხვებთან საზოგადოების შექმნის მიზნით. სოციალური ქმედება უმეტესად ემყარება შეთანხმებებს: სოციალურ ხელშეკრულებებს. ადამიანს უნდა შეეძლოს სხვა ადამიანის ნდობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქუჩაში სიარულიც კი შეუძლებელი იქნებოდა. ფსიქოლოგიაში ამას სამართლიანი საზოგადოებისადმი რწმენა ეწოდება. დანაშაული კი განისაზღვრება, როგორც სოციალური ხელშეკრულების დარღვევა.

დანაშაულს ხშირად მოჰყვება ემოციური კონფლიქტი. იმისთვის, რომ იცხოვრო, საზოგადოების წევრები უნდა ენდობოდნენ ერთმანეთს. თუმცა, ყოველდღიური ფაქტები გვიჩვენებს, რომ ყველას ვერ ენდობი. ადამიანები ამ კონფლიქტის მოგვარებას სხვადასხვა გზით ცდილობენ:

1. ზოგი ამჯობინებს ისწავლოს იმ ეჭვით ცხოვრება, რომ ყველას ვერ ენდობი. ამასთან, ადამიანები იღებენ იმ ფაქტის არსებობას, რომ ისინი თავის დაცვას 100%-ით მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ შეძლებენ;
2. უნდა ჩათვალო, რომ ის პირები, რომლებსაც ვერ ენდობი, არაორდინალურები არიან: ისინი არა ჩვეულებრივი ინდივიდები, არამედ კრიმინალები არიან. ადამიანები, რომლებიც ასეთ მიდგომას ემხრობიან მსოფლიოს ორ - "კარგ" და "ცუდ" ნაწილებად ყოფენ. მათი აზრით მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, ის რომ "კარგი" "ცუდისგან" დაიცვას.
3. უნდა ჩათვალო, რომ დაზარალებული არ შეიძლება იყოს ყველა, არამედ ის მიეკუთვნება გარკვეული ტიპის ადამიანთა ჯგუფს, რომელმაც არასათანადოდ დაიცვა თავი, გაუთვალისწინებელი რისკი გასწია ან ზედმეტად დაუდევრად ზრუნავდა საკუთარ თავზე ("შეიძლება ამის მიზეზი არსებობდეს..."). ამ ფენომენს ზოგჯერ ვიქტიმიზაციას უწოდებენ: ზოგიერთ ადამიანს გააჩნია ისეთი თვისებები, რის გამოც ალბათობა იმისა, რომ იგი დანაშაულის მსხვერპლი გახდეს საკმაოდ რეალურია. საზოგადოების მხრიდან ამგვარი განწყობა განსაკუთრებით დამახასიათებელია სექსუალური დანაშაულების მსხვეპლთა მიმართ. ხალხი ხშირად ამბობს: "მან თვითონ დაიმართა ეს".

დასახელებულ განწყობათაგან ყველაზე გავრცელებული მე-2 და მე-3 შემთხვევებია. ადამიანების უმრავლესობა ვარაუდობს, რომ დანაშაული მას არ შეეხება და ცხოვრობს დეევიზით: "ეს მე არასოდეს დამემართება". ამ გზით ისინი ინარჩუნებენ თავიანთ რწმენას სამართლიანი სამყაროსადმი. მაგრამ თუ ისინი დანაშაულის მსხვერპლნი გახდებიან, ეს მათთვის შოკისმომგერელი იქნება. მათი რწმენა საკუთარი თავისადმი და სამყაროსადმი, რომელშიც ისინი ცხოვრობენ

აზრს კარგავს. ამდენად, ნდობის დაკარგვა ხშირ შემთხვევებში ყველაზე სერიოზული შედეგია რასაც დანაშაულის მსხვერპლი განიცდის. ეს ძირითადად ეხებათ სექსუალური დანაშაულის მსხვერპლთ. როდესაც გაუპატიურება ხდება დაზარალებულის ნაცნობის მიერ, ამ ადამიანს ძალიან დიდი დრო სჭირდება, რათა აღიდგინოს ნდობა საზოგადოებისადმი. თუ მას პოლიცია კარგად მოექცევა, იგი პოლიციის თანამშრომლებს თავის "მოკავშირედ" ჩათვლის და ეს დაეხმარება მას რწმენის რაღაც დონეზე მაინც აღდგენაში.

3. გამკლავების პროცესი

შოკის მომგვრელი შემთხვევები ადამიანს კონცენტრაციის უნარს უკარგავს. განსაკუთრებით მათ, ვისაც ვერ წარმოუდგენია ეს საკუთარ თავზე. პოლიციელები, რომლებიც ხდებიან დანაშაულის დაზარალებული პირად ცხოვრებაში (მაგალითად: ქურდობა) ან სამსახურში (მაგალითად: დაუმორჩილებელი ბრბოს მართვა, სროლის ინციდენტი, სერიოზული უბედური შემთხვევები), შოკირებულები არიან ხოლმე საკუთარი რეაქციებით.

ამ თავში განიხილება ტრავმატული შემთხვევების შესაძლო ემოციური და ფიზიკური შედეგები, ასევე მათი მატერიალური და სოციალური შედეგები. შესაბამისად, ხაზგასმულია მათი გამკლავების პროცესები და ახსნილია ტერმინი "შეფერხებული გამკლავება". გამკლავების პროცესის ცოდნა პოლიციელს ეხმარება იმის ამოცნობაში, თუ პროცესის რომელ ფაზაშია დაზარალებული, რომელთანაც მას უხდება ურთიერთობა, და ხელს უწყობს პოლიციელის მხრიდან სათანადო რეაქციას.

მიზნები:

- დაასახელეთ სხვადასხვა ემოციური რეაქცია
- მიუთითეთ, როგორ ხდება ამ რეაქციების აღიარება
- აღწერეთ დაზარალებულისთვის შესაძლო სოციალური შედეგები
- განსაზღვრეთ გამკლავების პროცესის ფაზა
- აღწერეთ, რომელი ქმედებაა ტიპიური თითოეული ფაზისთვის
- რა იგულისხმება შეფერხებულ გამკლავებაში
- განსაზღვრეთ, როგორ წარმოიშობა შეფერხებული გამკლავება

3.1 შოკისმომგვრელი შემთხვევების შედეგები

3.1.1 განსხვავებები

უბედური შემთხვევები და ძალადობის შემთხვევები შოკისმომგვრელია მათი უმრავლესობისთვის, ვინც განიცადა ისინი. ეს ხშირად ეხება არა მარტო დაზარალებულს, არამედ მოწმეებს და სხვა პირებს, რომლებიც გარკვეული დოზით მონაწილეობდნენ ამ შემთხვევებში (ოჯახის წევრები, უახლოესი ნათესავები, თანამშრომლები). ზოგიერთი ასეთი შემთხვევისას ადგილი აქვს ტრავმებს, დაზიანებებს, რამაც ხანგრძლივად და ნეგატიურად იმოქმედა დაზარალებულისა თუ სხვა ზემოთხსენებული პირის კეთილდღეობაზე. ხანგრძლივია თუ მუდმივი დაზარალებულის ტრავმა, დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე. ადამიანები შემთხვევებს სხვადასხვაგვარად განიცდიან: ერთი და იმავე შემთხვევამ შეიძლება ერთ ადამიანზე ძლიერად იმოქმედოს, ხოლო

მეორეზე ნაკლებად. ადამიანები ასევე განსხვავდებიან იმითაც, თუ რამდენი დრო სჭირდებათ მომხდარის გაანალიზებისა და განცდებთან გამკლავებისთვის.

3.1.2 ემოციური და ფიზიკური რეაქციები

შოკი ინციდენტისთანავე წარმოიშობა. გვიან ხდება იმის გარკვევა, თუ რა მოხდა. შოკირებული მდგომარეობა ადამიანების დაბნეულობას, ემოციურ და ფიზიკურ სიმპტომებს იწვევს. ასეთი სიმპტომები შეიძლება განიცადოს ადამიანმა პირად ცხოვრებაში ან სამსახურში (მაგალითად: პროდუქტიულობის გაუარესება, ცუდი სამუშაო ურთიერთობები).

ტრავმული სიტუაციების შედეგად ემოციური და ფიზიკური რეაქციები შეიძლება იყოს ერთმანეთისგან განსხვავებული. ზოგს შეიძლება ჰქონდეს ყველა რეაქცია ერთად, მაშინ როცა სხვები მხოლოდ მას ნაწილობრივ განიცდიან.

ემოციური რეაქციები

უცნობი ემოციები

ადამიანის რეაქცია შოკის მომგვრელი შემთხვევისას ზოგჯერ თვით ამ ადამიანისთვისაც მოულოდნელია. ძლიერი ემოციის გამო ადამიანი შოკირებულია. ზოგჯერ კი შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეს არანაირი ემოცია. ემოციური "სიმუნჯე" დგება მაშინ, როდესაც ადამიანი უარყოფს შემთხვევის შედეგს. ამ ადამიანზე უკვე აღარაფერი მოახდენს ეფექტს.

ემოციების მოჭარბება (ისეთი შემთხვევებისას, რომელსაც ჩვეულებრივ არ უნდა მოჰყვეს ძლიერი რეაქცია) ხდება მაშინ, როდესაც ადამიანი ვერ აკონტროლებს თავის ემოციებს. გადაჭარბებული ემოცია ასევე გამოიხატება გაღიზიანებითა და აგრესიით. ადამიანის ემოციების სიმრავლე და ცვალებადობა ხშირად ძნელი გასაგებია მისი ახლობლებისთვის, რომლებსაც იგი ასეთ მდგომარეობაში არასოდეს უნახავთ.

დაუცველობა და უძლურება

ადამიანის თავდაჯერებულობა, რომელიც მას შოკის მომგვრელი შემთხვევის დადგომამდე ჰქონდა, გაქრა. ასევე გაქრა ყოველდღიური უსაფრთხოება. შოკის მომგვრელი შემთხვევის შედეგად ბევრი ადამიანი უძლური გახდა, მათ აღარ შეუძლიათ სიტუაციის მართვა. ასეთი გრძნობები უჩნდებათ იმ ადამიანებს, რომლებმაც უცაბედად განიცადეს ასეთი შემთხვევები, მათ არ ჰქონდათ სიტუაციისთვის ფსიქოლოგიური მომზადების დრო. ეს ადამიანი თვლის, რომ ის სხვების შემწეობაზეა დამოკიდებული, რის გამოც იგი თავს სუსტ პიროვნებად თვლის. უკვე იგი თავდაჯერებული პიროვნებიდან "დაზარალებულად" გადაიქცა და სამყაროს ახლა უკვე სხვაგვარად უყურებს.

ჰიპერ-აღგზნებადობა და აღელვება

ადამიანი ხდება ზედმეტად მგრძნობიარე და ნერვიული ("ასეთი რამ შეიძლება ნებისმიერ დროს მოხდეს"). იგი უკიდურეს ნერვულ დაძაბულობას განიცდის და ადვილად ღიზიანდება. მისი რეაქცია იმ მოვლენებისადმი, რომლებიც ახსენებენ მას განცდილ შოკის მომგვრელ ინციდენტს, კანკალით გამოიხატება. ყოველივე ამის შედეგია ჰიპერ-აღგზნება. ყველა თანამშრომელს ეჭვის თვალით უყურებს

და მისი აზრით, ყველაში იმალება აგრესიული და სახიფათო პიროვნება. ეს ადამიანი ყველგან და ყოველთვის საფრთხეს ხედავს. "გამოცდილება ამტკიცებს, რომ შეუძლებელია იყო ფრთხილი, სანამ გაიგებ, რომ რაღაც ცუდი ხდება".

შიში

ზოგადად რომ ვთქვათ, შიში შეიძლება თან სდევდეს შემთხვევას, ან "ბედს". ჩნდება დაუცველობის გრძნობა. ეს გრძნობები შეიძლება იყოს მიმართული გარკვეულ ფენომენზე, მაგრამ ასევე შეიძლება იყოს გაურკვეველი და ამოუცნობი: ადამიანს ეშინია, მაგრამ ზუსტად არ იცის, რისი ეშინია.

სიბრაზე და დანაშაულის გრძნობა

სიბრაზე კიდევ ერთი ემოციაა, რომელიც შედეგად მოჰყვება შემთხვევას. ეს სიბრაზე ხშირად მიმართულია დამნაშავის წინააღმდეგ, რომელსაც არ უნდა ჩაედინა დანაშაული. ადამიანს შესაძლოა გაუჩნდეს სიბრაზის გრძნობა ზოგადად სამყაროს მიმართ, რომ ასეთი უსამართლობა მოხდა. ამასთან ერთად, ადამიანი შეიძლება იყოს გაბრაზებული საკუთარ თავზე, იმ მიზეზით, რომ მან ვერ შეძლო მომხდარი შემთხვევის თავიდან აცილება. ადამიანებს ზოგჯერ სჭირდებათ გარკვეული ახსნა-განმარტებანი ინციდენტთან დაკავშირებით, რათა მათ სწორად გაანალიზონ იგი. საკუთარი თავის დადანაშაულებით ("მე შემეძლო, თავიდან ამეცილებინა ინციდენტი"), ისინი თითქოს პოულობენ მომხდარის მიზეზს იმასთან დაკავშირებით თუ რატომ მოხდა ესა თუ ის შემთხვევა, ან რატომ მოხდა ამა თუ იმ ფორმით. მას ხშირად მოსდევს საკუთარი თავის დადანაშაულება და დანაშაულის შეგრძნება.

სიმარტოვე

მიუხედავად სხვების მხარდაჭერისა, ტრავმის გამომწვევი შემთხვევების მართვა ხდება იზოლირებულად. ადამიანი თავს გრძნობს ეულად, თითქოს სინამდვილეში არავის ესმის, თუ რას განიცდის იგი. ამასთან, დაზარალებულს ყოველთვის არ შეუძლია, გამოხატოს თავისი ემოციები, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს მისი იზოლაციის გრძნობას.

დაბნეულობა

ზემოთხსენებულმა შემთხვევამ შეიძლება შეარყიოს ადამიანის ცხოვრება. "სამართლიანი სამყაროსადმი" რწმენა და ფიქრი "რომ მე ეს არასოდეს დამემართება", შეიძლება უსარგებლო და მცდარი აღმოჩნდეს. დაზარალებულს საკუთარი და გარშემომყოფთა რეაქციები უცნაურად ეჩვენება და ეცვლება წარმოდგენა სამყაროს შესახებ. ყოველივე ამას მოჰყვება დაბნეულობის გრძნობა.

მახსოვრობასა და კონცენტრაციასთან დაკავშირებული დარღვევები

ტრავმის გამომწვევი შემთხვევებისას წარმოიქმნება ბევრი ემოციური პროცესი. ბევრი რამ გროვდება მეხსიერებაში. მეხსიერება ზეწოლას განიცდის. სურათები, რომლებმაც "თვალწინ გაირბინეს" წინ გამოდის. ყველა სახის ფიქრი თავს იყრის ტვინში და შემდეგ ქრება. ყოველივე ამის შედეგი ის არის, რომ მეხსიერების ფუნქციონირება არ არის ოპტიმალური და ადამიანს შესუსტებული აქვს კონცენტრაციის უნარი.

შესუსტებული აქტივობა

შესუსტებული აქტივობა შეიძლება დაზარალებულს გაუჩნდეს არა მარტო სხვების მიმართ, არამედ იმ საქმიანობასთან მიმართებაში, რომლებიც ადრე მისთვის მნიშვნელოვანი იყო. ის ახლა დაკავებულია სულ სხვა საკითხებით, ამიტომ (დროებით) არ შეუძლია ზემოთხსენებულ საქმიანობაზე ფიქრი.

ფიზიკური შედეგები

დანაშაულმა და უბედურმა შემთხვევამ შეიძლება გამოიწვიოს ძლიერი თუ სუსტი დაზიანებები. დაზარალებულს შეიძლება გაუჩნდეს ნაიარევი ან გახდეს დროებით/მუდმივად შრომისუუნარო. ამიტომ მისთვის საჭიროა რეაბილიტაცია.

პირდაპირი ფიზიკური დაზიანებების გარდა, ინციდენტსა და მასთან გამკლავების პროცესს შეიძლება მოჰყვეს არაპირდაპირი ფიზიკური შედეგებიც. შოკის მომგვრელი შემთხვევა წარმოშობს დაძაბულობას და შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური სიმპტომები. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მაგალითი:

- დაძაბულობით გამოწვეული თავის, მხრების, ზურგის, კისრის ტკივილი
- ტირილი
- საკითხის გადამეტებული განხილვა
- კანკალი
- სწრაფი დაღლილობა
- ძილთან დაკავშირებული პრობლემები (უძილობა, ზედმეტი ძილი, ღამის კოშმარები)
- მუცლის/კუჭ-ნაწლავის დაავადებები
- სექსუალური პრობლემები
- ადრენალინის დონის მომატება.

3.1.3 მატერიალური ზარალი

ქვემოთ ჩამოთვლილია მატერიალური ზარალის მაგალითები:

- მოვლისა და მკურნალობის ხარჯები
- შემოსავლის დაკარგვა
- ფსიქოლოგიური დახმარებისა და იურიდიული ხარჯები
- დაცვის ხარჯები
- ქურდობის შედეგად დაკარგული ფული, ფასიანი ქაღალდები და სხვა ფასეულობები
- სახლისადმი, საყოფაცხოვრებო ნივთებისადმი მიყენებული ზიანი
- მანქანის დაზიანების ხარჯები
- ყოფილი საქმიანობის უუნარობის გამო ახალი საქმიანობის შესწავლის/ ახალი პროფესიის შესწავლის ხარჯები
- სვსხთან დაკავშირებული ხარჯები.

3.1.4 სოციალური შედეგები

შოკის მომგვრელი შემთხვევა გავლენას ახდენს არა მარტო დაზარალებულზე, არამედ მის ოჯახშემომყოფებზეც. დაზარალებულის რეაქცია ზემოთხსენებული

შემთხვევისას უცნაურია იმათთვის, ვინც იცნობს მას. ისინი ხედავენ დაზარალებულს, რომელსაც სურს, აუხსნას, მოუყვეს მათ ინციდენტის შესახებ. დაზარალებულის გარშემომყოფნი ხედავენ, რომ ინციდენტის შემდეგ იგი სხვაგვარად აღიქვამს სამყაროს (დროებით თუ სამუდამოდ). ამის შედეგად იცვლება ურთიერთობა პარტნიორთან, ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან. ხშირად იგივე რეაქცია აქვთ დაზარალებულის თანამშრომლებსაც. ამასთან ერთად დაზარალებული თავს არიდებს ზოგიერთ ადგილს, შემთხვევის განმეორების შიშის გამო. ყოველივე ეს უყალიბებს ადამიანს განმარტოების ჩვევას.

3.2 გამკლავების პროცესი

ადამიანს, რომელმაც განიცადა შოკის მომგვრელი ინციდენტი, ესაჭიროება მდგომარეობიდან გამოსვლა. მისი და მის გარშემომყოფებთან დაკავშირებული ცვლილებების მოგვარებისთვის საჭიროა დრო და ენერგია. იგი ძალიან ნელა აანალიზებს მომხდარის შინაარსს. ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების ინტეგრირებასთან დაკავშირებული წინააღმდეგობა, რომელიც ყველას გააჩნია, აფერხებს ამ პროცესს.

მომხდარის გაანალიზება ეტაპობრივად ხდება. ინციდენტის მსვლელობისას ადამიანები ხშირად მშვიდად არიან. ხშირად ისინი მხოლოდ მაშინ აანალიზებენ მომხდარს, როდესაც უცაბედი საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე. სწორედ ამ ემოციების ინტენსიურობა არის გამკლავების პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი. როგორ უნდა დაიცვას ადამიანმა საკუთარი თავი, როდესაც მას ამდენი ემოცია მოაწყდა? როგორ მიუჩენენ ამ შემთხვევას სათანადო ადგილს საკუთარ ცხოვრებაში? საჭიროა, გამოვარჩიოთ ამ პროცესის სხვადასხვა ფაზა:

გამკლავების პროცესში	
შემთხვევის მსვლელობის ფაზა	მშვიდი/გულგრილი/უემოციო
შოკის მომგვრელი ფაზა	შიში/განგაში/პანიკა
განგაშის ფაზა	უარყოფა/შემთხვევის ხელმეორედ განცდა
ადაპტაციის ფაზა	განცდა დომინირებს ყოველდღიურ ცხოვრებაში
დასასრული	ინტეგრირებული განცდა

3.2.1 ფაზა 0: შემთხვევის მსვლელობა

შოკის მომგვრელი ინციდენტის დროს ადამიანის რეაქცია სიტუაციისადმი მშვიდი, უემოციოა. თვით ინციდენტის მსვლელობისას საკმაოდ მცირე დროა იმისთვის, რომ იგრძნო ემოცია და გამოხატო ის. უმრავლესობა ამ დროს გაწონასწორებულია და სათანადოდ იქცევა. სახიფათო სიტუაციაში პირველი რეაქცია არის გადარჩენის მცდელობა. ადამიანი სწორედ იმას აკეთებს, რაც საჭიროა და არ არის დათრგუნული შიშის ან აღელვების გამო. პირიქით შეიძლება არც კი გააჩნდეს რაიმე გრძნობა. მოგვიანებით მათ არ სჯერათ, რომ ასე "თვითონ მოიქცნენ".

3.2.2 ფაზა 1: შოკი

სახიფათო სიტუაციის დასრულებისთანავე ინციდენტის შედეგები ნათელი ხდება. უსაფრთხო სიტუაციაში ადამიანი აანალიზებს რისკის მასშტაბებს, რომლის წინაშეც ის იდგა.

ამ დროს მას შეიძლება წარმოეშვას შიშისა და განგაშის გრძნობა. ეს არის რეფლექსური რეაქცია კრიზისის დროს. მსხვერპლი შეშინებულია, დაუცველად და დაზარალებულად გრძნობს თავს. ამის შემდეგ დაზარალებული ფიქრობს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო და კიდევ რა შეიძლებოდა მომხდარიყო. ასეთი ფიქრების შედეგად წარმოქმნილი პანიკა შეიძლება იმდენად ძლიერი იყოს, რომ იგი შეეაფასოთ. როგორც "კრიტიკული სიტუაცია". ამასთან ერთად ადამიანი გაკვირვებულია და ძნელად იჯერებს მომხდარს, ასეთი მდგომარეობა შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღემდე. ადამიანი ამ დროს იმდენად არის შოკირებული (მისი მთელი ყურადღება/ფიქრები მიმართულია ინციდენტის განცდაზე), რომ უჭირს ლოგიკური აზროვნება.

3.2.3 ფაზა 2: განგაში

ამ ფაზაში დაზარალებული მერყეობს უარყოფასა და ინციდენტის ხელმეორედ განცდას შორის.

უარყოფა

ამ დროს ადამიანი აკეთებს ინციდენტის იგნორირებას, იქცევა ისე, თითქოს არც არაფერი მომხდარა და ცდილობს, ისე მოაჩვენოს თავი ყველას, თითქოს ინციდენტს მასზე გავლენა არ მოუხდენია. მომხდართან დაკავშირებული სიტუაციებისთვის თავის არიდებით, მასთან ასოცირებული ძლიერი გრძნობები შეიძლება გაქრეს. ადამიანი ისე იქცევა, თითქოს ის შემთხვევა არც ისე სერიოზული იყო. "გრძნობა" შესუსტდება. ეს უარყოფა (ხშირად ქვეცნობიერად) გამოვლინდება ადაპტაციისას.

ინციდენტის ხელმეორედ განცდა

ინციდენტის ხელმეორედ განცდა ნიშნავს იმას, რომ განცდილი საფრთხის შეგრძნება მთლიანად ამოტივტივდება დაზარალებულის ცნობიერებაში. დაზარალებული ფრაგმენტულად ხედავს შემთხვევის სურათებს და ხელმეორედ განიცდის იმავე ემოციას, რაც განიცადა ინციდენტის დროს. ღამის კოშმარების, მომხდარის გახსენებითა და ემოციური აფეთქებებით, დაზარალებული უპირისპირდება რეალობას.

უარყოფასა და ინციდენტის ხელმეორედ განცდას შორის მერყეობა

უარყოფას ზოგჯერ ცვლის ის პერიოდი, რომლიც დროსაც ხდება შემთხვევის ხელმეორედ განცდა და ადამიანის ემოციებს გზა ეხსნება. ასეთ სიტუაციაში გაძლავების პროცესი შესუსტებულია. ამ ფაზას ახასიათებს მოუსვენრობა და დაძაბულობა. ზემოთხსენებული ემოციური და ფიზიკური სიმპტომები თავს ინენს სწორედ ამ ფაზაში და ადამიანი ცდილობს ინციდენტის ახსნას.

3.2.4 ფაზა 3: ადაპტაცია

ადამიანის ემოციების ინტენსიურობა კლებულობს და ცვალებადობა უარყოფასა და ინციდენტის ხელმეორედ განცდას შორის ნაკლებად გამოიხატება. ტრავმის განცდა იკავებს ცენტრალურ, მაგრამ არა დომინანტურ ადგილს ადამიანის ფუნქციონირების შესაძლებლობებში. მას სურს ამის შესახებ ილაპარაკოს, როგორც მის ცხოვრებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემთხვევაზე. მომხდარს მიცემული აქვს შეფასება და მიჩენილი აქვს სათანადო ადგილი "ნასწავლი გაკვეთილის" სახით ადამიანის ცხოვრებაში.

3.2.5 ფაზა 4: დასრულება

"ნორმალური ცხოვრების" რეჟიმში დაბრუნებისთანავე დგება გამკლავების პროცესის დასასრული. ხელისშემშლელმა ინციდენტმა დაზარალებულის ცხოვრებაში დაიკავა ადგილი და მოხდა მისი მნიშვნელობის ინტეგრირება იმასთან, თუ როგორ ხედავს დაზარალებული თავის ცხოვრებასა და გარშემომყოფებს.

დაზარალებული აკონტროლებს მახსოვრობას და მოგონებები არ არღვევენ მის ბალანსს. პირიქით, სასარგებლოც კი არის მისთვის.

უმრავლესობა ადამიანებისა მთელ ზემოთხსენებულ პროცესს ასრულებს 4 თვიდან 6 თვემდე. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანი უემოციოდ გაიხსენებს მომხდარ ინციდენტს. ეს უბრალოდ პანიკის გარეშე მოხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი ფიქრები და მოგონებები მართვადი გახდება.

3.3 განცდასთან გამკლავების შეფერხება

ზემოთ აღწერილი არც ერთი ფაზა, ემოცია თუ რეაქცია არ არის არაჯანსაღი ან პარანორმალური. ისინი შოკის ნაწილია და პარანორმალური (უჩვეულო) სიტუაციისადმი ნორმალური რეაქციის გამოხატულებაა. თუმცა, ზოგიერთს (10%-30%) არ შეუძლია განცდასთან გამკლავების პროცესის ბოლომდე მიყვანა და "იჭედება" ანუ ფერხდება ამ პროცესის სხვადასხვა ეტაპზე.

3.3.1 მე-2 ფაზაში შეფერხება

ადამიანი შეიძლება შეფერხდეს მე-2 ფაზაში, თუ იგი ვერ შეძლებს უარყოფასა და ხელმეორედ განცდას შორის ბალანსის მიღწევას. თავის არიდებამ და ემოციების ჩახშობამ მოგვიანებით დაზარალებულის ცხოვრებაში შეიძლება გამოიწვიოს მისი ტანჯვა ინციდენტის გამო. ამ დაძაბულობის უარყოფას შეიძლება თან სდევდეს ფიზიკური და ემოციური პრობლემები. თუმცა, თუ ადამიანის ყურადღება ზედმეტად არის გამახვილებული ინციდენტზე, იგი შეიძლება გადაძლიოს ემოციებმა იმ დონეზე, რომ ვეღარ შეძლოს ამ განცდასთან გამკლავება. ამის შედეგად აღგზნებადობა შემცირების ნაცვლად, შეიძლება გაიზარდოს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ერთგვარი ფობია.

3.3.2 მე-3 ფაზაში შეფერხება

მესამე ფაზაში ადამიანის ყურადღება ფიქსირებულია მომხდარის განცდის "გაკვეთილებზე". ზედმეტი (ჰიპერ) აღგზნებადობა შესაძლოა დიდხანს გაგრძელდეს. ძალდატანებითმა ადაპტაციამ ("ყველაფერი შალე დაუბრუნდება

ჩვეულ მდგომარეობას") შეიძლება გამოიწვიოს ძლიერი სტრესი. ხშირად სიგნალი პირველი ფაზიდან გამკლავების პროცესში კვლავ ჩნდება და ადამიანი "გამოფიტება".

3.3.3 სოციალური მხარდაჭერა

უცნობია, თუ რატომ შეუძლია ზოგს შემაფერხებელ მოვლენებთან გამკლავება და ზოგს კი არა. ერთი რამ ნათელია: სოციალური მხარდაჭერა გამკლავების პროცესის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ხშირად მხარდაჭერას დაზარალებულს მისი გარშემომყოფნი სთავაზობენ. ესენი შეიძლება იყვნენ: ნათესავები, მეგობრები. პოლიციაც დაზარალებულის გარშემომყოფად ითვლება.

3.3.4 მეორადი ვიქტიმიზაცია

ადამიანი, რომელმაც განიცადა ტრავმატული შემთხვევა და "უყურადღებოდ დატოვეს", ანუ არასათანადო ყურადღება გამოიჩინეს მის მიმართ, დაზარალებულად მეორედ გახდომის რისკის ქვეშ დგება. ამ ფენომენს "მეორადი ვიქტიმიზაცია" ეწოდება. ადამიანები, რომლებმაც "მეორადი ვიქტიმიზაცია" განიცადეს, აღნიშნავენ, რომ ეს ისეთივე ცუდი განცდაა, როგორც თვით ტრავმატული შემთხვევა. ამრიგად, ძალზე მნიშვნელოვანია, თუ როგორ ყურადღებას გამოიჩენენ დაზარალებულის მიმართ მის გარშემომყოფნი.

4. პირველადი კონტაქტი

ჩვეულებრივ პოლიციელის ურთიერთობა დაზარალებულთან ინციდენტის დადგომისთანავე იწყება, როდესაც დაზარალებული (ძლიერ) ემოციურ - კრიტიკულ მდგომარეობაშია. თუნდაც მაშინ, როცა იგი ჯერ არ განიცდის შიშსა და აღშფოთებას, მისი მდგომარეობა მაინც კრიტიკულად ითვლება. ის, თუ როგორ მოექცევიან მას, ძალიან მნიშვნელოვანია გამკლავების პროცესისთვის. ამ ფაზაში ძნელია გამოძიებისთვის საჭირო ლოგიკური და სათანადო ინფორმაციით პოლიციელების უზრუნველყოფა.

პირველადი კონტაქტი უნდა დამყარდეს დაზარალებულის ემოციური მოთხოვნილებების გათვალისწინებით. ემოციების აღიარება და დაზარალებულისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა ამ ეტაპის პრიორიტეტებია.

მიზნები:

- მიუთითეთ დაზარალებულთან პირველადი კონტაქტის მთავარი მიზანი
- დაასახელეთ ზემოთხსენებულის განხორციელების ორი მეთოდი
- ამოიცანით ყველაზე მნიშვნელოვანი "მახე", რომელშიც შესაძლოა გაებას პოლიციელი
- აღწერეთ გზები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ასეთი მახეების თავიდან აცილება

4.1. უსაფრთხოების უზრუნველყოფა

პირველადი კონტაქტი ნიშნავს დაზარალებულისათვის სათანადო მხარდაჭერის აღმოჩენას მისი მოთხოვნილებების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია პოლიციელის მიერ დაზარალებულის უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა, სადაც იგი შეძლებს შოკიდან გამოსვლას. უსაფრთხოებით უზრუნველყოფა შესაძლებელია ნებისმიერ ადგილზე, სადაც გადაყვანილი იქნება მსხვერლი,

მაგალითად: თუ პოლიციელი მასთან გარკვეული დროის განმავლობაში დარჩება, ესაუბრება დამაჯერებელი ხმით. ხმამაღლა იმის თქმა, რომ ინციდენტი დასრულდა "ყველაფერი დამთავრდა", ასევე დაეხმარება დაზარალებულს უსაფრთხოების მოპოვებაში. დაზარალებულისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა ასევე შესაძლებელია მისთვის მარტივი გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობით. მაგალითად: სურს თუ არა, რამე დალიოს. ასეთი გზით დაზარალებული აანალიზებს, რომ მას დაძალებას არავინ უპირებს და აღარაფერი მოხდება მისი ნების გარეშე. დაზარალებულის სიტუაციისა და ემოციების გაზიარება ეხმარება მას, თავი იგრძნოს უსაფრთხოდ.

4.2 ემოციების აღიარება

ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ არ მოხდეს დაზარალებულის ემოციების იგნორირება და უარყოფა. ემოცია, როგორიც არ უნდა იყოს ის, არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც სისუსტე. მან, ვინც პირველად კონტაქტს ამყარებს დაზარალებულთან, უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება და მოუსმინოს მის ლაპარაკს. დაზარალებულს ესაჭიროება ემოციური მხარდაჭერა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მას არ უნდა დააძალონ მისი სურვილის გარეშე რაიმეს გაკეთება. ეს მნიშვნელოვანია, რათა დაზარალებულს არ გაუჩნდეს "უძლურობის" გრძნობა და უფრო მეტად დათრგუნულად არ იგრძნოს თავი.

4.3 მახე

პოლიციელმა, რომლის ყურადღებაც დამნაშავის შეძლებისდაგვარად სწრაფად დაკავებისკენ არის მიმართული და სურს პრობლემა რაც შეიძლება მალე გადაჭრას, შესაძლოა ვერ შეძლოს დაზარალებულის სიტუაციის სრული შეფასება. იგი დაზარალებულს უსვამს ისეთ კითხვებს, რომლებიც ემოციურად აღაგზნებს მას. მაგალითად: როდესაც სექსუალური დანაშაულის მსხვერპლს ეკითხებიან მომხდარის დეტალების შესახებ.

4.3.1. ემოციების იგნორირება

მაშინაც კი, როდესაც არ არის გამოხატული ემოციები ან ისინი ძნელად მართვადია პოლიციელისთვის, მნიშვნელოვანია პოლიციელის მიერ ამ ემოციების აღიარება. მათი იგნორირების შემთხვევაში დაზარალებულს შეექმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მას "გვერდი აუარეს" ანუ მას ისე მოექცნენ, თითქოს იქ არც კი იმყოფებოდეს. თუმცა ძნელია მიუდგე პირს, რომელიც ინციდენტის შედეგად დათრგუნულია.

4.3.2 ტრივიალური ემოციები

ისეთი კომენტარები, როგორიცაა "ყველაფერი ისე ცუდად არის", ან "ხვალ ყველაფერი დაგვიწყდება" შეიძლება კარგად მიიღოს დაზარალებულმა, მაგრამ ასეთი კომენტარები ვერ შეძლებს დაზარალებულის ემოციების ინტენსიურობის შესუსტებას და უფრო ნეგატიური ეფექტი ექნება, ეიდრე დადებითი.

როდესაც დაზარალებული თვითონ იძახის, რომ "ეს უნდა მომხდარიყო", ან "ასეთი რამ ყველას მოუვა", ის სათანადოდ ვერ აფასებს თავის ემოციებს.

4.3.3 ემოციების ინტერპრეტაცია

თუ დაზარალებული არ იძახის, თუ რას გრძნობს, პოლიციელმა თვითონ უნდა ივარაუდოს, თუ რა ემოცია შეიძლება ჰქონდეს მას. ამ შემთხვევაში საქმეს გაართულებს პოლიციელის მსგავს შემთხვევებთან დაკავშირებული გამოცდილება, რადგან პოლიციელმა შეიძლება იფიქროს, რომ "იცის, თუ რას გრძნობს ეს პიროვნება", მაგრამ ეს არ დაეხმარება დაზარალებულს, რადგან ვერავინ განიცდის იმ გრძნობას, რასაც თვით დაზარალებული განიცდის. ასე რომ, პოლიციელი შესაძლოა შეცდეს დაზარალებულის ემოციების ინტერპრეტაციისას.

4.3.4 დადანაშაულება

"შენ ამგვარად არ უნდა მოქცეულიყავი..." ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაზარალებულის დადანაშაულება ინციდენტში. თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულმა თავისი საქციელით ხელი შეუწყო ინციდენტის დადგომას, უსამართლო იქნებოდა, თუ ამისთვის მას დაადანაშაულებდნენ და ეს ბრალდება დაემატებოდა ინციდენტის შედეგად გამოწვეულ მის მატერიალურ თუ არამატერიალურ ზარალს.

4.3.5 ზედმეტად ბევრი კითხვის დასმა

ჩვეულებრივ გასარკვევი ბევრია, რის გამოც პოლიციელებს ბევრი კითხვის დასმა უწევთ. ემოციურად დაზარალებულისთვის ასეთი რამ ძნელად გადასატანია. დაზარალებულისთვის, ინციდენტი არის რეალობა, რომელსაც არ სჭირდება დამატებითი ახსნა-განმარტება. კითხვების დასმით ასეთ შემთხვევებში ვერ მოხდება მოპოვებული ინფორმაციის ხარისხის გაზრდა.

4.3.6 „შეუძლებელი" კითხვების დასმა

პირადი ინტერესის, ცნობისმოყვარეობისა თუ პროფესიული მიზნებისთვის პოლიციელს ყოველთვის სურს, გაიგოს, რა მოხდა. კითხვები, რომლებიც შეეხება დეტალებსა და ფაქტებს, ძნელი საპასუხოა, რადგან დაზარალებული ვერ ასწრებს მომხდარის გაანალიზებას და ხშირად კითხვები შეეხება უხერხულ ინფორმაციას, რომელზეც პასუხის გაცემა დაზარალებულს ერიდება.

ამის გამო მნიშვნელოვანია პოლიციელმა კითხვები დაზარალებულის მდგომარეობას "მოარგოს". გამოძიების მიზნით კითხვების დასმა უფრო ეფექტური იქნება მაშინ, როდესაც დაზარალებული ჩათვლის, რომ მზად არის ამისთვის.

4.3.7 გართულებული ინფორმაციის მიწოდება

სამართალწარმოებასთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცემისას იგივე პრობლემას აქვს ადგილი, როგორც "შეუძლებელი" კითხვების დროს.

4.3.8 თავისუფლების შეზღუდვა/ფიზიკური კონტაქტი

დაზარალებულისთვის, კერძოდ კი სექსუალური დანაშაულის მსხვერპლისთვის მნიშვნელოვანია კონტროლის გრძნობის შენარჩუნება და საკუთარი თავის მართვა. ასეთ შემთხვევაში ადამიანის შეხებას განსაკუთრებული ნებართვის

გარეშე, მაგალითად: ხელის გადახვევას, შესაძლოა უარყოფითი შედეგი მოჰყვეს. ამიტომ უმჯობესია ფიზიკური კონტაქტისგან თავის შეკავება.

5. დანაშაულის შესახებ მოხსენების შედგენა

პოლიციელებს უხდებათ ისეთ დაზარალებულთან ან მოწმესთან ურთიერთობა, რომლებსაც სურთ დანაშაულის აღწერა. ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ადამიანს შეუძლია პოლიციას სასარგებლო და სწორი ინფორმაცია მიაწოდოს დანაშაულის აღწერით.

სწორი ინფორმაციის მოპოვებისთვის მნიშვნელოვანია საუბრის წარმართვა შესაბამისი პროცედურის მიხედვით, პროფესიული დაკითხვის ხერხების გამოყენებით. ამ თავში მოცემულია საუბრის პროცედურა და დაკითხვის ხერხები.

პროცედურის სწორად ჩატარების გარდა, პოლიციელმა უნდა გაითვალისწინოს ის სიძნელეები, რომლებიც თან ახლავს დაზარალებულის მიერ დანაშაულის აღწერას. კერძოდ ეს დამახასიათებელია სექსუალური დანაშაულის მსხვერპლისთვის. დაზარალებული ხშირად დანაშაულისა და სირცხვილის გრძნობით არის შეპყრობილი, რაც ხელს უშლის მას თავისუფლად ლაპარაკში.

მიზნები:

- **პროცედურის სხვადასხვა ფაზის აღწერა დანაშაულის შესახებ მოხსენების შედგენის მიზნით**
  საუბრის სხვადასხვა ხერხის დასახელება
  იმის აღნიშვნა, თუ საუბრის რომელი ხერხია საუკეთესო
  საუბრის საკუთარი ხერხის დასახელება.

5.1. მოხსენების შედგენასთან დაკავშირებული პროცედურები

დანაშაულის შესახებ მოხსენების შედგენისას პოლიციელმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი პროცედურით:

კონტაქტის დამყარება

საუბრის პირველ ფაზაში კონტაქტის დამყარებას ცენტრალური ადგილი უკავია. პოლიციელი წარუდგენს თავს დაზარალებულს და დაზარალებულმაც/მოწმემაც იგივე უნდა გააკეთოს, ამით საუბრის მიზანი ნათელი ხდება. მოქალაქეს ეძლევა შესაძლებლობა, აღნიშნოს, თუ რატომ მივიდა დანაშაულის ადგილზე. თუ პოლიციელი იწყებს საუბარს, მაშინ მან უნდა ახსნას საუბრის მიზანი.

პირადი მონაცემების ჩანიშვნა

შესაძლებლობის შემთხვევაში პირველ რიგში უნდა მოხდეს დაზარალებულის პირადი მონაცემების ჩანიშვნა. სიკვ შემთხვევაში (როდესაც ადამიანი მეტად აღელვებულია) ეს შეუძლებელია, ამიტომ ეს პროცედურა უნდა გადაიდოს შემდეგი ხელსაყრელი მომენტისთვის.

სუბიექტური მოსმენა

ამ ფაზაში პოლიციელმა შეძლებისდაგვარად თავი უნდა შეიკავოს დაზარალებულის საუბრის შეწყვეტისგან, რათა არ იმოქმედოს მისი აზრების კონცენტრაციაზე. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ თუ მოქალაქე ზედმეტად ემოციურია, მისი მონათხრობი შეიძლება არათანამიმდევრული ან ბუნდოვანი იყოს. ზოგჯერ დაზარალებული იმდენად აღელვებულია, რომ ინფორმაციას სწრაფად და ფრაგმენტულად გადმოსცემს. ზოგიერთ შემთხვევაში კი ემოციების სიჭარბის გამო ფაქტიურად შეუძლებელია მისგან რაიმე სახის ინფორმაციის მიღება. ამდენად, ემოციური ფაქტორები ხშირად ართულებს ინფორმაციის მოპოვების პროცესს. ამიტომ აუცილებელია, რომ პოლიციელის მიერ გამოყენებულ იქნას სპეციალური სასაუბრო ხერხები. ეს ხერხები განხილულია სახელმძღვანელოს "პროფესიული საუბრის ხერხების" ნაწილში.

კანონიერი დაკითხვა

ბევრ შემთხვევაში პოლიციელს სჭირდება უფრო მეტი ან განსხვავებული ინფორმაცია, ვიდრე დაზარალებულს/მოწმეს შეუძლია მიაწოდოს. დანაშაულის შესახებ ოფიციალური მოხსენების გაკეთებისთვის პოლიციელს უხდება "გამოტოვებული ადგილების შევსება" ანუ დამატებითი დაკითხვის ჩატარება. ამ ფაზას "კანონიერი დაკითხვა" ეწოდება.

ამ ფაზაში გამოვლინდება ინციდენტის დეტალები. სექსუალური დანაშაულის შემთხვევაში ასეთი დაკითხვა შეიძლება უხერხული იყოს. სექსუალური დანაშაული დაზარალებულისთვის როგორც ფიზიკურად, ისე ემოციურად შეიძლება მეტად ტრავმული იყოს. უცხო ადამიანებთან სექსზე საუბარი ჩვეული მოვლენა არ არის. უმრავლესობა თავს უხერხულად გრძნობს, როდესაც უსვამენ გაუპატიურებასთან დაკავშირებულ კითხვებს. დანაშაულის აღწერის დაძალება ინტიმურობისა და პირადობის ხელყოფის ტოლია. პოლიციელი უნდა იყოს ფრთხილი ასეთ დაზარალებულთან ურთიერთობისას. სენსაციის ძებნა ამ დროს უადგილოა და მან არ უნდა დაუსვას დაზარალებულს უსარგებლო კითხვები. ხოჯი იმდენად არის დაბნეული განცდილის გამო, რომ ფაქტებს ვერ არკვევენ. მაი შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება მოახდინონ, თითქოს მათი ნათქვამი მოყოლილი არ არის მართალი.

დასკვნითი ფაზა/დასრულება

პროცედურის დასკვნით ფაზაში პოლიციელი აჯამებს დაზარალებულის მონაყოლს და ამოწმებს, რამდენად სწორად გაიგო ის. მას შემდეგ, რაც პოლიციელი აკეთებს სრულ რეზიუმეს, იგი დაზარალებულს აცნობებს პროცედურულ ინფორმაციას შემდგომი ღონისძიებების შესახებ, ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: როდის მიიღებს მოქალაქე ინფორმაციას. რა საკითხებზე, ვისგან, ვის უნდა მიმართოს მან საუბრის შემდეგ დამატებითი ინფორმაციის გახსენების შემთხვევაში.

52. პროფესიული საუბრის ხერხები

ამ თავში ყურადღება გამახვილებულია ინფორმაციის შეგროვების საშუალებებზე. ინფორმაციის შეგროვება არის საქმიანობა, რომელსაც პოლიციის თანამშრომლები ხშირად ასრულებენ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას.

როდესაც დგება ინფორმაციის შეგროვების ეტაპი, პოლიციელები იყენებენ საუბრის ორ ხერხს:

მოსმენა: პოლიციელი უსმენს მთხრობელის მონაყოლს და მოქმედებს ამ მონათხრობის მიხედვით. ამ შემთხვევაში მთხრობელს წამყვანი როლი უკავია.

წარმართვა: პოლიციელი იმგვარად წარმართავს საუბარს, რომ მოიპოვოს მისთვის საჭირო ინფორმაცია. ამრიგად, მსმენელი განსაზღვრავს საუბრის მიმართულებას.

ხშირად საუბრის ძირითადი ხერხები არაადექვატურია საკმარისი ინფორმაციის შეგროვების თვალსაზრისით. დაზარალებულს შეიძლება ხელი შეუშალოს ეშოციებმა და არასწორად გადმოსცეს ინფორმაცია. ასეთ შემთხვევაში საჭიროა დამატებითი სასაუბრო ხერხების გამოყენება: რეგულირება, სტიმულაცია, კონფრონტაცია და დაყოლიება. ეს ხერხები მოცემულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში:

<table>
<tr><td>რეგულირება
• ყურადღების გამახვილება კონკრეტულ დეტალ'ზე
• სუბიექტური სტრუქტურირება
• საკითხების დაკონკრეტება</td><td colspan="2"></td><td>კონფრონტაცია
• შეუსაბამის-ობების აღნიშვნა
• პასუხის გაცემის იძულება
• შედეგების აღნიშვნა</td></tr>
<tr><td></td><td>მოსმენა
• ღია კითხვები
• შემდგომი კითხვები
• წახალისება
• შეჯამება</td><td>წარმართვა
• საუბრის შეზღუდვა
• ფოკუსირებული კითხვების დასმა
• თემიდან გადახვევის მცდელობის შეზღუდვა
• ინფორმაციის უსრუნველყოფა</td><td></td></tr>
<tr><td>სტიმულირება
• სინუმის შენარჩუნება
• შაბექდილების გამოხატვა
• საკითხისადმი გვერდის ავლა</td><td colspan="2"></td><td>დაყოლიება
• დაყოფა
• მახეში გაბმა
• მოსაზრება</td></tr>
</table>

5.2.1 მოსმენა

"მოსმენის" ტექნიკა ძირითადად გამოიყენება ინფორმაციის შეგროვების საწყის ფაზაში. ერთის მხრივ, პირს, რომელიც აღწერს ინციდენტს, უნდა მიეცეს შესაძლებლობა შეზღუდვის გარეშე მოყვეს ინციდენტის შესახებ. ამ გზით ხდება მოქალაქის მონაწილეობის ოპტიმიზირება და საკითხის კარგად შესწავლა. მეორეს მხრივ, ასეთი ხერხი ხელს უწყობს საუბრის პოზიტიური "კლიმატის" შექმნას. "მოსმენა" მოიცავს შემდეგ მეთოდებს:

ღია კითხვები

"ღია კითხვები" ნიშნავს ისეთ კითხვებს, რომლებიც იძლევა პასუხის მიღების შესაძლებლობას. მსმენელს საკმარისი საშუალება აქვს განსჯისთვის, არა მარტო პირდაპირი ფაქტების თვალსაზრისით, არამედ თუ როგორ განიცადა მან ისინი. ღია კითხვებში არ იმალება არც მიზეზები და არც მოსაზრებები. ისინი ხშირად იწყება სიტყვით: "როგორ... რატომ....რა...." ასე რომ, დიახ, ან არა, პასუხის გაცემა შეუძლებელი და უსარგებლო იქნება.
ღია კითხვების მაგალითებია:

- "რამ გიბიძგათ, რომ..."?
- "როგორ ფიქრობთ, საკითხი..."?
- "რას ფიქრობთ....შესახებ"?
- "რატომ მოხდა ასე...."?

შემდგომი კითხვები

ინფორმაციის სიცხადისთვის მნიშვნელოვანია შემდგომი კითხვების დასმა, რაც გულისხმობს საკითხის გაფართოებას, საკითხის დაკონკრეტებას, ასევე უკვე ნათქვამის შემდგომ გაანალიზებას და სპეციფიკაციას. შემდგომი კითხვები ადვენს მომხდარის უფრო დეტალურ და ნათელ სურათს. ეს ხელს უწყობს საკითხში გარკვევაში იმას, ვინც კითხვებს სვამს. შემდგომი კითხვების მაგალითებია:

- "'შეგიძლიათ ამის უფრო ცხადად გადმოცემა?"
- "'შეგიძლიათ მაგალითის მოყვანა?"
- "რას გულისხმობთ?"
- "თქვენ ამბობთ, "ჩვეულებრივ". "რა სახის სიტუაციაა თქვენთვის ჩვეულებრივი?"
- "რა გზით"?

გამხნევება/წახალისება

ზოგჯერ საუბრისას დგება უხერხული სიჩუმე, რადგან პირი, რომელიც ყვება, არ არის დარწმუნებული, შემდეგ რა უნდა თქვას ან სულაც მომდევნო კითხვას ელოდება. ასეთ შემთხვევებში, მას, ვინც კითხვებს სვამს, უწევს "გამოტოვებული ადგილების" შევსება, პასუხის გაცემაში დახმარების ან ახალი კითხვის დასმის გზით. ყურადღებით მოსმენისას პოლიციელს შეუძლია გამოხატოს ინტერესი მონაყოლისადმი და გააგებინოს თანამოსაუბრეს, რომ მისი პასუხი მოსწონს.

გამხნევება შესაძლებელია როგორც სიტყვიერად, ასევე არასიტყვიერად.

სიტყვიერი გამხნევების/წახალისების მაგალითებია:

- "მართლა?"
- "ნამდვილად"
- "დიახ"
- "რა თქმა უნდა"

მოპასუხე მხარე ასევე წახალისდება არასიტყვიერი გზითაც:

- პოლიციელის მხრიდან დაინტერესებული და გახსნილი მიდგომით
- თვალებში ყურებით
- თავის დაქნევით თანხმობის ნიშნად

შეჯამება

დრო და დრო პირმა, რომელიც სვამს კითხვებს, უნდა შეაჯამოს მიღებული ინფორმაცია. ამ გზით ხდება ინფორმაციის დახარისხება და მისი სტრუქტურის შექმნა. ის, ვინც წარმართავს საუბარს, ასევე აჩვენებს, რომ იგი ყურადღებით უსმენდა, მიუხედავად იმისა, სწორად გაიგო ინფორმაცია, თუ არა.

5.2.2. წარმართვა

"წარმართვის" ხერხი გამიზნულია იმისთვის, რომ საუბარს მიეცეს მიმართულება და იმ პირის ყურადღება, რომელიც აწვდის ინფორმაციას, გაამახვილოს ისეთი საკითხების შესახებ საუბარზე, რომლებიც მნიშვნელოვანია პოლიციელისთვის. ის, პირი, რომელიც წარმართავს საუბარს, გამოარჩევს ინფორმაციას და აანალიზებს მას. მას შეიძლება, გაუჩნდეს იდეები შესაძლო კავშირების, მიზეზებისა და (იურიდიული) შედეგების შესახებ. ის იყენებს წარმართვის ხერხს, რათა დასრულდეს საუბარი და შეამოწმოს ზემოთხსენებული იდეები. წარმართვის ხერხი მოიცავს შემდეგ მეთოდებს:

საუბრის შეზღუდვა ("ჩარჩოებში მოქცევა")

ამ კონტექსტში "შეზღუდვა" ნიშნავს გარკვეული მოსაზრებების/შეთავაზებების წამოყენებას საუბრის ეფექტურობის მიზნით. საუბრის შეზღუდვით, პირი, რომელიც მართავს საუბარს, მიუთითებს საუბრის თემაზე. ასეთი მოსაზრებები საუბრის სტრუქტურას უფრო ნათელს ხდის. შეზღუდვა ხდება შემდეგი ფრაზების გამოყენებით:

- მე მინდა, დავუბრუნდეთ იმ საკითხს....
- იქნებ უფრო მეტი ვისაუბროთ იმის შესახებ, რომ....
- მოდით ვნახოთ, თუ შეგვიძლია....
- ჩემი აზრით.....

ფოკუსირებული (კონკრეტული) კითხვების დასმა

"ფოკუსირებული კითხვები" არის ისეთი კითხვები, რომლებიც გამიზნულია კონკრეტული პასუხის მისაღებად, ანუ, როდესაც გამოკვეთილია პოლიციელისთვის საჭირო ინფორმაციის ელემენტები და კითხვა ისმევა სწორედ ამ ელემენტების გამოსაყენებლად. ხშირად, ასეთი ელემენტების გამოტოვება ხდება სპონტანურად: ადამიანი არ თელის იმას საჭიროდ, რომ თქვას, ან უბრალოდ არ სურს ამ ინფორმაციის მიწოდება. უკეთესია, ასეთი კითხვები ღიად დარჩეს, ვიდრე მათ მიეცეს შეთავაზების სახე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უკეთესია, შეკითხვა: "ეს ასე იყო?" ვიდრე "ეს ასე იყო, არა?"

საუბრის თემიდან გადახვევის შეზღუდვა

საჭირო ინფორმაციის შეგროვებისას პოლიციელი უნდა ეცადოს უსარგებლო, შესაბამო ინფორმაციის მინიმუმამდე დაყვანას. ზოგი ადამიანი ცდილობს მიიპყროს მსმენელის ყურადღება, რისთვისაც საუბრობს ყველაფერზე, რაც კი ენაზე მოადგება. იმ პირმა, რომელიც წარმართავს საუბარს, უნდა შეაწყვეტინოს ასეთ ადამიანს საუბარი, დასკვნითი შეჯამებით: "ამრიგად, თქვენ ამბობთ, რომ..." ამის შემდეგ ახალ თემაზე დაიწყება საუბარი.

ინფორმაციის უზრუნველყოფა

ბევრი საუბრისას არსებობს ისეთი ფაზა, როდესაც ადამიანი, რომელიც წარმართავს საუბარს, იძლევა ინფორმაციას. მას ამ ინფორმაციის უზრუნველყოფით შეუძლია საუბარი წაიყვანოს გარკვეული მიმართულებით. ინფორმაციით უზრუნველყოფისას მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა სახის ინფორმაციაა საჭირო. ინფორმაციის მიწოდება ასევე უნდა მოხდეს გარკვევით და შესაბამისი რაოდენობით. ზედმეტი ან საკმაოდ რთული ინფორმაციის მიწოდება დროისა და ენერგიის უაზრო ხარჯვაა. ინფორმაციის მიწოდებისას, პოლიციელმა უნდა იზრუნოს იმაზე, შეძლებს თუ არა მისი მსმენელი ამ ინფორმაციის გაგებას.

5.2.3. რეგულირება

რეგულირების ხერხი გამოიყენება მაშინ, როდესაც ადამიანი ემოციების ზეგავლენის ქვეშაა. აუცილებელია, რომ მოხდეს ამ ადამიანის დამშვიდება და ხელი შეეწყოს, აღიდგინოს მომხდარი. უნდა მოხდეს ინფორმაციის გაურკვეველი ელემენტების დახარისხება. დარეგულირება მოიცავს შემდეგ ქვეხერხებს:

კონკრეტულ დეტალზე ყურადღების გამახვილება

რაიმე განსაზღვრულ დეტალზე ყურადღების გამახვილებისას პოლიციელი მთელი ინფორმაციიდან გამოარჩევს ერთ სიტყვას ან ფრაზას და იმეორებს კითხვის ფორმით, ამ დროს იგი წარმართავს დაზარალებულის მონათხრობს. ამ სიტყვისა თუ ფრაზის გამეორების შედეგად დაზარალებული ახსნის, თუ რას გულისხმობდა თხრობისას.

სუბიექტური სტრუქტურირება

დაზარალებულის მონათხრობი უნდა შეჯამდეს ისეთი ფორმით, როგორც წარმოდგენილი იყო, ამ ადამიანის ემოციური მდგომარეობის გამო შექმნილი შეუძლებლობების, აქცენტებისა და "შეცდომების" ჩათვლით. ასეთ შეჯამებას ემოციური მნიშვნელობა აქვს, რადგან ადამიანი ჩათვლის, რომ მას გაუგეს. ამის შედეგად ეკვმიტანილი/დაზარალებული/მოწმე დამშვიდდება და თხრობას უფრო კარგად შეძლებს.

საკითხის დაკონკრეტება

პოლიციელი ითხოვს ისეთ დეტალებზე ლაპარაკს, რომლებიც არ არის მნიშვნელოვანი, მაგრამ ამით ხდება საკითხის დაკონკრეტება და მთხრობელი იძულებულია, თავი მოუყაროს დეტალებს, ისაუბროს უფრო ზუსტად და

გაამახვილოს ყურადღება მომხდარზე. ამის შედეგად თხრობა უფრო დამშვიდებულ მდგომარეობაში იქნება შესაძლებელი.

5.2.4. სტიმულირება

სტიმულირება გამოიყენება მაშინ, როდესაც ადამიანს უჭირს საუბარი. ეს ხერხი ეხმარება მას გადალახოს წინააღმდეგობა და დაიწყოს ლაპარაკი. სტიმულირება მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ ხერხებს:

სიჩუმის ხელშეწყობა

პოლიციელი ხელს უწყობს, რომ საუბრის დროს სიჩუმე ჩამოვარდეს. ეს სიჩუმე ეხმარება მთხრობელ მხარეს აზრების დალაგებაში და იმის გადაწყვეტაში, თუ რა უნდა თქვას. მესამე პირს შეიძლება შეექმნას ისეთი გრძნობა, რომ არაფერი არ ხდება, მაგრამ ეს ასე არ არის. მთხრობელის თავში ამ დროს მთელი რიგი პროცესები მიმდინარეობს.

ამასთან ერთად, სიჩუმე ყოველთვის გამოიწვევს ერთ-ერთი მხარის ალაპარაკებას. მეორე მხარის ალაპარაკება ასევე შესაძლებელია, თუ პოლიციელი ჩუმად იქნება გარკვეული დროის განმავლობაში.

შთაბეჭდილების გამოხატვა

მეორე მხარე ჩუმად არის, უჭირს საუბრის დაწყება და გარეგნულად ემოციური ჩანს. თუ პოლიციელი გააგებინებს მას თავის შთაბეჭდილებას სიტუაციის შესახებ, მაგ: "მესმის, რამდენად გიმძიმთ...", იგი ხელს შეუწყობს მის ალაპარაკებას. მეორე მხარისთვის უფრო ადვილია უპასუხოს ამგვარ ფრაზებს, ვიდრე მომხდართან დაკავშირებით დასმულ კონკრეტულ შეკითხვებს.

საკითხისადმი გვერდის ავლა

საუბრისას უცებ სხვა თემაზე გადასვლით პოლიციელი ხელს შეუწყობს მეორე მხარეს ლაპარაკის დაწყებაში. პოლიციელი ამსუბუქებს ზეწოლას მთხრობელზე სხვა უფრო ნეიტრალურ და ნაკლებ სახიფათო თემაზე გადასვლით. პოლიციელი, როგორც კი დაინახავს, რომ საუბარი კვლავ შედგა, ის ისევე მიუბრუნდება უფრო სერიოზულ და პრობლემატურ საკითხებს.

5.2.5. კონფრონტაცია

როგორც წესი, ამ ხერხის გამოყენებისას პოლიციელის ტონი უფრო მკვეთრია, ვიდრე მოსმენისა და წარმართვის ხერხებისას. პოლიციელს სურს, დაანახოს მეორე მხარეს, რომ მას ვერ მოატყუებს. კონფრონტაციის ხერხი მოიცავს შემდეგ მეთოდებს:

შეუსაბამისობების აღნიშვნა

პოლიციელი მიუთითებს მეორე მხარეს მოთხრობილი ისტორიის იმ დეტალებზე, რომლებიც ეწინააღმდეგება ან არ შეესაბამება ცოტა ხნის წინ მის მიერ მიწოდებულ ან სხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას.

იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ეჭვმიტანილი მიხვდეს, რომ პოლიციელმა იცის, რომ მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. ამ

დროს არსებობს შანსი, რომ ეჭვმიტანილმა შეცვალოს განცხადება (თუ მისი განცხადება არ იყო სიმართლე), რადგან იგი აანალიზებს, რომ მისი ნათქვამი შეუსაბამოა სხვა ფაქტებთან.

პასუხის გაცემის იძულება

თუ პოლიციელი ხედება, რომ ეჭვმიტანილის პასუხები არასწორი და ეაურკვეველია, მას შეუძლია აიძულოს იგი, გასცეს სწორი პასუხი. ამის შედეგად შემდგომი პასუხის შეუსაბამისობის შანსი ნაკლები იქნება. ამ ხერხის მიზანია, არა (სასურველი) პასუხის მიღების დაძალება, არამედ სწორი პასუხის მიღების მიღწევა.

შედეგების აღნიშვნა

ისეთ ეჭვმიტანილებს, რომლებიც კვლავ აგრძელებენ შეუსაბამო ინფორმაციის მიწოდებას, ფაქტების არევას და ინფორმაციის დამალვას, პოლიციელმა უნდა ეააცნოს, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მათ ქცევას. ეს უნდა გაკეთდეს ნეიტრალური ფორმით, ისე, რომ ამას არ მიეცეს მუქარის ფორმა.

კონფრონტაციის შემდეგ შეიძლება ჩამოვარდეს სიჩუმე, რადგან ეჭვმიტანილი ახლა უკვე დაძაბულია. პოლიციელი არ უნდა ეცადოს ამ სიჩუმის საუბრით შევსებას, რადგან ამით შეასუსტებს კონფრონტაციის ტექნიკის სიძლიერეს.

5.2.6. დამოლიება

დაყოფა

მნიშვნელოვანი საკითხი უნდა დაიყოს სხვადასხვა ნაკლებად მნიშვნელოვან დამხმარე კითხვებად. მთლიანობაში ამ კითხვებზე გაცემული პასუხი მოგვცემს ინფორმაციას მნიშვნელოვან საკითხზე. ამ ხერხის გამოყენება მოითხოვს საქმის სრულყოფილ ცოდნას. ამგვარი დაკითხვისთვის საჭიროა წინასწარ სათანადო მომზადება.

მახეში გაბმა

კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით პოლიციელი სვამს ბევრ კითხვას ისე, რომ ეჭვმიტანილს მოუწევს ყველაზე მნიშვნელოვან კითხვაზე პასუხის გაცემა. წინა კითხვებზე გაცემული პასუხები შეუძლებელს ხდის, რომ ეჭვმიტანილმა იცრუოს ბოლო, ყველაზე მნიშვნელოვან კითხვაზე პასუხის გაცემისას. ამ ხერხისთვისაც მნიშვნელოვანია საქმის სრულყოფილი შესწავლა და წინასწარი მომზადება.

ეარაუდი

კითხვაზე პასუხი იმალება ვარაუდში, ამიტომ სავარაუდო კითხვა წარმართავს პასუხს განსაზღვრული მიმართულებით. მეორე მხარეს უფრო მეტად გაუჭირდება ამ ეარაუდის უარყოფა, ვიდრე მისი აღიარება. იურიდიული მიზნებისთვის სავარაუდო კითხვების დასმა შეიძლება მხოლოდ უკვე დამტკიცებულ ფაქტებთან ან მოსაზრებებთან დაკავშირებით. სავარაუდო კითხვის მაგალითია: "ეს სიტუაცია ალბათ მძიმეა თქვენთვის".

6. ცუდი ამბები

ფატალური უბედური შემთხვევის ან სერიოზული დანაშაულის დროს პოლიციელს ხშირად უწევს დაზარალებულის ოჯახის/უახლოესი ნათესავების ინფორმირება მომხდარის შესახებ.

პოლიციელს შეიძლება სხვადასხვა სახის ცუდი ამბების შეტყობინება მოუხდეს საჰსახურში. მაგალითად მსხვერლის ოჯახის წევრების შეტყობინება უბედური შემთხვევის შესახებ, რომ მათი ნათესავი გარდაიცვალა ან სერიოზულად დაშავდა. მეორე მაგალითია სახლის პატრონისათვის იმის შეტყობინება, რომ მისი სახლი გაძარცვეს ან სერიოზულად დაზიანდა.

ბევრი ადამიანისთვის ძალზედ ძნელია ცუდი ამბების ადრესატისთვის შეტყობინება, რადგან მათ იციან, რომ გული უნდა ატკინონ მას და შეესწრონ ამ ადამიანის ემოციების გამოვლენას. ამის გამო ხშირად ცდილობენ, გადადონ ცუდი ამბების შეტყობინება ან შეტყობინების ისეთ ხერხს მიმართონ, რომელიც ნაკლებად იმოქმედებს მასზე.

პოლიციელებს ურჩევენ, რომ ცუდი ამბების შეტყობინება მოხდეს საუბარში. ეს პროცედურა ქვემოთ არის აღწერილი. ასევე მოყვანილია მთელი რიგი განსხვავებული სიტუაციები.

მიზნები:

- მიუთითეთ ცუდი ამბების შეტყობინების სწორი ვარიანტი
- აღწერეთ ცუდი ამბების შეტყობინების სხვადასხვა ფაზა
- დაასახელეთ ის განსხვავებული სიტუაციები, რომლებიც თავს იჩენს ასეთი საუბრების დროს

6.1 ცუდი ამბების შეტყობინების პროცედურა

ცუდი ამბების შეტყობინებისადმი სწორი მიდგომა შეიძლება შემდეგი სქემით გამოისახოს:

შესავალი

ცუდი ამბების შეტყობინება

ინფორმაციის მიმღების/ადრესატის რეაქციის დალოდება

თანაგრძნობის გამოხატვა

დასრულება

6.1.1 მოკლე შესავალი

ცუდი ამბების შესატყობინელად პოლიციელის მიერ წარმართული საუბარი უნდა იყოს მოკლე. უმრავლეს შემთხვევაში ადრესატი უნდა მიხვდეს, რომ რაღაც ხდება, რადგან პოლიცია ხომ ყოველ დღე არ მიდის მასთან. მხოლოდ

პოლიციელის მისვლაც კი საკმარისია ადრესატის მისახვედრად, რომ ყველაფერი რიგზე არ არის.

რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება პოლიციელის საუბარი, უფრო დიდხანს გასტანს ადრესატის ეჭვები ცუდ ამბებთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანია შეტყობინების შესავალი იყოს მოკლე, საუბრის ეს ფაზა მაინც მეტად რთული განსახორციელებელია. სწორედ ამ ფაზაში მყარდება კონტაქტი. პოლიციელის მიერ შესავალის გარეშე პირდაპირ ცუდი ამბების თემით დაწყება, ძალიან უტაქტო იქნება.

მოკლე შესავლის შეთავაზებით პოლიციელი ინფორმაციის მიმღებ მხარეს შოკისთვის ფსიქოლოგიურად მომზადების შესაძლებლობას აძლევს.

6.1.2 ცუდი ამბების შეტყობინება

ცუდი ამბის შეტყობინება უნდა მოხდეს ყოველგვარი თემიდან გადახვევის გარეშე. ეს რა თქმა უნდა იმას არ ნიშნავს, რომ ეს პირდაპირ და უხეშად უნდა მოხდეს. შეტყობინება უნდა იყოს ნათელი, გასარკვევი და არ მოიცავდეს მრავალ ინტერპრეტაციას, რათა ადრესატს მიეცეს ეჭვის შესაძლებლობა. ხალხს არ უყვარს ცუდი ამბების გაგება და ყველაფერს გააკეთებს, რათა თავიდან აიცილოს უბედურება. ამის შედეგი კი იმედგაცრუება იქნება.
მაგალითად:

ცუდი: მოხდა უბედური შემთხვევა, რომელიც ცუდად დამთავრდა	კარგი: თქვენი მეუღლე უბედურ შემთხვევაში მოყვა და გადარჩა.

6.1.3 შეტყობინების მიმღების რეაქცია

ცუდი ამბების შეტყობინების მნიშვნელოვანი ნაწილია ფაზა, რომლის დროსაც შეტყობინების მიმღებ მხარეს აქვს რეაგირების საშუალება. გასათვალისწინებელია ამ მხარის მიერ ნეგატიური რეაქციის ალბათობა. რეაქცია შეიძლება იყოს როგორც დაუჯერებლობა, უარყოფა, ასევე სიბრაზე, ჩხუბი. შეტყობინებამ შეიძლება გამოიწვიოს ადრესატის დათრგუნვა ან ძლიერი ემოციური აფეთქება.

6.1.4 თანაგრძნობის გამოხატვა

იმ პირისთვის, რომელიც ატყობინებს ცუდ ამბავს, მნიშვნელოვანია, იცოდეს, რომ ნეგატიური რეაქცია ნორმალურია და რომ თვითონაც მსგავს სიტუაციაში, ანალოგიურად მოიქცეოდა. პოლიციელმა ადრესატს უნდა მისცეს რეაგირების შესაძლებლობა. ასეთი რამ იდენტურია თვით დაზარალებულთან ურთიერთობისა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, ადრესატის ემოციების ხელშეწყობა, ყურადღების გამოჩენა და თანაგრძნობის გამოხატვა ადრესატის ემოციების/გრძნობების მიმართ, თუნდაც ეს გრძნობები მისთვის გაუგებარი ან მიუღებელი იყოს.

6.1.5 დასრულება

ბოლოს, პოლიციელი უნდა ეცადოს ადრესატის ყურადღების მცირედით მაინც გაფანტვას. ეს შესაძლებელია მომხდართან დაკავშირებული სხვადასხვა

პრაქტიკული ასპექტის აღნიშვნით. მაგალითად: ჰკითხოს მას, თუ არის კიდევ ვინმე, ვისაც უნდა აცნობონ მომხდარის შესახებ და სთხოვოს ამაში დახმარება.

6.2 ცუდი ამბების შეტყობინებისას შექმნილი განსხვავებული სიტუაციები

რადგან ადამიანების უმრავლესობისთვის არასასიამოვნოა ცუდი ამბების შეტყობინება, ისინი შეტყობინებისას მიმართავენ თავიდან აცილების ხერხს.

6.2.1 გადადება

გადადების ხერხი გამიზნულია ადრესატის რეაქციის შეყოვნებისკენ. პოლიციელი ცუდი ამბის შეტყობინებამდე ბევრს საუბრობს მომხდარის გარშემო. ადრესატი ასეთ შემთხვევაში ხედება, რომ "ყველაფერი რიგზე არ არის".

იგივე ეფექტი აქვს ე.წ. "თვითონ მიხვედრის" მეთოდს. პოლიციელი ისე წარმართავს საუბარს, რომ ადრესატი იძულებულია, თვითონ მიხვდეს საუბრის მიხედვით, თუ რაშია საქმე, და სიტყვიერად დასვას კითხვა, მაგ: "თქვენ გინდათ თქვათ, რომ ჩემი ქმარი დაიღუპა?".

6.2.2 "ცუდი ამბის გაუბრალოება"

შეტყობინების კიდევ ერთი ხერხია: ცუდი ამბის გაუბრალოება. პოლიციელმა ისე უნდა გადმოსცეს შეტყობინება, რომ შეამციროს მისი სერიოზულობა.

6.2.3 შეტყობინების მიმღების მიტოვება

ზოგჯერ პოლიციელი ამბის შეტყობინებისთანავე გამოდის ადრესატის სახლიდან იმ სურვილით, რომ რაც შეიძლება, სწრაფად მიატოვოს იქაურობა და ადრესატს არ მისცეს რეაქციის მისი თანდასწრებით გამოხატვის საშუალება. იგი ამგვარად იმიტომ იქცევა, რომ ეშინია ინფორმაციის მიმღების ძლიერი ემოციური რეაქციის. ასევე იგი არ არის დარწმუნებული, იცის, თუ არა, როგორ მოიქცეს ასეთი რეაქციის დროს.

7. დაზარალებულის ინფორმირება

დაზარალებულს და უახლოეს ნათესავებს ჩვეულებრივ ბევრი კითხვა რჩებათ უპასუხო. პოლიციელები ხშირად ცდილობენ დაეხმარონ მათ მათი მოვალეობის ფარგლების მიღმა. ამით ისინი იმაღლებენ თავიანთ იმიჯს და აუმჯობესებენ თანამშრომლობას მოქალაქეებთან.

დაზარალებული და მისი ახლობლები ითხოვენ სხვადასხვა სახის ინფორმაციას. აქვე მოცემულია ამგვარი ინფორმაციის უზრუნველყოფის მაგალითები.

მიზნები:

- დაასახელეთ დაზარალებულისთვის საჭირო სხვადასხვა სახის ინფორმაცია
- აღნიშნეთ, თუ რა ძირითადი მოტივი უბიძგებს ადამიანს, ასეთი კითხვების დასმისკენ
- დაასახელეთ ის ორგანიზაციები/დაწესებულებები, რომელსაც დაზარალებულმა უნდა მიაკითხოს

- ჩამოთვალეთ ხუთი პრინციპი, რაც პოლიციელმა უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულისთვის ინფორმაციის მიწოდებისას
- ისწავლეთ, თუ როგორ უნდა მართოთ დაზარალებულის მოლოდინი
- აღწერეთ "უარის თქმის" პროცედურა.

7.1 ინფორმაციის სახეები

7.1.1 პროცესუალური და სისხლის სამართლებრივი ინფორმაცია

დაზარალებული ვერ იქნება სისხლის სამართლის ან სამართალწარმოების ექსპერტი. მან არ იცის თავისი მდგომარეობა და უფლებები. ზოგადად, ადამიანს აინტერესებს, შემდეგ რა მოხდება. მდგომარეობებისა და კანონის გათვალისწინებით პოლიციელს შეუძლია დაზარალებული უზრუნველყოს სამოქალაქო სარჩელის შესახებ ინფორმაციით. დაზარალებულს შესაძლოა ესაჭიროებოდეს ინფორმაცია ჩვენების მიცემისა და ფიცის შესრულების ვალდებულებებთან დაკავშირებით მოქმედ კანონმდებლობაზე. ასევე საჭიროა დაზარალებულისთვის დამნაშავესთან შესაძლო დაპირისპირების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. მაგალითად, წინასწარი მოსმენის ან ბრალის წაყენების დროს. ბევრი ადამიანი ასევე ინტერესდება ანონიმურობის გარანტიით ჩვენების მიცემის შესაძლებლობით და იმით, უზრუნველყოფილი იქნება თუ არა პოლიციის მიერ მისი უსაფრთხოების გარანტია. პასუხები რა თქმა უნდა დამოკიდებული იქნება ამა თუ იმ ქვეყნაში არსებული სიტუაციის მიხედვით.

ადამიანებს ხშირად აინტერესებთ, პოლიციელმა იცის თუ არა სამართალდამრღვევის ვინაობა, დაკავებულია თუ არა იგი უკვე, თუ არა, რამდენად მალე მოხდება მისი დაკავება. ასევე წამოიჭრება დასჯის საკითხი. ასეთი კითხვების მრავალი მოტივი არსებობს. კერძოდ:

უსაფრთხოება

ადამიანები ცხადია გულგრილნი არ არიან იმ საკითხებთან დაკავშირებით რაც მათ უსაფრთხოებას ეხება. მათი აზრით: "როდესაც სამართალდამრღვევი არ არის დაკავებული, ისინი შესაძლოა კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს".

სამართლიანი სამსჯარო

ბევრ ადამიანს სამართლიანობის ძლიერი გრძნობა აქვს. ცალსახაა დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რომ სამართალდამრღვევი უნდა დაისაჯოს, რაც ხშირად ფრაზით: "ადამიანს არ უნდა ეპატიოს ამ სახის დანაშაული", გამოიხატება.

შურისძიება

ზოგი ადამიანი შურისძიების შესახებ უარყოფითად არის განწყობილი და ამბობს: "ვინც მე ეს გამიკეთა, უფრო მეტად დაიტანჯება". ხოლო მათ, ვინც შურისძიებაზე მოტივირებული არიან, არ მოსწონთ ასეთი ფრაზა. მათთვის სასჯელი არასაკმარისია.

7.1.2 პრაქტიკული და პერსონალური დახმარება

პრაქტიკული დახმარება

უმრავლეს შემთხვევაში უბედური შემთხვევა და დანა'მაული მთავრდება გარკვეული სახის ზიანით. ეს შეიძლება იყოს მატერიალური ზარალი (მიყენებული მანქანისადმი, ტანსაცმლისადმი), ან ფიზიკური და/ან ემოციური. დაზარალებულს ხშირად სურს, გაიგოს, როგორ აუნაზღაურდება ზიანის გამო წარმოშობილი ხარჯები, კერძოდ დაიფარება იგი უშუალოდ დამნაშავის თუ სადაზღვევო კომპანიის მიერ. ამასთან დაკავშირებით მინიმალური ინფორმაცია მაინც უნდა მიეწოდოს დაზარალებულს. პოლიციელს ასევე შეუძლია დაზარალებულს შესაბამისი დაწესებულების (მაგალითად: არასამთავრობო ორგანიზაცია, სამედიცინო სარეაბილიტაციო ცენტრები და სხვ.) შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია.

პერსონალური დახმარება

ადამიანებს, რომლებმაც განიცადეს ტრავმატული შემთხვევები, ესაჭიროებათ ფსიქოლოგიური მხარდაჭერა. ზოგი ამის საჭიროებას თავად ხედავს. როდესაც ადამიანს მომხდარის განცდასთან გამკლავების პრობლემები აქვს, მას ურჩევენ პროფესიონალურ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. ასეთი პრობლემები გამოიხატება ხანგრძლივი სიმპტომებით (ფიზიკური თუ ემოციური), ასევე ქცევის შეცვლით. მაგალითად, კონფლიქტები თანამშრომლებთან ან ოჯახში. გამკლავების პროცესის შეფერხების დიდი ალბათობაა განმეორებითი ტრავმული შემთხვევის დროს. ამ პრობლემისადმი უყურადღებობამ შეიძლება გამოიწვიოს ხშირი ავადმყოფობა და სერიოზული პრობლემები ურთიერთობაში. ასეთ შემთხვევებ'ში მზრუნველობა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. ბევრგან არის რეაბილიტაციის ცენტრები (სამედიცინო დახმარების) ან სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია.

7.1.3 პრევენცია

ადამიანი შეიძლება დაინტერესდეს, თუ როგორ აიცილოს ინციდენტის განმეორება. პოლიციელმა ამასთან დაკავშირებით შეიძლება ურჩიოს მაგალითად: საკეტების გამოცვლა კარებზე.

7.2 გასათვალისწინებელი დეტალები ინფორმაციის მიწოდებისას

7.2.1 სასჯელთან დაკავშირებული განცხადებები

ასეთი სახის კითხვებზე პასუხის გაცემა ძნელია, რადგან პოლიციელს არ აქვს უფლება, რაიმეს დაპირდეს დაზარალებულს. პოლიციის პატიოსნების თვალსაზრისით უკეთესია მან გვერდი აუაროს ამ კითხვებზე პასუხს და გააგზავნოს დაზარალებული შესაბამის დაწესებულებაში (იხ. 7.2.5. "უარის თქმა").

ყურადღებიანი მოსმენა ხელს უწყობს პოლიციელს, ჩაწედეს კითხვის მოტივს. ზოგჯერ უმჯობესია სხვა პასუხი:

- როდესაც კითხვა ეხება უსაფრთხოებას (დააპატიმრებენ სამართალდამრღვევს?), პოლიციელი უნდა ეცადოს, პერსპექტიულად მიუდგეს საკითხს (ამ ტიპის კრიმინალები იშვიათად თუ დაუბრუნდებიან

დანაშაულის ადგილს). ნებისმიერი რჩევა, რომელიც ეხება დანაშაულის თავიდან აცილებას, სასარგებლო იქნება.

- თუ საქმე ეხება შურისძიებას, დაზარალებულის ემოციები მიმართულია სამართალდამრღვევისადმი, როგორც პიროვნებისადმი. სასარგებლო იქნება იმ საშუალებების ილუსტრირება, რომლითაც დაზარალებული მხარე უნდა ჩაებას სისხლის სამართლის პროცესში, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სიკვდილით დასჯა აკრძალულია.
- თუ კითხვა შეეხება სასჯელის აღსრულებას (დანაშაულის შესაფერისი სასჯელი), პოლიციელმა თავი უნდა აარიდოს პასუხის გაცემას, რადგან ასეთი საკითხები პოლიციელების ფუნქციებში არ შედის. მას შეუძლია მიაწოდოს ინფორმაცია იურიდიული პროცედურებისა და რაიონულ პროკურატურაში მიმართვის შესახებ.

7.2.2 მოლოდინი

დაზარალებულის გამოძიებასთან დაკავშირებული მოლოდინები ძალიან დიდია. ეს არც არის გასაკვირი, რადგან დაზარალებულისთვის ინციდენტის გამოძიებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მისთვის როგორც წესი ძნელია იმის წარმოდგენა, რომ მისი საქმე ბევრიდან მხოლოდ ერთ-ერთია და შეიძლება სხვებზე ნაკლებად მნიშვნელოვანიც იყოს.

7.2.3 ინფორმაციის დოზირება, გაგების შემოწმება

რადგანაც ინფორმაციის მიმღები არ არის ამ საკითხში გამოცდილი და უმრავლეს შემთხვევაში მეტად ემოციურია, ინფორმაცია უნდა მიეწოდოს შესაბამის დროს და სათანადო დოზით, ასევე ადვილად გასარკვევ ენაზე, პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენების გარეშე, რათა დაზარალებული არ დაიბნეს ან რაიმე არასწორად არ გაიგოს.

პოლიციელმა კი ინფორმაციის მიწოდებისას დრო და დრო უნდა შეაჯამოს დეტალები, რათა დარწმუნდეს, რომ დაზარალებულისთვის ის გასაგებია. დაზარალებულის კითხვების მიხედვით გასაგები გახდება, საჭიროა თუ არა ინფორმაციის გამეორება ან რაიმეს ახსნა.

7.2.4 შესაბამის დაწესებულებაში გაგზავნა

დაზარალებულის სხვა ორგანიზაციაში გაგზავნა უნდა მოხდეს იმგვარად, რომ მას ინფორმაციის გამოყენების დიდი შანსი ჰქონდეს. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანმა უნდა შეძლოს ამ ორგანიზაციის მოძებნა. ამიტომ პოლიციელმა უნდა აცნობოს მას არა მხოლოდ სახელწოდება, არამედ მისამართი და ტელეფონის ნომერიც. გარდა ამისა, ადამიანებს ურჩევნიათ, ზუსტად იცოდნენ, თუ კონკრეტულად ვის უნდა მიმართონ. ეს ამცირებს ორგანიზაციასთან ურთიერთობის ბარიერებს. პოლიციელს შეუძლია, თვითონ დაუკავშირდეს ამა თუ იმ ორგანიზაციას და მოუგვაროს დაზარალებულს შეხვედრის საკითხი.

მნიშვნელოვანია ის, რომ ყოველივე ზემოთხსენებული დაზარალებულმა ნებაყოფლობით გააკეთოს. დახმარების დაძალებამ შეიძლება მას აგრძნობინოს, რომ ის დაუცველია.

პოლიციელმა შეიძლება შესთავაზოს დაზარალებულს პროფესიულ ორგანიზაციაში მისვლა, სადაც აგვარებენ პოსტ-ტრავმული პერიოდის სტრესულ დარღვევებს. არსებობენ ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დაზარალებულს ასევე სთავაზობენ დახმარებას.

ზოგ შემთხვევაში დაზარალებულს შეიძლება აღმოეჩინოს დახმარება სამუშაო ადგილზე. იმისთვის, რომ პოლიციელი სწორად მიუდგეს ადამიანებს, მან უნდა იცოდეს, თუ რას ნიშნავს "სოციალური რუქა". მან ასევე უნდა იცოდეს ამგვარი ორგანიზაციების არსებობის და მათი ძირითადი საქმიანობის შესახებ, რათა შეძლოს დაზარალებულის საუკეთესო ორგანიზაციაში გაგზავნა.

7.2.5 უარის თქმა

არსებობს სიტუაციები, როდესაც დაზარალებული თვლის, რომ პოლიციელს უფრო მეტის გაკეთება შეუძლია მათთვის, ვიდრე ეს შესაძლებელია. ამგვარი მოლოდინების მართვა პოლიციელის მოვალეობაა.

მოლოდინების მართვის შაბლონი:

დაზარალებულის მოთხოვნა/სურვილი

მაგალითად, დაზარალებულს სურს, გაიგოს ვინ არის ეჭვმიტანილი. პოლიციას არ შუძლია ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემა.

დახმარების სურვილის გამოხატვა

პოლიციელი აგებინებს დაზარალებულს, რომ მისი დახმარება სურს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას სურს, რომ შეეძლოს მისი თხოვნის შესრულება, ან, რომ მან კარგად იცის, რისი გაგება სურს დაზარალებულს.

არგუმენტების დასახელება

პოლიციელი შესაბამისად აღნიშნავს, რომ ვერ გასცემს ინფორმაციას და უხსნის ამის მიზეზს.

რეაქციის დალოდება

მეორე მხარეს შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი რეაქცია. პოლიციელმა უნდა მისცეს მას რეაქციის გამოხატვის საშუალება.

ნეგატიური რეაქციის თავიდან აცილება შეიძლება: - თანაგრძნობის გამოხატვით არგუმენტების დასახელებით დაზარალებულის ყურადღების სხვა თემაზე გადატანით

პოლიციელმა უნდა გამოხატოს თანაგრძნობა დაზარალებულის მდგომარეობისა და გრძნობებისადმი. მაგალითად: მან შეიძლება უთხრას, რომ ესმის, თუ რას განიცდის ის, და უმეორებს არგუმენტებს.

შემდეგ პოლიციელმა უნდა სცადოს მისი ყურადღების სხვა თემაზე გადატანა. თუ არსებობს დაზარალებულის დახმარების სხვა ალტერნატივა, მისი შეთავაზება ამ მომენტში უნდა მოხდეს.

8. დანართი

სახელმძღვანელოს დანართის სახით სამ სტატიას ვურთავთ, რომელიც დაზარალებულის სტატუსს შეეხება. სტატიები გამოქვეყნდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული სწავლების და ინფორმაციის ცენტრის მიერ გამოცემულ სტატიათა კრებულში: "ყოველწლიური საჯარო მოსმენები ადამიანის უფლებათა საკითხებში".

ჩვენ მადლობა გვინდა გადავუხადოთ ავტორებს, რომელთაც ნება დაგვრთეს რათა მათი ნაშრომები წინამდებარე სახელმძღვანელოში გამოქვეყნებულიყო.

დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში

ომარ ჯორბენაძე
თბილისის საოლქო
სასამართლოს მოსამართლე

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპის კონვენციით და სხვა საერთაშორისო აქტებით აღიარებული და დაცულია ადამიანის ისეთი უფლებები, როგორიცაა სიცოცხლის, თავისუფლების, პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის, საკუთრების, კომპეტენტური და სამართლიანი სასამართლოს მეშვეობით უფლებათა აღდგენის უფლება და სხვა.

დღეისათვის საზოგადოების უდიდესი ნაწილის მიერ მიჩნეულია, რომ ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტებით აღიარებული და დაცულია მხოლოდ ეჭვმიტანილის (ბრალდებულის, განსასჯელის) უფლებები სახელმწიფოს (შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებისა და თანამდებობის პირების სახით) უკანონო ხელყოფისაგან. ეს მართლაც ძირითადად ასეა, მაგრამ თუ საკითხს სხვა კუთხით შევხედავთ, ცხადია, რომ ეს უფლებები ვრცელდება არა მარტო ეჭვმიტანილზე (დანაშაულის შესაძლო ჩამდენ პირზე), არამედ, რა თქმა უნდა, ყველა მოქალაქეზე. ანუ, პირის სიცოცხლის, პატივისა და ღირსების, თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლება და ა. შ. მხოლოდ მაშინ კი არ წარმოიშობა, როდესაც მასზე მიიტანენ ეჭვს რაიმე დანაშაულის ჩადენისათვის, არამედ ეს უფლებები ყველა მოქალაქეს გააჩნია დაბადებიდანვე. უბრალოდ, სანამ არ მოხდება ამ უფლებათა ხელყოფა ან არ დადგება ხელყოფის რეალური საშიშროება, ამ უფლებათა დამცავი მექანიზმები მოქმედებაში არ მოდის. უფლებათა დარღვევად მიჩნეული უნდა იქნეს არა მარტო ის, რომ სახელმწიფო თვითონ, თავისი ორგანოებისა და მოხელეების მეშვეობით დაარღვევს ადამიანის (მათ შორის, ეჭვმიტანილის) უფლებებს, არამედ ისიც, როცა სახელმწიფო არ, ან ვერ იცავს თავის მოქალაქეს სხვა პირის კანონსაწინააღმდეგო ქმედებისაგან, ასევე, სახელმწიფო არ, ან ვერ აღუდგენს პირს უფლებებს, რომელიც დაირღვა სხვა პირის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად.

სამართლიანი სასამართლოს უფლება არის არა მარტო ბრალდებულის, არამედ მთელი საზოგადოების, ყველა მოქალაქის, მათ შორის, დაზარალებულის უფლებაც. სახელმწიფო არის ხალხის (ქვეყნის მოსახლეობის) მიერ შექმნილი ინსტიტუტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ყველა მოქალაქის უფლებათა დაცვა, ერთი მოქალაქის მიერ დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დარღვეული მეორე მოქალაქის უფლებების აღდგენა და დამრღვევის მიმართ კანონშესაბამისი პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა. კანონმორჩილი მოქალაქე, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებს სახელმწიფოს წინაშე თავის ვალდებულებებს (მათ შორის, იხდის გადასახადებს და ინახავს სახელმწიფო აპარატს), უფლებამოსილია, მოითხოვოს სახელმწიფოსაგან თავისი უფლებების დაცვა, ასევე, სხვა პირის მიერ დარღვეული უფლებების აღდგენისა და დამრღვევის პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა.

საბჭოთა სახელმწიფოში, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, სახელმწიფო და ხალხი აღიქმებოდა ორ რადიკალურ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ პოლუსად. სახელმწიფო რეალურად წარმოადგენდა არა ხალხის ინტერესების დამცველს, არამედ, პირიქით, ხალხი აღიქმებოდა სახელმწიფო მანქანის მსახურად. ასეთ პირობებში, შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლოც საზოგადოების მიერ აღიქმებოდა არა უფლებადამცველ, არამედ – დამსჯელ, დევნის ორგანოდ. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (მათ შორის, საქართველოში) სამართალდამცავი ორგანოების მიმართ არსებული უნდობლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სწორედ ეს არის. ამ მემკვიდრეობისა და სხვა ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორთა გავლენით, დამოუკიდებლობის მოპოვების პირველსავე წლებში განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა საკითხი თვით სახელმწიფო ორგანოთა თანამშრომლობის უკანონო ქმედებებისაგან მოქალაქეთა დაცვის შესახებ. ძველი ინერციით გრძელდებოდა დაკავებული პირის მიმართ ანტიჰუმანური და კანონსაწინააღმდეგო მოპყრობა – ცემა, წამება, შანტაჟი, მოტყუება. ამიტომაც საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა უფლებების დაცვისათვის ბრძოლა და საერთოდ მივიწყებული იქნა დაზარალებული – ფიზიკური ან იურიდიული პირი, ვისაც დანაშაულის შედეგად მიადგა ზიანი. ანუ, თითქოსდა აქსიომად იქცა, რომ ყველამ უნდა დაიცვას იმ პირის უფლებები, რომელმაც, სავარაუდოდ, ჩაიდინა დანაშაული და საერთოდ დაუცველი რჩება მსხვერპლი (ანუ დაზარალებული), რომლის უფლებები ერთხელ უკვე დაირღვა დანაშაულის ჩადენით, ხოლო მისი უფლებების აღდგენა და დაცვა თითქოს უმნიშვნელოა. ეს მიდგომა არასწორია. ჩვენი აზრით, ძალზე ნაადრევად დაგვავიწყდა, რომ ტოტალიტარულ საბჭოთა რეჟიმს დამოუკიდებელი საქართველოსთვის მხოლოდ ეჭვმიტანილ და ბრალდებულ პირთან უკანონო მოპყრობა კი არ „უანდერძებია," არამედ ისიც, თუ როგორ ხდებოდა გარიგებები ეჭვმიტანილთან, ბრალდებულთან (მათ ახლობლებთან) და ამის ხარჯზე როგორ ირღვეოდა დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირის უფლებები. სახელმწიფო თანაბრად უნდა იცავდეს როგორც ბრალდებულის, ასევე დაზარალებულის ინტერესებს. მხოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება საზოგადოებაში სამართლიანობის რწმენის დამკვიდრება.

სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას დაზარალებულის უფლებები. ამავე დროს, დაზარალებულს უფლება აქვს, თვითონ განახორციელოს გარკვეული (კანონით განსაზღვრული) ქმედებები თავისი უფლებების დასაცავად. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ იურისტთა გარკვეულ წრეებში არსებული მოსაზრება – დაზარალებულის (როგორც პროცესის მონაწილის) ინსტიტუტის საერთოდ გაუქმების შესახებ – არასწორია. ჯერ ერთი, პროცესში მონაწილეობა

დაზარალებულს შესაძლებლობას აძლევს, პროცესის ნებისმიერ ეტაპზე განსაზღვროს და განახორციელოს ის ქმედებები, რაც, მისი აზრით, უკეთ უზრუნველყოფს თავისი უფლებების დაცვას. მეორე – დაზარალებულს პროცესში მონაწილეობით უფლება ეძლევა, შეაფასოს პროცესის სხვა მონაწილეთა (მათ შორის, სახელმწიფო ორგანოთა) ქმედებები და გაასაჩიეროს მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები, რაც ქმნის გარკვეულ გარანტიას მისი უფლებების უფრო მეტი ხარისხით დაცვისათვის. ამასთან, დაზარალებულისა და პროცესის სხვა მონაწილეთა ფუნქციები შეძლებისდაგვარად მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს და დაზარალებულს არ უნდა მიეცეს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციებში შეჭრის შესაძლებლობა. სწორედ ზემოაღნიშნულ საკითხთა კონტექსტში იქნება ჩვენ მიერ განხილული მოქმედი კანონმდებლობა სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის როლისა და ადგილის შესახებ.

საკითხს განვიხილავთ ორი ძირითადი მიმართულებით: 1) დაზარალებულის უფლებები, მათი დაცვის გარანტიები და სახელმწიფოს ვალდებულებები დაზარალებულის უფლებათა დასაცავად და 2) დაზარალებულის ვალდებულებები, ამ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის გარანტიები, დაზარალებულის საპროცესო სამართლებრივი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ჩვენ მიერ დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა განხილულია მოქმედი საპროცესო კოდექსისა და იმ ცვლილებების საფუძველზე, რაც პარლამენტის მიერ მიღებულია, თუმცა ამ მოხსენების შედგენის დროისათვის ჯერ არ არის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი, გამოქვეყნებული და ძალაში შესული.

1) <u>დაზარალებულის სტატუსი</u>

სსსკ-ის 68-ე მუხლის თანახმად, დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი მიადგა დანაშაულებრივი ქმედების შედეგად (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსში ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება ტერმინები „ზიანი“ და „ზარალი“, რაც ან ერთი ტერმინით უნდა შეიცვალოს ან დაკონკრეტდეს).

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმ საკითხის განხილვა, თუ როდის იძენს პირი დაზარალებულის სტატუსს. სსსკ-ის 68-ე მუხლის მიხედვით, დაზარალებულად ცნობის შესახებ გამომძიებელს, პროკურორს ან მოსამართლეს გამოაქვთ დადგენილება, სასამართლოს (კოლეგიურ შემადგენლობას) – განჩინება. ამ ნორმის თანახმად, პირი დაზარალებულის საპროცესო სტატუსს იძენს მხოლოდ პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. აქ უნდა გავმიჯნოთ ფაქტობრივად, რეალურად დაზარალებული პირი და პირი, რომელსაც პროცესის მწარმოებელი ორგანო დადგენილებით (განჩინებით) ცნობს დაზარალებულად. პირველი წინ უსწრებს მეორეს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია წარმოიშვას პირველი კოლიზია დაზარალებულსა და სახელმწიფოს ინტერესებს შორის. პირს შეიძლება მიაჩნდეს, რომ ჩადენილია დანაშაულებრივი ქმედება და მას ამ ქმედებით მიადგა ზიანი, მაგრამ იმისთვის, რომ მან შეიძინოს დაზარალებულის (მხარის) საპროცესო სტატუსი, სახელმწიფო ორგანომ ჯერ ეს ქმედება უნდა მიიჩნიოს დანაშაულებრივად და დაიწყოს საქმის წარმოება, შემდეგ ეს პირი უნდა ცნოს დაზარალებულად დადგენილების გამოტანით. თუკი არ დაიწყო საქმის წარმოება, პირს, რომელსაც თავი მიაჩნია დაზარალებულად, უფლება აქვს, გაასაჩიეროს ეს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში ან სასამართლოში. ხოლო, თუკი წარმოება დაიწყო,

მაგრამ პირს უარი უთხრეს დაზარალებულად ცნობაზე, ეს უნდა გაფორმდეს შესაბამისი აქტის (დადგენილების) გამოტანით. პირს ასევე უფლება უნდა ჰქონდეს, გაასაჩივროს იგი ზემდგომ ინსტანციაში ან სასამართლოში, ანუ ფაქტობრივი (რეალური) და პროცესუალური დაზარალებულის ცნებები განსხვავებულია – პირველი მოიცავს მეორეს. ამასთან, პირი მხოლოდ მას შემდეგ იძენს საპროცესო კოდექსით დადგენილ დაზარალებულის სტატუსს (შესაბამისი უფლება-მოვალეობებით), რაც მას სცნობენ დაზარალებულად. ამის გამო საქმის წარმოების ამ ეტაპზე ფაქტობრივი დაზარალებულისათვის საქმის წარმოების დაწყებაზე ან დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის გადაწყვეტილებათა გასაჩივრების უფლების მინიჭება მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

2) დაზარალებულის უფლება დამნაშავის დაკავებაზე

სსსკ-ის 142-ე, 143-ე, 145-ე მუხლების თანახმად, ნებისმიერ მოქალაქეს, მითუმეტეს დაზარალებულს, უფლება აქვს, დააკავოს პირი დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე. ასეთ შემთხვევაში დაზარალებულმა დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა მიიყვანოს პოლიციაში, სხვა სამართალდამცავ ორგანოში ან გადასცეს იგი ხელისუფლების წარმომადგენელს. დაზარალებულის ეს უფლება აღიარებულია საპროცესო კანონით და დავას არ იწვევს, თუმცა, დაზუსტებას მოითხოვს სსსკ-ის 146-ე მუხლის 2^1 ნაწილით (ცელილებებში – 145-ე მუხლის მე-5 ნაწილი) გათვალისწინებული ეჭვმიტანილის დაკავება საპროცესო გაფორმების კუთხით. ამ ნორმის თანახმად, დაუყოვნებლივ, დაკავების ადგილზეევ უნდა შედგეს დაკავების ოქმი ეჭვმიტანილის ყველა უფლების განმარტებით და ა.შ. ხოლო ასლი უნდა ჩაბარდეს დაკავებულს. რა თქმა უნდა, დაზარალებული ამას ვერც შეძლებს და არც ევალება. ანუ ერთმანეთს უპირისპირდება დაზარალებულის უფლება – დააკავოს დანაშაულის ჩამდენი და დაკავებულის უფლება, რაც გათვალისწინებულია სსსკ-ის 146 მუხლის 2^1 ნაწილით (იცოდეს დაკავების საფუძველი, რაშია ეჭვმიტანილი, რა უფლებები გააჩნია და სხვა). გარდა ამისა, დაზარალებულმა (ნებისმიერმა სხვა მოქალაქემაც) პირი შეიძლება დააკავოს ისეთ ადგილას, საიდანაც მისი პოლიციაში წარდგენა მას არ შეუძლია, იგი შეიძლება ჩააბაროს ხელისუფლების წარმომადგენელს (მაგ. სოფლის გამგებელს), რომელიც ასევე არ არის უფლებამოსილი, განახორციელოს 146-ე მუხლის 2^1 ნაწილის მოქმედებები. პოლიციის (ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს) თანამშრომელთა მისვლამდე შეიძლება გავიდეს გარკვეული დრო და ამ დროის განმავლობაში ამ პირის დაკავება არ უნდა ჩაითვალოს სსსკ-ის 146-ე მუხლის 2^1 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევად. აღნიშნულის გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სსსკ-ის 146-ე მუხლის 2^1 ნაწილს (ცელილებებში – 145.5) დაემატოს დათქმა, რომ ეს მოთხოვნები არ გავრცელდება დაზარალებულის (ან სხვა პირის) მიერ ეჭვმიტანილის დაკავებაზე. ამასთან, მიგვაჩნია, რომ საპროცესო კოდექსით შეზღუდულია დაზარალებულის უფლება დამნაშავის დაკავებაზე. კერძოდ, სსსკ-ის 142-ე და 143-ე მუხლების თანახმად, პირს, რომელიც არ არის სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი (ანუ დაზარალებულიც), მხოლოდ მაშინ აქვს პირის დაკავების უფლება, თუ მას „წაასწრო დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე." შეიძლება დანაშაულის ჩამდენი პირი დანაშაულის ჩადენიდან გარკვეული (თუნდაც ხანგრძლივი) დროის შემდეგ დაზარალებულმა შემთხვევით ნახოს და ამოიცნოს ქუჩაში. თუკი მას ამ დროს არ ექნება პირის დაკავებისა და პოლიციაში წარდგენის უფლება, ეს პირი კვლავ მიიმალება. ამიტომ მიგვაჩნია, რომ დაზარალებულს უნდა ჰქონდეს უფლება, პირი დააკავოს სსსკ-ის

142 მუხლის „დ“ ქვეპუნქტში მითითებული საფუძვლითაც – „პირი მიიმალა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაგრამ შემდგომ იგი ამოიცნო დაზარალებულმა.“

სისხლის სამართლის როგორც თეორიის, ასევე პრაქტიკის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს დაზარალებულის მოქმედება დანაშაულებრივი ქმედებისაგან თავდასაცავად. ამ შემთხვევაში დგება თავდასხმისა და თავდაცვის ინტენსივობის, თანაფარდობის და სხვა საკითხები. დაზარალებულს უფლება აქვს, თავი დაიცვას დანაშაულებრივი ქმედებისაგან, მიაყენოს ზიანი თავდამსხმელს მისი სიცოცხლის მოსპობის ჩათვლით აუცილებელი მოგერიების ფარგლებში. თუმცა, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ასეთ დროს საკითხი ფასდება მხოლოდ დამდგარი შედეგის მიხედვით – თუკი გარდაიცვალა თავდამსხმელი. დაზარალებულის ქმედება უკეთეს შემთხვევაში კვალიფიცირდება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, ხშირად – განზრახ მკვლელობითაც.

3) *<u>დაზარალებულის მონაწილეობა აღკვეთის ღონისძიების საკითხთა განხილვაში</u>*

დაზარალებულის როლი წინასწარი გამოძიების ეტაპზე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ შუამდგომლობის განხილვისას საპროცესო კანონმდებლობით სრულყოფილად არ არის გადაწყვეტილი და ეს საკითხი პრაქტიკაში იწვევს არაერთგვაროვან განმარტებას და ორაზროვნებას. კერძოდ, სსსკ-ის 140-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შუამდგომლობა განიხილება დახურულ სასამართლო სხდომაზე პროკურორის, გამომძიებლის, იმ პირის, ვის მიმართაც უნდა შეირჩეს იძულების ღონისძიება და მისი დამცველის მონაწილეობით. ამ ჩამონათვალში დაზარალებული არ არის. თუმცა, ამავე მუხლის მე-10 პუნქტში მითითებულია: „თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობს სხვა პირი, რომლის ინტერესებსაც ეხება შუამდგომლობა, აგრეთვე, მათი დამცველები და წარმომადგენლები, მათ ეძლევათ შესაძლებლობა, მისცენ განმარტება და ჩამოაყალიბონ თავიანთი საწინააღმდეგო მოსაზრებები.“ არსად კონკრეტდება, ვინ არის ეს „სხვა პირი,“ ან რა იგულისხმება წინადადებაში – „რომლის ინტერესებსაც ეხება შუამდგომლობა.“ თუ აქ იგულისხმება დაზარალებული (რაც, ალბათ, ლოგიკურია), მაშინ გაურკვეველია, რას ნიშნავს „თუ სასამართლოს სხდომაში მონაწილეობს,“ ანუ – თუ დაზარალებული უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს სასამართლო სხდომაში, მაშინ უნდა არსებობდეს ვინმეს ვალდებულება, აცნობოს მას სხდომის შესახებ და დაზარალებული პირდაპირ უნდა იყოს მითითებული მხარედ მუხლის მე-6 ნაწილში, სადაც ჩამოთვლილია პროცესის სხვა მონაწილენი.

ეს ერთი შეხედვით თითქოსდა უმნიშვნელო საკითხი ბევრ პრობლემას იწვევს პრაქტიკაში როგორც დაზარალებულის უფლებათა დაცვის, ასევე პროცესის წარმოების კუთხით, რადგანაც სსსკ-ის 243-ე მუხლის (საჩივრების განხილვა იძულების ღონისძიებების საკითხთა შესახებ) მე-7 პუნქტის თანახმად, სასამართლოს დაზარალებულის (ან მისი წარმომადგენლის) შუამდგომლობით უფლება აქვს, ბრალდებულს დაუმძიმოს მდგომარეობა (მათ შორის, გამოიყენოს დაკატიმრება). ამ მუხლის მე-4 პუნქტში პირდაპირაა მითითებული დაზარალებულის უფლება – მონაწილეობა მიიღოს სასამართლო სხდომაში. თუმცა, მუხლის პირველი პუნქტი საერთოდ არ განსაზღვრავს გასაჩივრების სუბიექტებს. ეს უკავშირდება საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის პრინციპსაც – შეიძლება დაზარალებული არ ესწრებოდეს რაიონულ

სასამართლო სხდომას, მაგრამ მან გაასაჩივროს გადაწყვეტილება. ზემდგომი სასამართლო უფლებამოსილია, დაუმძიმოს ბრალდებულს მდგომარეობა მ'შინ, როდესაც საუარესოდ შებრუნება დასაშვებია მხოლოდ მ'შინ, თუ მხარეს იგივე პოზიცია ეკავა პირველ ინსტანციაში და საჩივარი შეიტანა იმავე საფუძვლით. ამასთან, საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის პრინციპზე მითითებით სასამართლო დაზარალებულის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარს ვერ იტყვის, რადგანაც ეს პრინციპი ჩამოყალიბებულია არა პროცესის პრინციპებში (ზოგად ნაწ'ილ'ში) ან აღკვეთის ღონისძიებების თავში, არამედ აპელაციის თავში. ხოლო სსსკ-ის 133-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად – „სისხლის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენებისას ანალოგიის ან კანონის განერცობითი განმარტება დაუშვებელია." ანუ ანალოგიის გამოყენება დაუშვებელია საერთოდ, მათ შორის, ბრალდებულის ინტერესების სასარგებლოდაც (რაც, ჩვენი აზრით, არასწორია. ანალოგია დასაშვები უნდა იყოს ბრალდებულის ინტერესების სასარგებლოდ).

კიდევ ერთი პრობლემა ამასთან დაკავშირებით: სსსკ-ის 243-ე მუხლის თანახმად, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაა 48 საათი გადაწყვეტილების გამოცხადებიდან (ანუ სხდომის დამთავრებიდან). თუკი დაზარალებული არ ესწრება სასამართლო სხდომას (ამასთან, არავის არ აკისრია მისთვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების ვალდებულება, რადგანაც დაზარალებული არ არის იმ პირთა სიაში, ვისაც ეგზავნება გადაწყვეტილების ასლი – 140-ე მუხლის მე-16 პუნქტი), მისთვის უმრავლეს შემთხვევაში არ არის ცნობილი გადაწყვეტილება და იგი ვერ ასაჩივრებს მას 48 საათში. ამის გამო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა დაზარალებულს საჩივარი შეაქვს ერთი თვის და უფრო მეტი ხნის შემდეგაც, რასაც აუცილებლად მოსდევს მსჯელობა ვადის აღდგენაზე, მის გასაჩივრებაზე და ა. შ. (მხედველობაშია მისაღები, რომ ამ დროს საქმე გაითხოვება სასამართლოში და საკმაოდ ხანგრძლივი დროით გამოძიება ფაქტობრივად შეჩერებულია). გამოძიების საწყის ეტაპზე, აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას, რაც არ შეიძლება აღემატებოდეს დაკავებიდან მაქსიმუმ 72-საათს, ხშირ შემთხვევაში დაზარალებულად არავინ არ არის ცნობილი. შესაბამისად, რაიონულ სასამართლო სხდომას დაზარალებული ვერ დაესწრება. როცა შემდგომში პირი ცნობილი იქნება დაზარალებულად (მნი'შვნელობა არა აქვს 3 დღისა თუ 3 თვის შემდეგ), არის კი ის უფლებამოსილი, გაასაჩივროს გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია საქმეში მის ჩართვამდე?

ამ პრობლემატიკის ფონზე ისმება საკითხი, საერთოდ უნდა მონაწილეობდეს თუ არა დაზარალებული აღკვეთის ღონისძიების საკითხთა განხილვაში. აქ ერთმანეთს უპირისპირდება რამდენიმე ინტერესი, კერძოდ:

1) დაზარალებულს, როგორც პროცესის მონაწილეს და ბრალდების მხარის წარმომადგენელს, უფლება აქვს, თავისი პოზიცია დააფიქსიროს ნებისმიერ საკითხზე. აღკვეთის ღონისძიების საკითხთა განხილვაში მონაწილეობის უფლების საერთოდ აკრძალვა არღვევს მის უფლებებს. გარდა ამისა, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, აღკვეთის ღონისძიებები გამოიყენება მხოლოდ სასამართლოს მიერ, მაგრამ სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს გამომძიებლის (ცვლილებების თანახმად, გამომძიებლის 'შუამდგომლობა საჭიროებს პროკურორის თანხმობას) და პროკურორის მოთხოვნას და გამოიყენოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება, ვიდრე ითხოვს პროცესის მწარმოებელი ორგანო ან პროკურორი. ანუ, თუკი არსებობს პირის მიმართ დაპატიმრების გამოყენების ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები

(ბრალდების განსაკუთრებით მძიმე ხასიათი, მოწმეებზე ზემოქმედება, გამოძიებისათვის თავის არიდება და სხვა), მაგრამ პროკურორი იშუამდგომლებს არასაპატიმრო ღონისძიების გამოყენების შესახებ, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს მოთხოვნას და გამოიყენოს დაპატიმრება. ასეთ შემთხვევაში დაზარალებულის მონაწილეობა აღკვეთის ღონისძიების საკითხთა განხილვაში წარმოადგენს მისთვის გარკვეულ გარანტიას პროცესის სხვა მონაწილეთა ქმედებების (რომელიც, მისი აზრით, არაკანონიერია) შეფასებისათვის.

2) პროცესის თეორიაში საყოველთაოდ დამკვიდრებული აზრის თანახმად (რასაც იზიარებს მოქმედი საპროცესო კოდექსიც), აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანია. რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს გამოძიებას და სასამართლოს, აღკვეთოს შემდგომში მისი დანაშაულებრივი საქმიანობა, ხელი არ შეუშალოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და უზრუნველყოფილი იქნეს განაჩენის აღსრულება. პროცესის მწარმოებელმა ორგანომ ყველა კონკრეტულ საქმეზე თვითონ უნდა განსაზღვროს, აღკვეთის ღონისძიების რომელი სახე უზრუნველყოფს ამ მიზნების განხორციელებას. ამ საკითხთა გადაწყვეტაში დაზარალებულის მხარედ მონაწილეობა გარკვეულწილად წარმოადგენს მისი მხრიდან პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ გადასაწყვეტ საკითხებში შეჭრას. ამასთან, ხშირ შემთხვევაში დაზარალებულის პოზიცია დამყარებულია სუბიექტურ (ემოციურ) მომენტებზე – ის პირის დაპატიმრებას ითხოვს იმიტომ, რომ დანაშაული ჩაიდინა მის მიმართ. მისთვის რთულია იმის გათვალისწინება, აარიდებს თუ არა პირი თავს გამოძიებას, ჩაიდენს თუ არა ახალ დანაშაულს და სხვა.

არსებობს საკითხის გადაწყვეტის სამი გზა: 1) წინასწარი გამოძიების სტადიაზე დაზარალებული საერთოდ არ მონაწილეობდეს აღკვეთის ღონისძიების საკითხთა განხილვაში, რაც, ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე არასწორი იქნება; 2) დაზარალებული მონაწილეობდეს აღკვეთის ღონისძიების საკითხთა განხილვის ყველა სტადიაზე და მხოლოდ მისი საჩივრითაც შესაძლებელი იყოს ბრალდებულისათვის უფრო მძიმე აღკვეთის ღონისძიების შერჩევა, ვიდრე ითხოვს გამომძიებელი ან პროკურორი და 3) შუალედური ვარიანტი (რომელიც ჩვენ უფრო სწორად მიგვაჩნია): იმისათვის, რათა გამოირიცხოს პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიკერძოება წინასწარი გამოძიების სტადიაზე და უზრუნველყოფილი იყოს დაზარალებულის უფლებათა დაცვაზე სასამართლო კონტროლის განხორციელება, ამასთანავე, გამოირიცხოს სუბიექტური მომენტები აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას (რაც ხშირად ახასიათებს დაზარალებულის პოზიციას), მიზანშეწონილად მიგვაჩნია, წინასწარი გამოძიების სტადიაზე, როგორც წესი, დაზარალებული არ მონაწილეობდეს აღკვეთის ღონისძიების საკითხთა განხილვაში. თუმცა, მას უნდა მიეცეს ამ საკითხში მონაწილეობის უფლება შემდეგი ფორმით: თუ ბრალდებულს შერჩეული აქვს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება, მაგრამ ზეწოლას ახდენს დაზარალებულზე, მოწმეებზე, თავს არიდებს გამოძიებას და ა. შ. და მიუხედავად ამისა, პროკურორი არ მიმართავს სასამართლოს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების დამძიმების მოთხოვნით, დაზარალებულს უფლება უნდა ჰქონდეს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილი იქნება განიხილოს საკითხი (რა თქმა უნდა, მხარეთა მონაწილეობით), დააკმაყოფილოს დაზარალებულის საჩივარი და დაუმძიმოს ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიება.

მხედველობაშია მისაღები, რომ პრაქტიკაში ბრალდებულის მხრიდან დაზარალებულზე ზეწოლის პრობლემა ვერ იხსნება ბრალდებულის

დაპატიმრებით. პირიქით, ხშირად ასეთ შემთხვევაში ზეწოლა უფრო ინტენსიურია ბრალდებულის ახლობლების მხრიდან. ეს უფრო სახელმწიფოს მიერ დაზარალებულის დაცვის უზრუნველყოფის პრობლემაა (რასაც ქვემოთ ვისაუბრებთ) და მისი გადაჭრა დაზარალებულის მონაწილეობით აღკვეთის ღონისძიების საკითხთა განხილვაში შეუძლებელია.

4) ***<u>დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში</u>***

ისევ საკითხებზე, როგორიცაა დაზარალებულად ცნობა, დაზარალებულის როლი აღკვეთის ღონისძიების განხილვისას, უკვე ვისაუბრეთ. შევეხოთ ზოგიერთ სხვა საკითხს.

დაზარალებული ბრალდების მხარის წარმომადგენელია და საჯარო ბრალდების საქმეებში წარმოადგენს სუბსიდიურ ბრალმდებელს. თუმცა, რა თქმა უნდა, მისი ქმედებები მკვეთრად უნდა იყოს განსაზღვრული.

პირველი, რაც განასხვავებს დაზარალებულს ბრალდების მხარის სხვა წარმომადგენლებისგან (გამომძიებელი, პროკურორი) არის ის, რომ დაზარალებული არ არის და ვერც იქნება პროცესის მწარმოებელი ორგანო. დაზარალებული უფლებამოსილია, დამოუკიდებლად (პირველად ან ადვოკატის მეშვეობით) მოიპოვოს მტკიცებულებები, მაგრამ ისინი ავტომატურად არ იძენენ მტკიცებულების ძალას. ისინი უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, ხოლო მტკიცებულების ძალას ისინი მხოლოდ მას შემდეგ იძენენ, რაც პროცესის მწარმოებელი ორგანო დაადგენს ამ მტკიცებულებათა შესახებობას კონკრეტულ საქმესთან, დასაშვებად მიიჩნევს მათ და დაურთავს საქმეს. რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ ამ საკითხზე პროცესის მწარმოებელი ორგანოების გადაწყვეტილებები დაზარალებულს შეუძლია გაასაჩივროს დადგენილი წესით. დაზარალებული, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მხარის წარმომადგენელია, იცავს თავის პირად (კერძო) ინტერესს, რაც შეიძლება ემთხვეოდეს საჯარო ინტერესს. თუმცა საჯარო ინტერესის დაცვა არ არის დაზარალებულის ვალდებულება და ეს პროცესის მწარმოებელი ორგანოს პრეროგატივაა. ანუ, ამ კუთხით საკითხის განხილვისას მივდივართ დასკვნამდე, რომ დაზარალებული არის ბრალდების მხარის წარმომადგენელი, მაგრამ არა ბრალდების მხარისათვის ზოგადად დადგენილი ყველა საპროცესო უფლებით, არამედ მისთვის მკაცრად განსაზღვრულ ფარგლებში და მის ქმედებებზე ვრცელდება პროცესის მწარმოებელი ორგანოს კონტროლი.

მეორე გარემოება, რაც დაზარალებულის სტატუსის სპეციფიკურობას განაპირობებს, მდგომარეობს შემდეგში: მიუხედავად იმისა, რომ იგი ბრალდების მხარის წარმომადგენელია (ანუ ბრალმდებელი), ვალდებულია, გამოცხადდეს გამოძახების შემთხვევაში, მისცეს ჩვენება, მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედებებში; ის შეიძლება იძულებით მოიყვანონ, ჩაუტარონ გარკვეული სახის იძულებითი ექსპერტიზა; დაზარალებული პასუხს აგებს ჩვენების მიცემაზე უარის, ცრუ ჩვენებისა და ცრუ დასმენისათვის.

მესამე სპეციფიკა დაზარალებულის სტატუსისა მდგომარეობს იმაში, რომ დაზარალებული უფლებამოსილია, დააყენოს შუამდგომლობები სხვადასხვა მოქმედებათა ჩასატარებლად, დაესწროს ამ მოქმედებებს და გაასაჩივროს პროცესის მწარმოებელი ორგანოს გადაწყვეტილებები კანონით დადგენილი

წესით. ამ შემთხვევაში დაზარალებულს გააჩნია უფლება, შეაფასოს პროცესის სხვა მონაწილეთა ქმედებები, ანუ მას აქვს გარკვეული ბერკეტები პროცესის სხვა მონაწილეებზე (მათ შორის, ბრალდების მხარეზე) ზემოქმედებისათვის.

გარკვეულ გაუგებრობას იწვევს სსსკ-ის 68-ე მუხლის მეხუთე პუნქტის დებულება იმასთან დაკავშირებით, რომ თუ პირი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი წინასწარი გამოძიების პროცესში, იგი შეიძლება ცნონ დაზარალებულად მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში სასამართლო გამოძიების დაწყებამდე. სასამართლო გამოძიების დაწყების შემდეგ (პირველ ან სააპელაციო სასამართლოში) ან კასაციაში, თუკი გამოვლინდება პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველი, საქმე უნდა დაბრუნდეს დამატებითი გამოძიებისათვის. პროცესის ზოგიერთი პროექტის მიხედვით, დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაბრუნების ინსტიტუტი საერთოდ აღარ იარსებებს. თუმცა, ეს ინსტიტუტი ჯერჯერობით მოქმედებს მიღებული ცვლილებების მიხედვითაც. ამასთან, ამ ცვლილებით 68-ე მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „პირველი ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს, პირი დაზარალებულად ცნოს სასამართლო გამოძიების დაწყებამდე." აღნიშნულმა ფორმულირებამ კიდევ უფრო გაუგებარი გახადა დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა, რადგანაც გაურკვეველია, რა ხდება მაშინ, როდესაც პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველი გამოვლინდება სასამართლო გამოძიების დაწყების შემდეგ. თუმცა, პროცესის სხვა ნორმებით, ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ საქმე ბრუნდება დამატებითი გამოძიებისათვის.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ საქმის გამოძიებაში დაბრუნების შესახებ მითითება იმპერატიულია და არ ითვალისწინებს შესაძლებლობას, სასამართლოს მიერ მოსმენილი, განხილული და შეფასებული იქნეს საკითხი. გაურკვეველია, პროცესის რომელი მონაწილის ინტერესების და კონკრეტულად რომელი ინტერესის დასაცავადაა საჭირო საქმის გამოძიებაში აუცილებელი დაბრუნება. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული გარემოება საქმის გამოძიებაში დაბრუნების იმპერატიული საფუძველი არ უნდა იყოს, მითუმეტეს, მხარეთა პოზიციის გარკვევისა და სასამართლოს მიერ შეფასების გარეშე. კერძოდ:

1) პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში განხილვის რა სტადიაზეც არ უნდა გამოვლინდეს დაზარალებულად პირის ჩართვის საფუძველი, სასამართლომ უნდა გამოარკვიოს დაზარალებულად საცნობი პირის პოზიცია – შეძლებს თუ არა იგი თავისი ინტერესების დაცვას პროცესის ამ სტადიაზე ჩართვით. იგი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობით და თუკი მიიჩნევს, რომ მისთვის საჭიროა გარკვეულ მტკიცებულებათა ხელახლა გამოკვლევა ან სასამართლო გამოძიების თავიდან დაწყება, ეს მტკიცებულებები გამოკვლეული უნდა იქნეს ხელახლა ან დაიწყოს სასამართლო გამოძიება თავიდან;
2) დაცვის მხარეს უნდა გაეცნოს ყველა მასალა, რაც დაკავშირებული იქნება პირის დაზარალებულად ჩართვასთან. ასევე, უნდა მიეცეს შესაძლებლობა, დააფიქსიროს თავისი პოზიცია ზემოაღნიშნულ საკითხებზე – საფუძვლიანად მიიჩნიოს პირის დაზარალებულად ჩართვა, ცნოს სარჩელი (თუ ასეთი იქნება), მოითხოვოს გარკვეულ მტკიცებულებათა ხელახლა გამოკვლევა ან სასამართლო გამოძიების თავიდან დაწყება;
3) იმავე საკითხებზე სასამართლომ უნდა მოისმინოს სახელმწიფო ბრალდების პოზიცია. აღნიშნულ საკითხებზე მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ სასამართლომ უნდა მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ჩართოს პირი დაზარალებულად და გააგრძელოს პროცესი არსებული სტადიიდან; დამატებით

გამოიკვლიოს ზოგიერთი მტკიცებულება ან დაიწყოს სასამართლო გამოძიება თავიდან. აღნიშნული წესიდან დაშვებული უნდა იქნეს ერთი გამონაკლისი – თუ დაზარალებულად საცნობი პირი არ ეთანხმება ბრალდების კვალიფიკაციას, ითხოვს ბრალდების დამძიმებას და ამ შუამდგომლობას სასამართლო საყურადღებოდ მიიჩნევს, საქმე შეიძლება დაბრუნდეს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად. რაც შეეხება საკასაციო ინსტანციას, თუკი საკასაციო განხილვისას გამოვლინდება პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველი, საქმე უნდა დაბრუნდეს ქვემდგომ სასამართლოში და არა გამოძიებაში.

5) დაზარალებული კერძო და კერძო-საჯარო ბრალდების საქმეებში.

მოქმედი კანონმდებლობით (სსსკ-ის 26-ე მუხლი), კერძო-საჯარო ბრალდების საქმეებად მიჩნეულია: გაუპატიურების მარტივი შემადგენლობა (მუხლი 137.1); სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების მარტივი შემადგენლობა (მუხლი 138.1); სქესობრივი კავშირის იძულება (მუხლი 139-ე); სიტყვის თავისუფლების ხელყოფა (მუხლი 153-ე); პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა (მუხლი 157-ე); ინფორმაციის გაცნობაზე უარის თქმა, ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა (მუხლი 167.7); შვილად აყვანის საიდუმლოს გამჟღავნება (მუხლი 175); ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა (მუხლი 189-ე).

კერძო ბრალდების საქმეებს წარმოადგენს (სსსკ-ის მუხლი 27-ე): ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება (მუხლი 120-ე); ცემა (მუხლი 125-ე); ცილისწამება (მუხლი 148-ე).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სწორი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მიზანშეწონილია, გაფართოვდეს კერძო ბრალდების საქმეთა წრე და კერძო ბრალდების საქმეებად იქნეს მიჩნეული ზოგიერთი მცირე მნიშვნელობის ქონებრივი დანაშაულიც, ვინაიდან ასეთი კატეგორიის დანაშაულები ხელყოფენ პირის პირად ინტერესს და მათ მიმართ საჯარო ინტერესი ძალზე უმნიშვნელოა. ასეთ შემთხვევებში პირი (დაზარალებული), როგორც წესი, ფიქრობს, რომ მისი ინტერესები უმნიშვნელოდ დაირღვა და, ამდენად, თავს დაზარალებულად არ მიიჩნევს. ასეთ საქმეთა საჯარო ბრალდების წესით წარმოება არ ემსახურება არც საჯარო და არც კერძო ინტერესის დაცვას.

რამდენიმე სიტყვით შევეხებით ამ კატეგორიის საქმეთა სისხლისსამართლებრივ ბუნებას. მათთვის დამახასიათებელი საერთო, ასევე, საჯარო ბრალდების საქმეთაგან მათი ძირითადი განმასხვავებელი სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული ქმედებების კრიმინალიზაციისათვის საკმარისი არ არის თვით ქმედების ფაქტისა და ფაქტობრივი გარემოებების არსებობა. ამისათვის აუცილებელია აგრეთვე დაზარალებულის მიერ საჩივრის შეტანაც (გარდა პროკურორისათვის გამონაკლის შემთხვევებში მინიჭებული სპეციალური უფლებამოსილებისა). ანუ სახელმწიფო მხოლოდ მაშინ იცავს დაზარალებულის უფლებებს (რაც დაცულია იმ მუხლებით, რომლებითაც გათვალისწინებული ქმედებები მიჩნეულია კერძო ან კერძო–საჯარო ბრალდების საქმეებად), როდესაც დაზარალებული საჩივრით მიმართავს შესაბამის ორგანოებს.

კერძო-საჯარო ბრალდების საქმეებში დაზარალებულს აკისრია ყველა ის ვალდებულება და სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რაც საჯარო ბრალდების საქმეში. ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი არის: 1) დაზარალებული

(ეამონაკლის შემთხვევებში – პროკურორიც) სარგებლობს უფლებით, რომ საქმის წარმოება დაიწყოს მისი საჩივრით და 2) დაზარალებულს უფლება აქვს, შეურიგდეს ბრალდებულს და მოითხოვოს საქმის წარმოებით შეწყვეტა, თუკი მიიჩნევს, რომ საქმის შემდეომმა გაგრძელებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მის ინტერესებს. ამასთან, კერძო-საჯარო ბრალდების საქმე შერიგებით არ წყდება, გარდა ზემოაღნიშნული საფუძვლისა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც დაზარალებული შეურიგდება ბრალდებულს და საქმის წარმოება მაინც გრძელდება, საქმე იძენს წმინდა საჯარო ხასიათს, რადგანაც აღარ არსებობს კერძო ბრალმდებელი. ასეთ შემთხვევებში დაზარალებული ფაქტობრივად იძენს მხოლოდ მოწმის სტატუსს და მისი კეთილ დაზარალებულად მიჩნევა აღარ ემსახურება მისი კერძო ინტერესების დაცვას. ჩვენი აზრით, დაზარალებულის მოსაზრება, რომ საქმის წარმოების შემდგომი გაგრძელება ზიანს აყენებს მის ინტერესებს, იმპერატიულად უნდა იწვევდეს წარმოების შეწყვეტას და არ უნდა ექვემდებარებოდეს შეფასებას პროკურორის მხრიდან, რადგანაც მხოლოდ დაზარალებულია უფლებამოსილი, შეაფასოს, ადგება თუ არა ზიანი მის პირად (კერძო) ინტერესს. ასეთ შემთხვევაში საქმის წარმოება შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ მაშინ, თუ ბრალდებული ითხოვს გამართლებას.

თუკი კერძო-საჯარო ბრალდების საქმეს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს და, ამასთან, დაზარალებულს უმწეო მდგომარეობის ან ბრალდებულზე დამოკიდებულების გამო არ შეუძლია დაიცვას თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები, პროკურორს უფლება აქვს, დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუნდაც არ არსებობდეს დაზარალებულის საჩივარი, ოღონდ იმ პირობით, რომ ქმედუნარიან დაზარალებულს ამაზე წერილობითი თანხმობა აქვს მიცემული.

კერძო ბრალდების საქმეთა სპეციფიკა შემდეგია: 1) საქმე აღიძერება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით; 2) საქმე წყდება შერიგებით; 3) საქმე აღიძვრება მოსამართლის მიერ და, როგორც წესი, წინასწარი გამოძიება არ ტარდება.

კერძო ბრალდების საქმეში პროკურორი მონაწილეობს, თუ ამას წერილობით მოითხოვენ მხარეები ან მხოლოდ დაზარალებული. პროკურორი უფლებამოსილია, ჩაებას კერძო ბრალდების საქმეში, თუ მას განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ასეთ შემთხვევაში წარმოება აღარ წყდება მხარეთა შერიგებით. ეფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც დაზარალებულს უფლება უნდა ჰქონდეს, მოითხოვოს საქმის შეწყვეტა, თუკი მიიჩნევს, რომ შემდგომი გაგრძელება ზიანს აყენებს მის ინტერესებს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ღიად არის დატოვებული საკითხები იმის შესახებ, თუ როგორ ხდება საქმის წარმოება, როდესაც რამდენიმე დაზარალებული და რამდენიმე შესაძლო ბრალდებულია – საკმარისია მხოლოდ ერთის საჩივარი, ყველა დაზარალებულის საჩივარია საჭირო, სხვა დაზარალებული ერთვება უკვე აღძრულ საქმეში, თუ აღიძერება ახალი საქმე. ერთ ბრალდებულთან შერიგებით საქმე წყდება მის მიმართ თუ ყველას მიმართ და სხვა.

<u>6) დაზარალებულის ვალდებულებები და პასუხისმგებლობა</u>

დაზარალებულს აკისრია როგორც საპროცესო ვალდებულებები, ასევე, შეიძლება დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც.

საპროცესო ვალდებულებები: დაზარალებული ვალდებულია – გამოცხადდეს პროცესის მწარმოებელი ორგანოს გამოძახებით, მისცეს ჩვენება, მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედებებში, არ გაახმაუროს გამოძიების მონაცემები, თუკი ამის შესახებ გაფრთხილებულია, დაიცვას კანონით დადგენილი წესები წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს.

დაზარალებულის საპროცესო პასუხისმგებლობა: დაზარალებული არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეიძლება იძულებით მოიყვანონ (რაც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სასამართლოს ბრძანებით); სსსკ-ის 70-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დაზარალებულის შემოწმება ან ექსპერტიზა – დაკავშირებული გაშიშვლებასთან, აგრეთვე, სირცხვილის გრძნობის გამომწვევი სხვა მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ დაზარალებულის თანხმობით. თუმცა, ამ, ერთი შეხედვით იმპერატიული, ნორმიდან სსსკ-ის 368-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილია გამონაკლისი – დაზარალებულის მიმართ შეიძლება ჩატარდეს იძულებითი ექსპერტიზა ვენერიული ან სხვა ინფექციური დაავადების დადგენის მიზნით, აგრეთვე, როცა ეჭვმიტანილი ან ბრალდებული მოითხოვს ექსპერტიზის ჩატარებას იმ დაზარალებულის მიმართ, რომელიც ამხელს მას დანაშაულის ჩადენაში (დაზარალებულის მიმართ იძულებითი ექსპერტიზის ჩატარება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით).

დაზარალებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა: დაზარალებული პასუხს აგებს ჩვენების მიცემაზე უარის, ცრუ ჩვენების მიცემისა და ცრუ დასმენისათვის. პრაქტიკაში არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც დაზარალებული თავდაპირველად ჩვენებაში მიუთითებს პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე (რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ დანაშაულის ფაქტი არსებობს), ამოიცნობს ამ პირს ფოტოსურათით, მაგრამ შემდგომში უარს აცხადებს ბრალდებულის ფიზიკურ ამოცნობაზე ან მასთან დაპირისპირებაში მონაწილეობაზე. გარდა ამისა, ბრალდებულის ერთ-ერთი უმთავრესი უფლებაა, დაუპირისპირდეს ყველა იმ პირს, ვინც ამხელს მას დანაშაულის ჩადენაში. სისხლის სამართლის კოდექსით ცალსახად გადაწყვეტილი არ არის და არც პრაქტიკაშია ერთგვაროვანი მიდგომა საკითხზე – უთანაბრდება თუ არა დაზარალებულის მიერ დაპირისპირებაში ან ამოცნობაში მონაწილეობაზე უარის თქმა (რისი იძულებით ჩატარებაც შეუძლებელია) ჩვენების მიცემაზე უარის თქმას, რაც ისჯება სისხლის სამართლის წესით.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კიდევ ერთ საკითხზე ყურადღების გამახვილება. სსსკ-ის 70-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ცრუ ჩვენების მიცემისათვის დაზარალებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეიძლება აღიძრას მხოლოდ განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. ეს ნორმა ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის დაზარალებულის პასუხისგებაში მიცემას ცრუ ჩვენების მიცემისათვის, კერძოდ: არის ფაქტები, როცა დაზარალებული დანაშაულის ერთადერთი მოწმეა და სხვა პირდაპირი მტკიცებულების მოპოვება თითქმის შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებში, დაზარალებული ჯერ ამხელს პირს დანაშაულის ჩადენაში (ჩვენებაში, ამოცნობისას, დაპირისპირებისას, რაც ხდება ამ პირის პასუხისგებაში მიცემისა და ხშირ შემთხვევაში დაპატიმრების საფუძველი), ხოლო გარკვეული დროის შემდეგ იგი ცვლის ჩვენებას და მიუთითებს, რომ დარწმუნებული არ არის ადრე მიცემულ ჩვენებაში და ამოცნობაში, ან საერთოდ უარყოფს ამ პირის მიერ დანაშაულის ჩადენას. ამასთან, უმრავლეს შემთხვევებში დაზარალებული დამაჯერებლად (ან საერთოდ) ვერ ხსნის, რით

არის გამოწვეული მისი მხრიდან ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებების მიცემა. ვერცერთ ასეთ შემთხვევაში საქმე სასამართლომდე ვერ მიაღწევს ბრალდებულის მიმართ პირდაპირ მტკიცებულებათა არარსებობის (აღარ არსებობის) გამო და საქმე უნდა შეწყდეს გამოძიების სტადიაზეე. ანუ ვერ იქნება ამ საქმეზე გამოტანილი განაჩენი ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილება (როგორც სსსკ-ის 70.3 მუხლშია მითითებული) და, შესაბამისად, ვერ დადგება დაზარალებულის პასუხისმგებლობის საკითხი. ხოლო ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს სახელმწიფოსაგან ზიანის ანაზღაურება პასუხისგებაში მიცემის, აღკვეთის ღონისძიების (მათ შორის, დაპატიმრების) შერჩევისათვის. ანუ სახელმწიფოს უწევს პასუხისმგებლობა დაზარალებულის ქმედებაზე, დაზარალებულის მიმართ კი სახელმწიფო ვერ ახორციელებს ვერავითარ დამსჯელ ღონისძიებას.

მიგვაჩნია, რომ ცრუ ჩვენების მიცემისათვის დაზარალებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების საფუძველი უნდა იყოს არა მარტო განაჩენი ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილება, არამედ საქმის შეწყვეტაც წინასწარი გამოძიების სტადიაზე.

დაზარალებულის მიერ ჩვენების შეცვლის საფუძველი შეიძლება იყოს როგორც პირადი არაკანონიერი ინტერესი (ბრალდებულთან ან მის ახლობლებთან უკანონო გარიგებაში შესვლა – ანუ დაზარალებულის მოსყიდვა), ასევე, დაზარალებულის იძულება ბრალდებულის ან მისი ახლობლების მიერ. ეს კი უკავშირდება დაზარალებულის დაცვას სახელმწიფოს მიერ, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

7) დაზარალებულის დაცვა კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან

მოქმედ საპროცესო კოდექსში (საქართველოს სინამდვილეში პირველად) ასახვა კპოვა კანონმდებლის ნებამ, სახელმწიფოს მიეღო გარკვეული ზომები პროცესის მონაწილეთა (მათ შორის, დაზარალებულის) დასაცავად დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. სსსკ-ის 109-ე მუხლის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს, მისი და მისი ოჯახის წევრების დაცვის უზრუნველსაყოფად მიმართოს კროცესის მწარმოებელ ორგანოს, რომელიც გამოიტანს დადგენილებას და დაცვის განსახორციელებლად უგზავნის შს სამინისტროს ან სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს. თუ დაცვის ღონისძიებებს არ გაატარებენ ან დააყოვნებენ მათ გატარებას, დაზარალებული უფლებამოსილია, შეიტანოს სარჩელი ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ. აქვე მითითებულია, რომ დაცვის განხორციელების მიზნით, გვარისა და სახელის, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და გარეგნობის შეცვლის შესახებ ეცნობება პროცესის მწარმოებელ ორგანოს. ერთი შეხედვით, თითქოს ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა გატარებით რეალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი დაზარალებულის დაცვა. თუმცა, ეს ნორმა მხოლოდ დეკლარაციად დარჩა და პრაქტიკაში ვერ განხორციელდა, ვინაიდან ასახვა და განვითარება ვერ კპოვა სპეციალურ კანონმდებლობაში, რადგანაც არ ყოფილა მიღებული რაიმე ნორმატიული აქტი (კანონი, ბრძანებულება, ინსტრუქცია, დებულება), რომელიც კონკრეტულად ამ საკითხებს დაარეგულირებდა და დეტალურად განსაზღვრავდა ამ სფეროში სხვადასხვა ორგანოთა კომპეტენციას, ასევე, დაცვის განხორციელების პროცედურასა და წესს. პრაქტიკაში პროცესის მონაწილის (მათ შორის, დაზარალებულის) „დაცვა" შემოიფარგლება იმ პირთა გამოკითხვით, ან დაკითხვით, ვისსენც მიუთითებს დაზარალებული, როგორც სეწოლის განმახორციელებელსე და მათი გაფრთხილებით, რომ აღარ

განმეორდეს იგივე. სინამდვილეში კი დაზარალებული რჩება ბრალდებულის ან მისი ახლობლებისა და კრიმინალური სამყაროს პირისპირ და დაცვის ეფექტური ღონისძიებების არარსებობა მას აიძულებს, შეცვალოს ჩვენება.

ჩვენი აზრით, საჭიროა ამ საკითხზე სერიოზული დაფიქრება, შესაბამისი ნორმატიული ბაზის შემუშავება და პროცესის მონაწილეთა დაცვის ეფექტური სისტემის შექმნა. ცხადია, ამ ეტაპზე საქართველოში ვერ შეიქმნება დაცვის ისეთი სისტემა, როგორიცაა, მაგალითად, მოწმეთა დაცვის ინსტიტუტი აშშ-ში, მაგრამ სახელმწიფომ რაღაც დონეზე მაინც უნდა უზრუნველყოს დაზარალებულის დაცვა. ერთი მხრივ, პირი დაზარალებულია იმით, რომ მის მიმართ ჩადენილია დანაშაული, მეორე მხრივ, მას ზეწოლის შედეგად აიძულებენ ჩვენების შეცვლას, მესამე მხრივ, მას სახელმწიფო ემუქრება დასჯით ცრუ ჩვენებისათვის, ანუ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მისი დაცვა დანაშაულისაგან, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მის დაცვას ზეწოლისაგან და იგივე სახელმწიფო მას ემუქრება დასჯით. ასეთ ვითარებაში დაზარალებულის ჩვენება ყოველთვის გამოიწვევს ეჭვს დაცვის ან ბრალდების მხარის მხრიდან და მისი ჩვენება ვერ იქნება უტყუარი მტკიცებულება.

8) დაზარალებულის ქონებრივი უფლებების დაცვა და აღდგენა

დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხები სისხლის სამართლის პროცესში განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, თუ სისხლის სამართლის პროცესით სხვა რამ არ არის დადგენილი. შევეხებით ზოგიერთ სპეციფიკურ მომენტს, რაც პრობლემატურია პრაქტიკაში.

ზიანის ოდენობა არსებით გაელენას ახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე, სასჯელის სახესა და ზომაზე. ზიანის ოდენობა არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებით, რაც ძალზე ხშირია პრაქტიკაში. ხშირ შემთხვევაში გატაცებული ნივთების ამოღება ვერ ხერხდება, დაზარალებულს არ გააჩნია ამ ნივთების ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტები. იმ შემთხვევაში, როცა ამოღებულია გატაცებული ნივთები და მათი ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტები დაზარალებულს არ გააჩნია, საკითხი უნდა გადაწყვიტოს სპეციალისტმა ან ექსპერტმა. ხოლო, თუ ნივთები ამოღებული არ არის და, ასევე, არ არსებობს მათი ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტები, მიღებული უნდა იქნეს მაქსიმალურად დეტალური ინფორმაცია ამ ნივთების შესახებ და, საჭიროების შემთხვევაში, ღირებულების განსაზღვრაში უნდა ჩაერთოს სპეციალისტი ან ექსპერტი.

უმრავლეს შემთხვევაში დაზარალებულისათვის გაცილებით მნიშვნელოვანია ზიანის ანაზღაურება, ვიდრე დამნაშავისათვის ამა თუ იმ სასჯელის დანიშვნა. ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას (არა მარტო საქართველოსათვის) წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების ნაწილში განაჩენის აღსრულება. თუკი მსჯავრდებული ნებაყოფლობით არ აანაზღაურებს ზიანს, ამასთან, მას არ გააჩნია რაიმე ქონება იძულებითი აღსრულებისათვის, დაზარალებული რჩება ზიანის ანაზღაურების გარეშე. ამ კუთხით სახელმწიფოს მიერ უნდა გატარდეს რეფორმა პენიტენციალურ სისტემაში. თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულები უნდა იყვნენ დასაქმებული და მათი გამომუშავების დიდი ნაწილი უნდა მიექცეოდეს ზიანის ასანაზღაურებლად. ამასთან, დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის პიროვნების გათვალისწინებით, მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული იძულებითი შრომა სასჯელის სახით.

ძალზე საინტერესო დებულებას. დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მატერიალურად დაზარალებული პირის (სამოქალაქო მოსარჩელის) ქონებრივი უფლებების დასაცავად, შეიცავს სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტი – „თუ დაუდგენელია პასუხისგებაში მისაცემი პირი ან ბრალდებული მიიმალა და მისი ადგილსამყოფელი უცნობია, ეს არ აბრკოლებს სარჩელის წარდგენას და სამოქალაქო სარჩელი შეიძლება წარედგინოს სახელმწიფოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ეს წესი სამართლიანია, რადგანაც, თუკი სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციას, დანაშაულის გახსნასა და დამნაშავის დაკავებას, ის თვითონ უნდა იყოს პასუხისმგებელი მოქალაქის წინაშე. თუმცა, აღნიშნული ნორმის ამოქმედება რამდენჯერმე იქნა გადავადებული და პრაქტიკაში არც ერთხელ არ ყოფილა გამოყენებული.

დაზარალებულის პროცესუალურ-სამართლებრივი მდგომარეობა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები

მერაბ ტურავა
საქართველოს უზენაესი
სასამართლოს მოსამართლე

<u>1) შესავალი</u>

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი მონაწილეა. სწორედ ამიტომ ეწოდება მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 კარს „სისხლის სამართლის პროცესის მონაწილენი," რომელშიც ერთ-ერთი (მე-10) თავი სწორედ დაზარალებულსა და მის წარმომადგენელს ეხება.

არ არსებობს დაზარალებულის სამართლებრივი სტატუსის ერთიანი, საყოველთაოდ აღიარებული გაგება. არა მარტო განსხვავებული სამართლებრივი სისტემები, არამედ თვით ერთი და იმავე სამართლებრივი სისტემის სახელმწიფოებიც განსხვავებულად აყალიბებენ იმ სამართლებრივ ნორმებს, რომლითაც მოწესრიგებულია დაზარალებულის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები.

არსებობს დაზარალებულის სტატუსის განსაზღვრის სხვადასხვა სამართლებრივი გზა. თუ რომელ მათგანს აირჩევს ამა თუ იმ სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ეს არის სისხლის სამართლის პოლიტიკის საკითხი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, დაზარალებული სარგებლობს ფართო პროცესუალური უფლებამოსილებით. მართალია, წინასწარი გამოძიების ეტაპზე საჯარო ბრალდების საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების დაწყების უფლებამოსილება და ვალდებულება აქვს პროკურატურას, მაგრამ დაზარალებულს ეძლევა გამოძიების პროცესში მონაწილეობის უფლება. მართალია, ეს უკანასკნელი საჯარო ბრალდების პროცესში, ამა თუ იმ ქმედების სამართლებრივი კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტის თვალსაზრისით, ვერ მიიღებს მონაწილეობას, ასევე, ვერ მიიღებს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების დაწყების ან

შეწყვეტის გადაწყვეტილებას და ეერც საბრალდებო დასკვნას შეადგენს, მაგრამ სისხლისსამართლებრივი დევნისა ან/და გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში, ეძლევა ასეთი გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება. საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში წარგზავნის შემთხვევაში, იგი სასამართლო პროცესში მონაწილეობს, როგორც სუბსიდიური მდევნელი. პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის ან თავდაპირველი ბრალდების განსასჯელის სასარგებლოდ შეცვლის შემთხვევაში, უფლება აქვს, მხარი დაუჭიროს საბრალდებო დასკვნით წარდგენილ ბრალდებას. თუ პროკურორისა და დაზარალებულის პოზიცია არ ემთხვევა ერთმანეთს, სასამართლოს შეუძლია, დაზარალებულის საბრალდებო მოთხოვნის საფუძველზე განსასჯელის მიმართ დაადგინოს გამამტყუნებელი განაჩენი და დანიშნოს სასჯელი. უფრო მეტიც, 2005 წლის 25 მარტის კანონის მიღებამდე, რომელიც ძალაში შევიდა ამავე წლის 3 მაისს, დაზარალებულს შეეძლო მოეთხოვა საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნება, მაგალითად, ქმედების კვალიფიკაციის ბრალდებულის საზიანოდ შეცვლის თვალსაზრისით. თუ სასამართლო დაზარალებულის შუამდგომლობას მიიჩნევდა დასაბუთებულად, მას უფლება ჰქონდა, საქმე დაებრუნებინა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად – როგორც სამართალში მიცემის სტადიაზე, ასევე, სასამართლო განხილვის დამთავრების შემდეგ. იგივე გადაწყვეტილება შეეძლოთ მიეღოთ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებს. დაზარალებულს უფლება აქვს, მიუხედავად პროკურორის პოზიციისა, გაასაჩივროს პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაში არ არის შესული. სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების საფუძველი შეიძლება იყოს განაჩენის ან სასამართლოს სხვა გადაწყვეტილების დასაბუთებულობა და კანონიერება, ხოლო საკასაციო გასაჩივრების საფუძველი – მხოლოდ კანონიერება. დაზარალებულს საჩივრის შეტანის უფლებამოსილება აქვს არა მარტო ბრალეულობისა და სასჯელის ნაწილში, არამედ მას, როგორც სამოქალაქო მოსარჩელეს, აქვს მისთვის მიყენებული მორალური, მატერიალური და ფიზიკური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

აღნიშნული მოდელი მოცემულია საქართველოს მოქმედ საპროცესო კოდექსში, თუმცა, არსებობს საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტის შესაძლებლობა.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმის პროცესში წამოყენებულ იქნა დღეს მოქმედი სისტემის ორი ალტერნატივა.

პირველი ალტერნატივის მიხედვით, დაზარალებულის სამართლებრივი სტატუსი უნდა შეცვლილიყო იმგვარად, რომ მისი პროცესუალური უფლებამოსილებები შემცირებულიყო. კერძოდ, მას უნდა ჰქონოდა დაზარალებულის სამართლებრივი სტატუსი მხოლოდ პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა საქმეებზე.

მეორე ალტერნატიული ვარიანტის მიხედვით კი, სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიება უნდა აწარმოოს სახელმწიფო ბრალმდებელმა. დაზარალებულს არ უნდა ჰქონდეს არავითარი პროცესუალური უფლებები ბრალეულობისა და სასჯელის საკითხებზე, ხოლო რაც შეეხება სამოქალაქო სარჩელის ნაწილს, ამ სფეროში მას უნდა შეუნარჩუნდეს ყოველგვარი უფლებამოსილება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის თვალსაზრისით.

ჯერჯერობით საქართველოში მოქმედებს პირველი მოდელი დაზარალებულის გაზრდილი საპროცესო უფლებამოსილებებით, რომელიც ნაწილობრივ შეიცვალა 2005 წლის 25 მარტის კანონით. რაც შეეხება სისხლის სამართლის

საპროცესო კანონმდებლობის რეფორმირებას დაზარალებულთან მიმართებით, ეს საკითხი საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი.

ქვემოთ ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის როგორც მოქმედ ნორმებზე, ასევე, იმ ცვლილებებზე, რომლებიც მოსალოდნელია საქართველოს კანონმდებლობაში. ასევე, შეეცდებით, მოკლედ წარმოგიდგინოთ სხვა ქვეყნების მიერ საკითხის საკანონმდებლო გადაწყვეტა.

2) საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა დაზარალებულის შესახებ[1]

ბელგია. ბელგიაში კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის ინსტიტუტი არ არსებობს. დაზარალებულს მხოლოდ სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლება აქვს. იგი ბრალდებულის დევნას ვერ განახორციელებს. მას არც მოსამართლისთვის სასჯელის დანიშვნის მოთხოვნის უფლება აქვს. აღნიშნული მხოლოდ საჯარო ბრალმდებლის პრივილეგიაა, რომელსაც სისხლისსამართლებრივ დევნაზე მონოპოლია გააჩნია. არსებობს ისეთი ტიპის საქმეები, რომლებშიც საჯარო ბრალმდებელი დევნას ვერ აღძრავს, დაზარალებულის ფორმალური საჩივრის გარეშე. ბოლო პერიოდამდე არსებობდა რამდენიმე ასეთი დანაშაული, რომლის კლასიკური მაგალითია ცოლ-ქმრული ღალატი, რომლის დასჯადობა 1987 წელს გაუქმდა. ამჟამად ასეთ დანაშაულთა რიცხვი მეტად მცირეა, მაგალითად, ცილისწამება და დიფამაცია (სსსკ-ის 450-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში საჯარო ბრალმდებელი არ არის ვალდებული, დევნა წამოიწყოს. მას, ასევე, თავისუფლად შეუძლია დევნა შეწყვიტოს ან სასამართლოში მოითხოვოს მსჯავრდებულის გამართლება, თუ საქმეს სასამართლოს დაზარალებული გადასცემს. დაზარალებულს, მართალია, არა აქვს უფლება, დევნა წარმართოს სასამართლოში, მაგრამ მას შეუძლია, სამოქალაქო სარჩელის გზით მოითხოვოს დანაშაულით მიყენებული როგორც მატერიალური, ასევე, მორალური ზიანის ანაზღაურება. ამ პროცედურას ეწოდება სამოქალაქო მხარედ ჩამოყალიბება (constitution de partie civile). თუ საჯარო ბრალმდებელმა წამოიწყო დევნა, მაშინ სარჩელის წარმდგენი დაზარალებული ხდება პროცესის მხარე. ის მონაწილეობს პროცესში როგორც საბერძნეთში მიცემის, ისე სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე. თუ იგი საქმეს ვერ მოიგებს, პროცესის ხარჯების ანაზღაურების მოვალეობა არ ეკისრება და ხარჯებს აანაზღაურებს სახელმწიფო, რომელმაც წამოიწყო საქმე. თუ საჯარო ბრალმდებელმა გადაწყვიტა, არ აწარმოოს დევნა ან ის ჯერ კიდევ გადაწყვეტილების მიღების პროცესშია, დაზარალებულს შეუძლია, უშუალოდ მიმართოს მოსამართლეს. აღნიშნული განსხვავდება დაზარალებულის უბრალო საჩივრისგან, რაც, თავის მხრივ, დანაშაულის შეტყობინების (denonciation og a crime) მსგავსია. ასეთ საჩივარს არა აქვს რაიმე პროცესუალური შედეგები, იგი სასამართლოზე საქმის გადაცემას არ გულისხმობს და საჯარო ბრალმდებელი, რომელიც მას ღებულობს, თავისუფალია ბრალდების საკითხის გადაწყვეტაში, ხოლო სამოქალაქო მხარედ ჩამოყალიბების შემთხვევაში საქმე შეიძლება დაიხუროს მხოლოდ ოფიციალური სასამართლო გადაწყვეტილებით სათათბირო პალატის ან საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ. ამ შემთხვევაში, დაზარალებულს აქვს ორი გზა, რომ ჩამოყალიბდეს სამოქალაქო მხარედ. მას

---

[1] *ამ თავში მოცემული ინფორმაცია ძირითადად გადმოცემულია შემდეგი წიგნის მიხედვით: Cristine Van den Wingaert და სხვ. CRIMINAL PROCEDURE SYSTEMS IN THE EUROPEAN COMMUNITY, 1993, ქართული თარგმანი, 2002.*

შეუძლია, უშუალოდ გამოიძახოს ბრალდებული სასამართლოს წინაშე (citation directe) ან მიმართოს გამოძიების მოსამართლეს (სსსკ-ის მუხლი 63-ე). ეინაიდან ორივე შემთხვევაში დაზარალებული ვალდებულია, აანაზღაუროს პროცესის ხარჯები გამართლების ან საქმის შეწყვეტისას, სასამართლოში ბრალდებულის უშუალოდ გამოძახება უფრო ხელსაყრელი გზაა დაზარალებულისთვის, რომელსაც აქვს საკმაო მტკიცებულებები მსჯავრდების მისაღწევად. სხვა მხრივ, უფრო მიზანშეწონილია გამოძიების მოსამართლისათვის მიმართვა, რომელიც ვალდებულია, მოიძიოს დამატებითი მტკიცებულებანი. სამოქალაქო მხარედ ჩამოყალიბება შეუძლია მხოლოდ დანაშაულის შედეგად უშუალოდ დაზარალებულ პირს ან მის ახლობელს და არა მას, ვინც არაპირდაპირი ზიანი განიცადა. გამონაკლისია მხოლოდ ერთი შემთხვევა – რასიზმის წინააღმდეგ მიმართული კანონის (1981წ.) დარღვევა, რომლის მიზანია ადამიანთა უფლებების დაცვა და რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. დაზარალებულმა ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელი შეიძლება ასევე წარადგინოს სამოქალაქო სასამართლოში. თუ საქმე სასამართლოში სისხლისსამართლებრივი წესით უკვე იხილება ან საქმის განხილვა დაიწყო სამოქალაქო სარჩელის შესვლის შემდეგ, სამოქალაქო სასამართლო გადადებს საქმის განხილვას განაჩენის გამოტანამდე. სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენს აქვს პრეიუდიციული ძალა სამოქალაქო მოსამართლისათვის. მოქმედებს პრინციპი, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის სასამართლო გადაწყვეტილებას აქვს პრიორიტეტი სამოქალაქო საქმის გადაწყვეტილებაზე (le criminel tient le civil en etat). ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის წესით განსასჯელის გამართლების შემთხვევაში დაზარალებულისათვის კომპენსაციის მიღების შანსი მეტად მცირეა.

დანია. დაზარალებული არ ითვლება სისხლის სამართლის პროცესის მხარედ. მას ეცნობება დევნის ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედებები. თუ იგი უკმაყოფილოა დევნის პროცესით, შეუძლია, იერარქიულად ზემდგომ თანამდებობის პირს მიმართოს საჩივრით და, ასევე, იჩივლოს საპარლამენტო ომბუდსმენთან (folketingets, ombudsmand). გარკვეული კატეგორიის საქმეებზე დაზარალებულს აქვს დევნის უფლება, მაგალითად, პატივის, ღირსებისა და სხვა ინდივიდუალური უფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. იშვიათ შემთხვევაში დაზარალებულს აქვს დევნის უფლება, თუ ბრალმდებელმა, რაიმე მიზეზის გამო, უარი თქვა მასზე. ასეთი კერძო სამართლებრივი დევნა წესრიგდება სამოქალაქო და არა სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებით. ასევე, არსებობს რამდენიმე დანაშაული, რომელთა დევნა შეიძლება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის არსებობისას.

დაზარალებული იმავედროულად შეიძლება პროცესში მოწმედაც გამოდიოდეს, რა დროსაც მასზე ვრცელდება მოწმისთვის განსაზღვრული პროცესუალური წესები.

დაზარალებულმა, როგორც მოსარჩელემ, შეიძლება მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება. ამ შემთხვევაში მისი სარჩელი განიხილება სისხლის სამართლის საქმესთან ერთად.

ინგლისი და უელსი. ფაქტობრივად, ინგლისური სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულს locus standi არ გააჩნია. შედარებით მცირერიცხოვან საქმეებში სასამართლომ შეიძლება გასცეს ბრძანება მისთვის ზარალის ანაზღაურების შესახებ. სხვა მხრივ, მკვეთრი განსხვავება არსებობს სისხლის და სამოქალაქო პროცესებს შორის და დაზარალებულს თავისი სახელით გამოსვლა და

საკუთარი მოთხოვნის წარდგენა მხოლოდ სამოქალაქო სასამართლოს წინაშე შეუძლია.

ბოლო ხანებში შედარებით მეტი ყურადღება დაეთმო დაზარალებულის ინტერესებს. „ევროკავშირის ბრალმდებლის“ ქცევის კოდექსი (Code of practice) ბრალმდებლის მიერ დევნაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას მთავარ კრიტერიუმად ასახელებს რა საჯარო ინტერესს, იმავე დროს აცხადებს, რომ დაზარალებულის ფაქტორიც საჯარო ინტერესის ნაწილს შეადგენს და ამიტომ მასაც ყურადღება უნდა მიექცეს.

სისხლისსამართლებრივი იუსტიციის რეფორმაზე მომუშავე სამეფო კომისიამ ჩამოაყალიბა რეკომენდაციები, რომელთა მიზანია დაზარალებულთა ინტერესების უფრო ფართოდ წარმოჩენა ინგლისურ სისხლის სამართლის პროცესში. კომისიის რეკომენდაციით, რამდენადაც ეს შესაძლებელია, დაზარალებული ინფორმირებული უნდა იქნეს საქმის მსვლელობასა და მის შედეგებზე. მათ შორის, სისხლისსამართლებრივი დევნის არაღძერის შესახებ გადაწყვეტილების, ბრალდების მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებისა და სააპელაციო გასაჩივრების შედეგების შესახებ.“

საფრანგეთი. პირი, რომელმაც ზიანი მიიღო ჩადენილი დანაშაულის შედეგად, ავტონომიურად არ ხდება პროცესის მხარე. იმისათვის, რომ მან მხარის სტატუსი მოიპოვოს, საკმარისი არ არის მხოლოდ საჩივრის შეტანა, საჭიროა პროცესის მხარედ გახდომის სურვილის ოფიციალური დაფიქსირება. ეს შეიძლება მოხდეს სამოქალაქო მხარედ ჩამოყალიბების გზით (constitution de partie civile), რაც გულისხმობს გამოძიების მოსამართლის წინაშე დამოუკიდებელი შუამდგომლობის შეტანას ან საქმის განმხილველ სასამართლოში ბრალდებულის დაბარებას (citation directe). სამოქალაქო მხარე (partie civile), პროკურორისგან განსხვავებით, პროცესის კერძო მხარეს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი საჯარო მხარედ მოიაზრება.

მნიშვნელოვანი წესი, რომელიც პირველად პრაქტიკამ დაამკვიდრა პროკურორის მიერ დევნაზე უარის თქმისას, დაზარალებულის ინიციატივით დევნის აღძერაა. გამოძახების პროცედურით (citation directe) ან მოსამართლის წინაშე დამოუკიდებელი შუამდგომლობის შეტანით (constitution de partie civile), დაზარალებული აღძრავს არა მხოლოდ კერძო სარჩელს, რითაც იგი პროცესის მხარე ხდება, არამედ საჯარო დევნასაც. დღეს ეს წესი განსაზღვრულია საპროცესო კოდექსის პირველიეე მუხლში, რომლის მიხედვით, დევნა (action public) შეიძლება მოძრაობაში მოვიდეს ასევე დაზარალებულის მიერ. მიუხედავად ამისა, ასეთ საქმეზე პროკურორი პროცესის ძირითად მხარედ რჩება. თუმცა, მას ჰიპოთეტურად პროცესში ჩაბმა არ სურდა. მაგალითად, იგი ნიშნავს სასამართლოში საქმის განხილვის დღეს.

ამრიგად, დაზარალებულს შეუძლია, მოძრაობაში მოიყვანოს სისხლის სამართლის პროცესი. მას, ასევე, შეუძლია, დაკმაყოფილდეს უკვე აღძრულ პროცესსე მიერთებით (intervention).

გერმანია. გერმანული სამართლის მიხედვით, პროცესუალური უფლებების თვალსაზრისით დაზარალებული, ტრადიციულად, თითქმის ჩვეულებრივ მოწმეს უთანაბრდება. 80-იანი წლების დისკუსიების შედეგად ძალაში შევიდა ე.წ. საკანონმდებლო ნოველა დაზარალებულის უფლებების შესახებ (Opferrechtsnovelle, 1987 წლის აპრილი), რომელმაც მკვეთრად გააუმჯობესა

დაზარალებულის საპროცესო სტატუსი. აქედან გამომდინარე, დაზარალებულს აქვს უფლება, ინფორმირებული იყოს მთელი პროცესის განმაელობაში, რაც გულისხმობს საქმის მასალების გაცნობის უფლებას, თუმცა, ეს უფლებამოსილება შეიძლება ასევე განახორციელოს მისმა ადვოკატმა (§406 StPO). ეკონომიკურად ხელმოკლე დაზარალებული შეიძლება, გათავისუფლდეს როგორც ადვოკატთან კონსულტაციის, ასევე, წარმომადგენლობის ხარჯებისგან. სასამართლოში დაზარალებულის მოწმედ დაკითხვისას, მისი კერძო ცხოვრების საიდუმლოების დაცვის მიზნით, სხდომა შეიძლება დახურულად წარიმართოს.

დაზარალებულს პროცესში მონაწილეობა შეუძლია სხვადასხვა ფორმით. დაზარალებული შეიძლება მოქმედებდეს როგორც კერძო ბრალმდებელი (Privatkläger) იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი იყენებს თავის უფლებას – არ აწარმოოს დევნა, ან ვერ აგროვებს საკმარის მტკიცებულებებს. ამ დროს დაზარალებულს იგივე სამართლებრივი მდგომარეობა აქვს, რაც პროკურორს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იგი პოლიციას მითითებებს ვერ მისცემს. ასეთი ვითარება კერძო დევნას მეტად არაპრაქტიკულ ალტერნატივად აქცევს. სსსკ-ის 395-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დაზარალებული ბრალდებას შეიძლება მიუერთდეს „თანამომჩივნის" სახით (Nebenkläger). ამ შემთხვევაში, იგი მხარს უჭერს პროკურორის მიერ წარმოებულ დევნას საკუთარი ინტერესების დასაცავად. „მიერთებული პროცესი" (Adhäsionsverfahren), რომელიც საშუალებას აძლევს დაზარალებულს, სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგინოს სამოქალაქო სარჩელი დანაშაულით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად (§403 StPO), გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში წმინდა თეორიული კონცეფციაა. მოსამართლეს შეუძლია, უკუაგდოს შუამდგომლობა „მიერთებულ პროცესზე," ყოველგვარი დასაბუთების გარეშე – მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ იგი შეუსაბამოა. პრაქტიკაში ეს ასეც ხდება, რის გამოც დაზარალებულს შეუძლია ზიანის ნაწილში ახალი პროცესის წამოწყება.

საბერძნეთი. სსსკ-ის 82-ე მუხლის მიხედვით, პირს, რომელსაც ზიანი მიადგა დანაშაულის შედეგად, შეუძლია, შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის განმხილველი სასამართლოს წინაშე და მიიღოს სამოქალაქო მხარის სტატუსი. ის შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. მაგალითად, პირი, რომელიც გაქურდეს, ან ვინც განიცადა ჯანმრთელობისათვის საშიში ზიანი; პირი, რომლის ღირსებაც შეურაცხყვეს, ან კორპორაცია, რომლის რეპუტაცია შეილახა მასზე სახელის გამტეხი ცნობების გახმაურების შედეგად. როგორც წესი, სამოქალაქო მხარეს იგივე უფლებები აქვს, რაც ბრალდებულს (სსსკ-ის მე-10 მუხლი).

სამოქალაქო მხარეს შეუძლია, სამოქალაქო სამართლის მოქმედი ნორმის მიხედვით მოითხოვოს მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. მკელელობის საქმეზე მოკლულის ახლობლებს შეუძლიათ, მოითხოვონ კომპენსაცია მიყენებული „ტკივილისა და განცდისათვის" (სსსკ-ის 63-ე მუხლი). თუმცა, თუ პროკურორი დევნაზე უარს იტყვის, დაზარალებულს მხოლოდ სამოქალაქო სარჩელის შეტანა შეუძლია და კერძო დევნას ვერ წამოიწყებს. დაზარალებულს, რომელსაც სურს, სამოქალაქო მხარე გახდეს, ამის თაობაზე უნდა გააკეთოს ოფიციალური განცხადება წინასწარი გამოძიებისას ან პირველი ინსტანციის სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის დაწყებამდე (63-ე მუხლი). თუ მის სამოქალაქო მხარედ გამოცხადებას არა აქვს კანონიერი საფუძველი, ნებისმიერ მხარეს შეუძლია, მისთვის ამ სტატუსის მოხსნა მოითხოვოს (85-ე მუხლი).

თუ დაზარალებული არასრულწლოვანია, სამოქალაქო სარჩელის შეტანა შეუძლია მხოლოდ მის კანონიერ წარმომადგენელს (82(2) მუხლი). პროკურორს სამოქალაქო სარჩელი შეაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული ფიზიკურად დაავადებულია ან დანაშაული მიმართულია სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ირლანდია. ტრადიციულად, დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესში სტატუსი არ გააჩნია. მართალია, მას აქვს უფლება, საჩივარი შეიტანოს უბნის მოსამართლესთან ჩადენილი დანაშაულის შესახებ, მაგრამ დევნის წარმოება დამოუკიდებლად მხოლოდ წვრილმან დანაშაულებზე შეუძლია. დაზარალებულს ასევე არ შეუძლია, დაუპირისპირდეს nolle prosequi-ის ძალაში შესვლას.

ზოგადად, დაზარალებულს არა აქვს უფლება, ჰყავდეს თავისი ინტერესების კანონიერი წარმომადგენელი (დამცველი), თუმცა „გაუპატიურების შესახებ" 1990 წლის სისხლის სამართლის კანონის მიღებით დადგინდა, რომ გაუპატიურების ან სხვა მძიმე სექსუალური დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირებს ეძლევათ უფლება, ჰყავდეთ დამცველი სასამართლო პროცესზე თავიანთი კანონიერი ინტერესების დასაცავად.

იტალია. პირი, რომელმაც ზიანი მიიღო დანაშაულის შედეგად ან მისი გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ახლო ნათესავი შეიძლება მოგვევლინოს პროცესის აქტიურ სუბიექტად. 1988 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, დაზარალებულის მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში ორი ფორმით შეიძლება გამოიხატოს: მან შეიძლება წამოიწყოს კერძო დევნა ან მიიღოს პროცესის სამოქალაქო მხარის სტატუსი. თუნდაც ისეთ დანაშაულებზე, რომლებზე დევნაც ex officio-დ იწარმოება, დაზარალებულს აქვს უფლება, იყოს ინფორმირებული პროცესის აღძვრისა და მისი მიმდინარეობის შესახებ (iformazione di garanzia). მას აქვს უფლება, ჰყავდეს ადვოკატი, მისცეს ახსნა-განმარტება ან აღძრას შუამდგომლობა, წარმოადგინოს მტკიცებულება და მოსთხოვოს საჯარო ბრალმდებელს, წინასწარ გამოძიებაში მისაცემი ჩვენების ორგვლივ სპეციალური მოსმენის ე.წ. incidente probatorio-ს ჩატარება, გაასაჩივროს მოთხოვნა ბრალდებულის მიმართ საქმის შეწყვეტის შესახებ, იყოს გამოძიებული სასამართლოში სამართალში მიცემის სტადიაზე (udienza preliminare) და სასამართლოში განხილვისას მოსთხოვოს სხდომის თავმჯდომარეს მოწმეებისთვის შეკითხვის დასმა, ხოლო პროკურორს – სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება.

სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული, მისივე თანხმობით, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ორგანოთი ან ასოციაციით, რომელიც მის ინტერესს დაიცავს. დაზარალებულმა, ასევე, შეიძლება მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება ან რესტიტუცია ცალკე სამოქალაქო სარჩელით (azione civile), რომელიც მიებმება სისხლისსამართლებრივ დევნას. ასეთ შემთხვევაში საკუთარი სამოქალაქო უფლებების დასაცავად დაზარალებული ერთვება სასამართლოში საქმის განხილვის მხარედ. ასეთი სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს არა მხოლოდ უშუალოდ დანაშაულის მსხვერპლის, არამედ იმ პირის მიერ, ვინც მიიღო ზიანი დანაშაულის შედეგად. სარჩელი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ბრალდებულის და იმ პირის წინააღმდეგ, ვინც არაპირდაპირ აგებს ანუ ხელს მოეკიდებული ზიანისე.

სამოქალაქო სარჩელის წარდგენა შეიძლება როგორც სამართალ'ში მიცემის სტადიაზე (udenzia preliminale), ასევე, სასამართლო'ში საქმის განხილვის, მაგრამ არა წინასწარი გამოძიების დროს.

სამოქალაქო მოსარჩელე არის პროცესის მხარე ყველა გაგებით. მას აქვს ადვოკატის ყოლის, საქმის მასალების გაცნობის, მოსამართლის წინაშე ახსნა-განმარტებისა და შუამდგომლობის წარდგენის, მტკიცებულებათა წარმოდგენის უფლება. ასევე, უფლება, იყოს გამოძახებული პროცესზე, მიიღოს მონაწილეობა მხარეთა კამათში და შეიტანოს საჩივრები.

თუ დანაშაულის შედეგად დაზარალებული მხარე წარმოადგენს ცალკე სარჩელს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, მაშინ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას არა აქვს სავალდებულო ძალა სამოქალაქო მოსამართლისთვის.

ლუქსემბურგი. ლუქსემბურგის საპროცესო კოდექსმა სამოქალაქო მხარის ინსტიტუტი მიიღო 1808 წლის კოდექსიდან. ზოგადი პრინციპები იგივეა, რაც ბელგიაში, თუმცა, სამოქალაქო მხარის უფლებები წინასწარი გამოძიების სტადიაზე ლუქსემბურგში უკეთაა დაცული, ვიდრე ბელგიაში. მაგალითად, მას შეუძლია გაეცნოს გამოძიების მასალებს ბრალდებულის თითოეულ დაკითხვამდე (მუხლი 85-ე), დაესწროს ზოგიერთ საგამოძიებო მოქმედებებს, რიგორიცაა ბრალდებულის დაკითხვა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება, მოწმეების დაკითხვა და ა.შ. ამასთან ერთად, უფლება აქვს, გაასაჩივროს გამოძიების, მოსამართლის გადაწყვეტილებები, წარადგინოს გამოძიების ან ზოგიერთი საგამოძიებო მოქმედების ბათილობის მოთხოვნა. როგორც მიიჩნევენ, იგი არის პროცესის სრულუფლებიანი მხარე წინასწარი გამოძიების სტადიიდანვე.

ნიდერლანდები. დაზარალებულს ნიდერლანდული სისხლის სამართლის სისტემა რაიმე გამორჩეულ ადგილს არ აკუთვნებს. იგი მეტ-ნაკლებად უუფლებოთა მდგომარეობაში გვეელინება. ბოლო წლებში იყო მცდელობები დაზარალებულის მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით, რომელიც გამოიხატება საქმის მსვლელობის შესახებ დაზარალებულის სისტემატური ინფორმირების ან დანაშაულით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სპეციალური ფონდების შექმნით. ბოლო პერიოდში განვითარდა პრაქტიკა, რომელიც დაზარალებულს საშუალებას აძლევს, ანონიმურად მისცეს ჩვენება ბრალდებულის მხრიდან მუქარისაგან დასაცავად. დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირს ყოველთვის შეუძლია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება საქმეში სამოქალაქო მხარედ ჩართვის გზით. საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, დაზარალებულის მიერ ზიანის ასანაზღაურებლად მოთხოვნილი თანხა აღარ არის შეზღუდული.

დაზარალებული მოწმის სახით იშვიათად წარდგება სასამართლოში საქმის განხილვისას, განსაკუთრებით – ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარებისას. ეს იმით აიხსნება, რომ მოწმის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება შეიძლება სასამართლოში მტკიცებულებად იქნეს გამოყენებული.

პორტუგალია. სასამართლოს, პროკურორის, ბრალდებულისა და დაცვის ადვოკატის პარალელურად, პორტუგალიური პროცესი დაზარალებულსაც აღიარებს პროცესის აქტიურ სუბიექტად. მას მოიხსენიებენ, როგორც "ასისტენტს" (assistente). ასისტენტის ფიგურა მეტად დამახასიათებელია

პორტუგალიური სამართლისათვის და აქვს საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიციები. იგი არის პირი, რომელმაც დანაშაულებრივი ქმედებით დამდგარი შედეგით განსაკუთრებული ზემოქმედება განიცადა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი პროცესში მონაწილეობს არა როგორც სამოქალაქოსამართლებრივად დაზარალებული მხარე (partie civile), არამედ როგორც პროკურორის დამხმარე. შესაბამისად, თუნდაც საჯარო დანაშაულებთან დაკავშირებით, ასისტენტი პროცესში ნამდვილი მხარის სტატუსით მონაწილეობს. ამ კონცეფციის მიხედვით, იგი პროცესში წარმოადგენს დანაშაულის შედეგად დაზარალებულ ინტერესებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი არის „წარმომადგენელი იმ ინტერესებისა, რომლებიც კანონმა ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობის განსაზღვრისას სპეციალური დაცვის ქვეშ მოაქცია" (სსსკ-ის მუხლი 68-ე, ნაწილი I, პარ. ა). ბრალდებული პროცესში სარგებლობს მთელი რიგი ავტონომიური უფლებებით. მას შეუძლია, პროკურორის საბრალდებო დასკვნის პარალელურად შეადგინოს საკუთარი საბრალდებო დასკვნა, ასევე, გაასაჩივროს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც მას ეხება, თუნდაც პროკურორი არ ასაჩივრებდეს ამ გადაწყვეტილებას.

შოტლანდია. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბრალმდებლის პოზიციას იკავებს, დაზარალებულს შოტლანდიურ პროცესში მხარის სტატუსი არ გააჩნია, თუმცა, სასამართლოს აქვს უფლებამოსილება, 1980 წლის კანონის 58-ე მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულს დააკისროს დანაშაულით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. დაზარალებული პროცესის ამ ნაწილშიც კი მხარეს არ წარმოადგენს და არა აქვს უფლება, წარმოდგენილი იყოს ინტერესების დამცველით. ზემოთ თქმულის მიუხედავად, ზოგიერთ შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია კერძო ბრალდების აღძვრა და ამ გზით პროცესის მხარედ გახდომა.

ესპანეთი. დაზარალებულს უფლება აქვს, აღძრას პროცესი და აწარმოოს დევნა პროკურორის პარალელურად. ესპანურ სისხლის სამართლის პროცესში, ოთოქმის ყოველთვის, გამონაკლისის გარეშე, სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებასთან ერთად პროკურორი აღძრავს სამოქალაქო წარმოებასაც, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაზარალებული აშკარად უარს ამბობს სამოქალაქო სარჩელზე (სსსკ-ის მუხლი 108-ე) ან აპირებს სამოქალაქო სარჩელის წარდგენას სამოქალაქო სასამართლოს წინაშე. როგორც წესი, სამოქალაქო სარჩელს ქონებაზე უფლების დაბრუნების, მატერიალური ზიანისა და ფინანსური დანაკარგის ანაზღაურების შესახებ წარადგენს პროკურორი. მიუხედავად ამისა, დაზარალებულმა შეიძლება ითამაშოს უფრო აქტიური როლი პროცესში, თუ იგი აპირებს სხვა ბრალდებების წარმოდგენას ბრალდებულის წინააღმდეგ ან ითხოვს უფრო მეტი ოდენობით ზიანის ანაზღაურებას, ან, უბრალოდ, სურს, ოფიციალურად წარმოდგენილი იყოს პროცესში.

<u>3) დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით</u>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის მიხედვით, დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის ან შეურაცხადი კირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, ანდა, რომელსაც ასეთი ზიანი მიაყენა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებულმა პირმა. იმ დანაშაულის საქმეზე, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, დაზარალებულის უფლებები ენიჭება მის

რომელიმე ახლო ნათესავს. ერთი დონის ახლო ნათესავებს შორის დავის შემთხვევაში დაზარალებულის უფლებამონაცვლე განისაზღვრება წილისყრით. დანაშაულის მომზადების ან მცდელობის შედეგად დაზარალებულად მიიჩნევა აგრეთვე ფიზიკური პირი, რომელსაც შეიძლება მისდგომოდა ზიანი.

დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ გამომძიებელს, პროკურორს ან მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება, ხოლო სასამართლოს განჩინება. პირველი ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს, პირი დაზარალებულად ცნოს სასამართლო გამოძიების დაწყებამდე. 2005 წლის 25 მარტის კანონით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილში ცვლილების შეტანამდე, სასამართლო გამოძიების დაწყების შემდეგ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, აგრეთვე, საკასაციო ინსტანციის სასამართლოში პირის დაზარალებულად ცნობისათვის საფუძვლის აღმოჩენისას საქმე უნდა დაბრუნებულიყო დამატებითი გამოძიებისათვის. ვინაიდან 2005 წლის 25 მარტის კანონით საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების საფუძველი მინიმუმამდე იქნა დაყვანილი, ამ საფუძვლით სისხლის სამართლის საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნება არ დაიშვება. საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების ერთადერთ საფუძვლად სსსკ-ის 426-ე და 501-ე მუხლები უთითებენ ისეთ შემთხვევას, როცა პროკურორი შუამდგომლობს ბრალდებულისათვის უფრო მძიმე ბრალდების წარდგენას.

სამოქალაქო სარჩელის წარმდგენი დაზარალებული შეიძლება ცნობილ იქნეს სამოქალაქო მოსარჩელედ, რაც აისახება განჩინებაში (დადგენილებაში) პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ.

დაზარალებული საჯარო ან კერძო-საჯარო ბრალდების საქმის გამო არის სუბსიდიური ბრალმდებელი, ხოლო კერძო ბრალდების საქმეზე – კერძო ბრალმდებელი. დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე შეუძლია, უარი თქვას კერძო ბრალდებაზე ან ბოლომდე მხარი დაუჭიროს ბრალდებას. თუ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ განჩინების (დადგენილების) გამოტანის შემდეგ გაირკვა, რომ ამის საფუძველი არ არსებობს, პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია. გააუქმოს ეს პროცესუალური აქტი.

დაზარალებელს (ან მის უფლებამონაცვლეს) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 69-ე მუხლი აძლევს ფართო უფლებამოსილებებს. მას უფლება აქვს:

ა) მიიღოს განმარტება თავის უფლება-მოვალეობათა შესახებ;

ბ) მისცეს ჩვენება და განმარტება;

გ) განაცხადოს აცილება;

დ) განაცხადოს შუამდგომლობანი მტკიცებულებათა გამოთხოვის, სასამართლო და საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების, საქმის გარემოებათა შემოწმებისა და სამართალწარმოების დროს წამოჭრილი სხვა საკითხების შესახებ;

ე) წარმოადგინოს მტკიცებულებანი;

ვ) საწინააღმდეგო აზრი გამოთქვას პროცესის მწარმოებელი ორგანოს მოქმედებაზე და მოითხოვოს მისი შეტანა საგამოძიებო მოქმედების ოქმში ან სასამართლო სხდომის ოქმში;

ზ) გაასაჩივროს პროკურორთან (საჩივრის უარყოფის შემთხვევაში – შემდგომ პროკურორიან) გამომძიებლის, პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება, ხოლო კანონით დადგენილ შემთხვევაში – სასამართლოში;

თ) პირისთვის ბრალდების წაყენების შემდეგ იცოდეს მისი არსი;

ი) მონაწილეობა მიიღოს თავისი შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში;

კ) წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ გაეცნოს საქმის მთელ მასალას, თავისი ხარჯით გადაიღოს ასლები, ამოიწეროს საქმიდან ყველა საჭირო ცნობა;

ლ) მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში სამართალში მიცემის სტადიაზე;

მ) მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განხილვაში: წარმოადგინოს მტკიცებულებანი და, ასევე, გამოიკვლიოს პროცესის სხვა მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებანი; გამოვიდეს კამათში და გამოთქვას აზრი ბრალდების დასაბუთებულობის, ქმედების კვალიფიკაციის, სასჯელის სახისა და ზომის, სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ;

ნ) გააასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი თუ სხვა გადაწყვეტილება სააპელაციო და საკასაციო წესით, ხოლო კანონით დადგენილ შემთხვევებში — ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო და გამოთქვას საწინააღმდეგო აზრი პროცესის სხვა მონაწილეთა სახიერებაზე;

ო) უფასოდ მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების, საბრალდებო დასკვნის, განაჩენის, სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი — თარგმნილი მისთვის გასაგებ ენაზე, თუ მან არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

პ) მისცეს ჩვენება და განმარტება მშობლიურ ან მისთვის გასაგებ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით;

ჟ) მონაწილეობა მიიღოს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოთა სხდომებში და დაიცვას იქ თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები;

რ) მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება;

ს) დაიბრუნოს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს საქმის საჭიროებისათვის დროებით ჩამორთმეული კუთვნილი ნივთები;

ტ) იცილოს წარმომადგენელი დაზარალებულად ცნობის მომენტიდან და სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ მომენტში უარი თქვას მის მოთხოვნებზე;

უ) გათავისუფლდეს ადვოკატ-წარმომადგენლის შრომის ანაზღაურებისაგან დაზარალებულის სავალდებულო დაცვის შემთხვევებში (სსსკ-ის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილი);

ფ) პროცესის მწარმოებელ პირს მოსთხოვოს დაცვის ღონისძიებათა ჩატარება, თუ საფრთხე ემუქრება როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავების სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და საკუთრებას.

გარდა უფლებებისა, დაზარალებულს (ასევე, მის უფლებამონაცვლეს) აქვს მოვალეობები (სსსკ-ის 70-ე მუხლი). კერძოდ, იგი ვალდებულია, გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით, გულახდილად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმის გამო იცის და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს; არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი ინფორმაციები, თუ იგი აძლევს შესახებ გაფრთხილება საქმის მწარმოებელმა ორივენიმ: დაიცვას კანონით დადგენილი წესი წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში. დაზარალებულს არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, იგი შეიძლება იძულებით მოიყვანონ. დაზარალებულს ცრუ ჩვენების მოცემისათვის ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის

სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად. სისხლის სამართლის საქმე ასეთ შემთხვევა'ში შეიძლება აღიძრას განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. დაზარალებულის შემოწმება, ექსპერტიზა – დაკავშირებული გა'მიშვლებასთან, აგრეთვე, სირცხვილის გრძნობის გამომწვევი სხვა მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ დაზარალებულის თანხმობით.

დაზარალებულის ინტერესებს, წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში, წარმოადგენს და იცავს დაზარალებულის წარმომადგენელი ადვოკატი. 2005 წლის 25 მარტის კანონით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლში ცვლილების შეტანამდე, ადვოკატების რიცხვი განსაზღვრული იყო არა უმეტეს სამით. ამ ცვლილებით მათი რაოდენობა არ არის ლიმიტირებული.

71-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს დაზარალებულის სავალდებულო დაცვის შემთხვევებს. ეს ის შემთხვევებია, როცა იგი არასრულწლოვანი, ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანია, ანდა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, არ შეუძლია დაიცვას თავისი ინტერესები. ასეთ შემთხვევებში ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა. პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია, უზრუნველყოს ასეთი დაზარალებულის საქმეში ადვოკატის მონაწილეობა დაზარალებულის ინტერესების დასაცავად, რომლის ხარჯებსაც სახელმწიფო ანაზღაურებს დადგენილი წესით. დაზარალებულის ინტერესების შეიძლება დაიცვას, აგრეთვე, მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა. ასეთ შემთხვევებში, ასევე, ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს წარმოეშობა იძულებითი დაცვის უფლება, ვინაიდან 81-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, დაზარალებულის ან სამოქალაქო მოსარჩელის ინტერესების მისი წარმომადგენელი ადვოკატის მიერ დაცვა ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელისთვის წარმოშობს იძულებითი დაცვის უფლებას.

გადახდისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, რომელსაც გასცემს ადგილობრივი თვითმართველობის ან მმართველობის ორგანო, სახელმწიფო უზრუნველყოფს არასმქონე დაზარალებულის ინტერესების წარმომადგენლად ადვოკატის მოწვევას სახელმწიფოს ხარჯზე. გადახდისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, დაზარალებულისათვის სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროცესის მწარმოებელი ორგანო. კანონიერ წარმომადგენელს, თავის მხრივ, უფლება აქვს, მოიწვიოს ადვოკატ-წარმომადგენელი. დაზარალებულს უფლება აქვს, უარი თქვას წარმომადგენელზე, მაგრამ ორგანომ, რომელიც პროცესს აწარმოებს, შეიძლება არ მიიღოს უარი, თუ დაზარალებული არასრულწლოვანი, ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანია, ანდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დაიცვას თავისი ინტერესები. დაზარალებულის წარმომადგენელს აქვს დაზარალებულის უფლებები, გარდა იმ უფლებებისა, რომლითაც, ამ უფლების ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ თვით დაზარალებულმა. დაზარალებულის წარმომადგენელს, ასევე, ეკისრება დაზარალებულის მოვალეობები. დაზარალებულის წარმომადგენელს უფლება არა აქვს, იმოქმედოს დაზარალებულის ინტერესების საზიანოდ. დაზარალებულის წარმომადგენელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა წარმომადგენლობა ხორციელდება დაზარალებულის ნებისგან დამოუკიდებლად, არა აქვს უფლება, მისი თანხმობის გარეშე დაეთანხმოს უარს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტაზე, პროკურორის უარს ბრალდებაზე ან ბრალდების შეცვლაზე, უარი თქვას

სარჩელზე. შეამციროს სარჩელის თანხა, მოურიგდეს, შეურიგდეს ბრალდებულს კერძო ბრალდების საქმეთა გამო, გაასაჩივროს განაჩენი და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილებანი ან უარი თქვას მათ გასაჩივრებაზე.

დაზარალებული საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში სარგებლობს სამოქალაქო მოსარჩელის სტატუსითაც, თუ მას უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი და თუ მან წამოაყენა მოთხოვნა ამ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სისხლის სამართლის საქმეზე სამოქალაქო სარჩელის წარდგენის გზით (სსსკ-ის 85-ე მუხლი). დაზარალებულის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობა ხდება სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს დადგენილებით (განჩინებით). სსსკ-ის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო სარჩელს წარადგენს პროკურორი. კერძოდ, იგი ვალდებულია წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი, თუ დანაშაულის ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად ზიანი მიადგა სახელმწიფოს. მას ასევე უფლება აქვს, წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი დაზარალებულის თხოვნით. სამოქალაქო მოსარჩელე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე, იურიდიული პირი. თუ დანაშაულის მსხვერპლი გარდაიცვალა დანაშაულის ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, სამოქალაქო მოსარჩელის უფლებებით შეუძლია ისარგებლოს გარდაცვლილის უფლებამონაცვლემ, რომელიც არის დაზარალებულის მემკვიდრე ან ლიკვიდირებული იურიდიული პირის უფლებამონაცვლე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლში მოცემულია სამოქალაქო მოსარჩელის ფართო უფლება-მოვალეობები. სამოქალაქო მოსარჩელეს შეიძლება ჰყავდეს წარმომადგენელი.

წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ის, რომ 2005 წლის 25 მარტის კანონით, სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა მთელი რიგი ცვლილებები და დამატებები, რომლებიც, ასევე, შეეხო დაზარალებულის პროცესუალურ-სამართლებრივ უფლებამოსილებებს. სსსკ-ის 426-ე მუხლის ცვლილებებამდელი რედაქციით, დაზარალებულს უფლება ჰქონდა, სამართალში მიცემის სტადიაზე დაეყენებინა შუამდგომლობა საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების თაობაზე. თუ სასამართლო ჩათვლიდა, რომ ეს შუამდგომლობა დასაბუთებული იყო, საქმეს აბრუნებდა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად. იმავე წესით საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნებას სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის შემდეგ ითვალისწინებდა 452-ე მუხლი. ასეთი გადაწყვეტილება შეეძლო მიეღო როგორც პირველი ინსტანციის, ასევე, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს.

საპროცესო კოდექსის აღნიშნული წესი საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების თაობაზე უკვე აღარ მოქმედებს. საპროცესო კოდექსში 2005 წლის 25 მარტის კანონით შეტანილი ცვლილების მიხედვით, დაზარალებულს უფლება არა აქვს, მოითხოვოს საქმის დაბრუნება დამატებითი გამოძიების სასატარებლად არც ერთი მოტივით. იგი არ არის უფლებამოსილი, დააყენოს შუამდგომლობა საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების თაობაზე, ხოლო პროკურორს ასეთი უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ერთ შემთხვევაში.

დღეს სასამართლო განხილვიდან საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნებას არეგულირებს 426-ე მუხლის პირველი ნაწილი (სამართალში მიცემის სტადიიდან) და 501-ე მუხლის მე-2 ნაწილი (იმავე საფუძვლით სასამართლო განხილვის დამთავრების შემდეგ). ასეთი შუამდგომლობა შეიძლება დააყენოს მხოლოდ პროკურორმა – ისიც ერთ შემთხვევაში, თუ იგი შუამდგომლობს

განსასჯელისათვის უფრო მძიმე ბრალდების წარდგენას. იგულისხმება, რომ შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო არ დააკმაყოფილებს მას. პროკურორის ასეთი შუამდგომლობა რომ საეალდებულო არ არის სასამართლოსათვის, გამომდინარეობს 536-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის შინაარსიდან, რომელიც საპროცესო კოდექსს დაემატა 2005 წლის 25 მარტის კანონით.

საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების შესაძლებლობა, მხოლოდ ამ ერთი საფუძველით, უდავოდ პროგრესულია, თუმცა, შესაძლებელი იყო სხვაგვარი სამართლებრივი გადაწყვეტა: შეიძლებოდა, პროკურორს მისცემოდა განსასჯელისათვის ახალი, უფრო მძიმე ბრალდების წაყენების მოტივით შუამდგომლობის დაყენების უფლება თვით სასამართლო პროცესზე. თუ სასამართლო დააკმაყოფილებდა ასეთ შუამდგომლობას, მას მიეცემოდა დრო ახალი ბრალდების წარსადგენად, ხოლო მხარეებს – თავიანთი პოზიციის მოსამზადებლად. ასეთი საკანონმდებლო ნორმის შემოღების შემთხვევაში, განსაკუთრებით განსასჯელს და მის ადვოკატს უნდა მიეცეთ საკმარისი დრო და საშუალება დაცვის პოზიციის მოსამზადებლად.

ამ წესის შემოღებას აქვს უპირატესობა საქმის პროკურატურისათვის დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დაბრუნებასთან შედარებით, იმ მხრივ, რომ იგი ხელს შეუწყობს სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, დაზარალებული არ მონაწილეობს საპროცესო შეთანხმების პროცესში (სსსკ-ის 679[1]-ე მუხლი). საპროცესო შეთანხმება იდება პროკურორსა და ბრალდებულს (განსასჯელს) შორის, ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობით, რომელსაც ამტკიცებს მოსამართლე (სასამართლო) განსჯადობის მიხედვით. 679[8]-ე მუხლის თანახმად, პროკურორი ვალდებულია, შეატყობინოს დაზარალებულს საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ. დაზარალებულს უფლება არა აქვს, გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება, მაგრამ შეუძლია მოითხოვოს მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო სარჩელის წარდგენის გზით.

<u>4) დაზარალებულის სამართლებრივი სტატუსი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის მიხედვით</u>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის მერვე კარის სახელწოდებაა: „სამოქალაქო სარჩელი და სუბსიდიური ბრალდება." ამ კარში მოცემულია დაზარალებულის ცნება და სხვა დებულებანი.

პროექტის მიხედვით, დაზარალებული არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის უფლებებიც უშუალოდ დაირღვა სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების შედეგად (მუხლი 392-ე). იურიდიული პირი პროცესში მონაწილეობს მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მეშვეობით. დაზარალებული ყველა შემთხვევაში ითვლება დასჯის მოთხოვნის უფლების მქონე პირად. საჯარო ბრალდების პროცესში დაზარალებულს უფლება აქვს სამოქალაქო სარჩელსა და სუბსიდიურ დევნაზე (სუბსიდიური ბრალდება და სუბსიდიური ბრალმდებელი). ორივე უფლებით სარგებლობა შესაძლებელია როგორც ერთდროულად, ასევე, ცალ-ცალკე – ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო და სასამართლო დაზარალებულს დაუყოვნებლივ აცნობებენ უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის პროცესში. მას, ასევე, განემარტება თავისი უფლებები და მისთვის საჭიროა ის შედეგები, რაც მის გამოუცხადებლობას ან მოვალეობათა დარღვევას შეიძლება მოჰყვეს.

სამოქალაქო მოსარჩელედ და სუბსიდიურ მდევნელად დაშვება ხდება დაზარალებულის შუამდგომლობის საფუძველზე. შუამდგომლობა შეიცავს განცხადებას, რომ დაზარალებული კუმულაციურად ან ალტერნატიულად:

ა. როგორც სამოქალაქო მოსარჩელე, კერძო სამართლებრივ მოთხოვნებს აყენებს, რაც სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებიდან გამომდინარეობს;

ბ. როგორც სუბსიდიური ბრალმდებელი, სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებისათვის პასუხისმგებელი პირის დევნასა და დასჯას მოითხოვს;

შუამდგომლობა გამოძიების დამთავრებამდე წარდგენილ უნდა იქნეს სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოში, შემდეგ კი იგი წარედგინება პირველი ინსტანციის სასამართლოს. პროკურორი გამოძიების დაწყების შემდეგ დაზარალებულს რაც შეიძლება სწრაფად განუსაზღვრავს შუამდგომლობის დაყენების ვადას. ამ ვადის გაშვება ნიშნავს უარს პროცესში მონაწილეობაზე.

სამოქალაქო მოსარჩელედ და სუბსიდიურ მდევნელად დაშვებაზე, გამოძიებისას გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი, ხოლო საბრალდებო დასკვნის შედგენისა და საქმის სასამართლოში გაგზავნის შემდეგ – პირველი ინსტანციით საქმის განმხილველი სასამართლო.

პროექტი განსაზღვრავს დაზარალებულის, როგორც მხარის, სამართლებრივ მდგომარეობას. სამოქალაქო მოსარჩელედ ან სუბსიდიურ მდევნელად დაშვების შემდეგ დაზარალებული ხდება მხარე. დაზარალებულის მიერ მხარის სამართლებრივი მდგომარეობის მიღების შემდეგ მისი, როგორც მოწმის, უფლება-მოვალეობანი არ იცვლება. სამოქალაქო მოსარჩელედ ან სუბსიდიურ მდევნელად დაშვების შემდეგ დაზარალებული არ არის ვალდებული, მონაწილეობა მიიღოს პროცესში. თუ იგი არ ისარგებლებს თავისი უფლებებით, პროცესი უწყვეტად გაგრძელდება.

სუბსიდიურ ბრალმდებელსა და სამოქალაქო მოსარჩელეს უფლება აქვთ, უარი თქვან თავიანთ უფლებებზე. მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ, წერილობით ან ზეპირად, რაც ოქმში უნდა დაფიქსირდეს, განაცხადონ ამის შესახებ. თუ უარი კონკრეტულად არ არის განსაზღვრული, მაშინ იგი მოიცავს დაზარალებულის ორივე სამართლებრივ მდგომარეობას. უარი სუბსიდიურ ბრალდებაზე მოიცავს, ასევე, სასჯელის მოთხოვნაზე შუამდგომლობის დაყენების უფლებას. უარი საბოლოოა.

დაზარალებულს შეიძლება ჰყავდეს წარმომადგენელი. მისი ინტერესები შეიძლება წარმოადგინოს რამდენიმე, მაგრამ არა უმეტეს სამმა ადვოკატმა. რწმუნებულებაში უნდა აღინიშნოს, ადვოკატი დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის რომელ სფეროს წარმოადგენს. შუამდგომლობის საფუძველზე დაზარალებულს უნდა დაუსახელონ ერთი ადვოკატი.

საჭიროების შემთხვევაში, შუამდგომლობის საფუძველზე დაზარალებულისათვის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო, თუ:

ა. ბრალდებულის მიმართ არსებობს საეალდებულო დაცვა
ბ. თუ საქმე, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, რთულია და ბრალდებულს ჰყავს დამცველი
გ. თუ სამოქალაქო სარჩელის არსებობის შემთხვევაში მიყენებული ზიანი მნიშვნელოვანია

პროექტი ითვალისწინებს წარმომადგენლობას პროკურატურის მეშვეობით. პროკურატურას, დაზარალებულის შუამდგომლობის საფუძველზე, უფლება აქვს, წარმოადგინოს სამოქალაქო სარჩელი. სხვა შემთხვევებში პროკურატურა წარადგენს სახელმწიფოს სამოქალაქო მოთხოვნებს ბრალდებულის წინააღმდეგ.

დაზარალებულის წარმომადგენელი სარგებლობს დაზარალებულის უფლებებით. გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანა, საჩივრის გამოტანა (უარი საჩივარზე), ბრალდებულთან სამართლებრივი დავის მორიგებით დასრულება საჭიროებს დაზარალებულის თანხმობას.

დაზარალებულს უფლება აქვს:
ა. ინფორმაციასა და განმარტებაზე;
ბ. საქმის მასალების გაცნობაზე;
გ. შეკითხვასა და აზრის გამოთქმაზე;
დ. დააყენოს შუამდგომლობა განსაკუთრებულ მტკიცებულებათა მოპოვების შესახებ.

დაზარალებული, როგორც სამოქალაქო მოსარჩელე, ამ უფლებებით სარგებლობს მხოლოდ სამოქალაქო სარჩელის ნაწილში, ხოლო სუბსიდიური ბრალდებისას კი – იმ ბრალდების ნაწილში, რომელიც უშუალოდ დაზარალებულის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას შეეხება. დაზარალებულის მიერ ამ უფლებების გამოყენება დაიშვება იმ პირობით, რომ ამით არ შეილახება ბრალდებულის დაცვის უფლება და პროცესი, კანონის შესაბამისად, ზომაზე მეტად არ გაჭიანურდება.

დაზარალებულს უფლება აქვს, გამოძიების დამთავრების შემდეგ გაეცნოს საქმის მთლიან მასალას. პროკურატურა, შუამდგომლობის საფუძველზე, დაზარალებულს გამოძიების დამთავრებამდეც უზრუნველყოფს საქმის მასალების გაცნობით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება პროცესის ინტერესებს. საქმის მასალების გაცნობაზე უარი საჩივრდება გამოძიების მოსამართლესთან.

დაზარალებულს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს მისი შუამდგომლობით ჩატარებულ ყველა დაკითხვაში ან, თუ პროკურორი საჭიროდ მიიჩნევს, სხვა მტკიცებულების მოპოვებაშიც. თუ მტკიცებულების მოპოვება უშუალო კავშირშია წარმოდგენილ სამოქალაქო სარჩელთან, დაზარალებული დროულად უნდა გამოიძახონ ამ მტკიცებულების მოპოვებაში მონაწილეობის მისაღებად იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელი არ არის, რომ მისი მონაწილეობით პროცესის ჩატარებას ხელი შეეშლება.

დაზარალებულს აქვს შეკითხვის, მოსაზრების გამოთქმისა და შუამდგომლობის დაყენების უფლება. დაზარალებულს, მისი პროცესში მონაწილეობის უფლების ფარგლებში. შეუძლია, ნებისმიერ დროს გამოთქვას თავისი მოსაზრება საქმის ირგვლივ და დასვას შეკითხვები. შუამდგომლობები უნდა დაერთოს საქმეს და მათზე მიღებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი საქმეს არ შეეხება.

დაზარალებულს ნებისმიერ დროს უფლება აქვს, დააყენოს შუამდგომლობა მტკიცებულებათა მოპოვების თაობაზე. თუ მოსალოდნელია სამოქალაქო სარჩელის ნაწილში მტკიცებულების დაკარგვა, იგი მოპოვებულ უნდა იქნეს დროულად. თუ საგამოძიებო ორგანო არ დააკმაყოფილებს შუამდგომლობას მტკიცებულების მოპოვების შესახებ, საგამოძიებო ორგანო ამ შუამდგომლობას წარუდგენს პროკურორს. პროკურორის უარი შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს. პროკურორის უარი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე შეიძლება გასაჩივრდეს გამოძიების მოსამართლესთან.

ბრალდებულს უფლება აქვს, დამცველთან ერთად, როგორც სამოქალაქო მოპასუხემ, სამოქალაქო სარჩელის ნაწილში იყოლიოს ადვოკატი. საჭიროების შემთხვევაში ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

პროექტი იცნობს სამოქალაქო მოსარჩელის უფლებამონაცვლეს. თუ დაზარალებული ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად გარდაიცვალა ან სამოქალაქო სარჩელის დაშვების შემდეგ გარდაიცვლება, მის ადგილს იკავებენ მემკვიდრეები რიგითობის მიხედვით. თანაბარი რანგის მემკვიდრეებს თავიანთი მოთხოვნები შეუძლიათ მხოლოდ ერთად წარმოადგინონ. სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლება აქვს იმ პირსაც, ვისაც, კანონის შესაბამისად, დაზარალებულმა დაუთმო თავისი მოთხოვნის უფლება.

პროექტი განსაზღვრავს სამოქალაქო სარჩელის წარდგენის სამართლებრივ გზას. დაზარალებულს შეუძლია, დანაშაულის ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად წარმოშობილი სამოქალაქო სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებიც ბრალდებულის წინააღმდეგ არის მიმართული, დააყენოს სისხლის ან სამოქალაქო სამართლებრივი წესით. მოთხოვნის დაყენებით განისაზღვრება, თუ სამოქალაქო სარჩელის განხილვის სამართალწარმოების რომელი წესი იქნება შერჩეული. სამოქალაქო სარჩელი წარმოებაში მიიღება იმ მომენტიდან, როცა მოსარჩელე სარჩელს დადგენილი ფორმით წარადგენს სისხლის სამართლის პროცესში. სამოქალაქო სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს ნებისმიერ დროს პირველი ინსტანციის სასამართლოში განაჩენის დადგენამდე. სამოქალაქო სარჩელის შეტანა ხდება წერილობითი ფორმით. მთავარ სხდომაზე სარჩელი შეიძლება გაცხადებულ იქნეს ზეპირად, რაც უნდა დაფიქსირდეს ოქმში. თუ სამოქალაქო მოსარჩელე სარჩელს პირველი ინსტანციის სასამართლოში მთავარი სხდომის დამთავრებამდე უკან გაიტანს, მას უფლება აქვს, წარადგინოს იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. სამოქალაქო მოსარჩელე, სარჩელის დაშვების შუამდგომლობასთან ერთად, წარადგენს სარჩელს იმდენ ეგზემპლარად, რამდენიც საჭიროა სასამართლოსა და მხარეებისათვის. სარჩელში ზუსტად უნდა იყოს მითითებული მიყენებული ზიანის ოდენობა, ასევე გარემოებები, რომლებიც ასაბუთებენ მის მოთხოვნას. მას უნდა დაერთოს არსებული მტკიცებულებები ან შუამდგომლობა მტკიცებულებათა მოპოვების შესახებ. მოსარჩელეს შეუძლია, ნებისმიერ დროს მის მიერ წარმოდგენილი მასალები შეავსოს და ახალი მტკიცებულებები დაასახელოს. შესაძლებელია, პირველი ინსტანციით განაჩენის დადგენამდე სარჩელი შეიცვალოს ან უკან იქნეს გაერთანილი. სამოქალაქო სარჩელი ჩაბარდება პროკურატურას, სამოქალაქო

მოპასუხე – ბრალდებულს და მის წარმომადგენელს. ბრალდებულს დაუყოვნებლივ ეძლევა შესაძლებლობა, თავისი მოსაზრება გამოთქვას სარჩელის შესახებ. მას მოგვიანებით უფლება აქვს, ნებისმიერ დროს განმეორებით გამოთქვას სარჩელზე აზრი.

ბრალდებულის მიერ სარჩელის ცნობა საქმეს დაერთვება და საბოლოო გადაწყვეტილებაში დაფიქსირდება.

პროკურატურა სამოქალაქო მოსარჩელეს განუმარტავს სარჩელის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით წარდგენის უფლებას. თუ პროკურატურა აპირებს საქმის შეწყვეტას, მან უნდა მიიღოს ზომები, რათა სამოქალაქო მოპასუხე და სამოქალაქო მოსარჩელე შეთანხმდნენ ზიანის ანაზღაურების თაობაზე. თუ პროკურატურა საქმეს შეწყვეტს ისე, რომ ზიანი არ იქნება ანაზღაურებული, იგი სამოქალაქო მოსარჩელეს განუმარტავს სარჩელის სამოქალაქო წესით წარდგენის უფლებას. პირველი ინსტანციით საქმის განმხილველი სასამართლო სამოქალაქო მოსარჩელეს განჩინებით განუმარტავს სარჩელის სამოქალაქო წესით წარდგენის უფლებას შემდეგ შემთხვევებში:

ა. დასჯის ბრძანების გაცემის შემდეგ;

ბ. საქმის შეწყვეტის შემდეგ;

გ. თუ ბრალდებული, რომელიც სამოქალაქო მოპასუხეა, გამართლებულ იქნა;

დ. თუ სასამართლო საქმეს შეწყვეტს და სამოქალაქო მოპასუხე და მოსარჩელე ვერ შეთანხმდებიან ზიანის ანაზღაურების თაობაზე;

ე. თუ სარჩელში არ არის მითითებული ზიანის ზუსტი ოდენობა და არ არის დასაბუთებული;

ვ. თუ სამოქალაქო სარჩელი პროცესს არსებითად ართულებს ან არსებითად იწვევს პროცესის წარმოების გაგრძელებას.

განჩინება არ საჩივრდება.

თუ სამოქალაქო სარჩელი სასამართლო სხდომაზე დასაბუთებული იქნება, სასამართლო აკმაყოფილებს მას განაჩენით. სასამართლოს უფლება აქვს, შემოიფარგლოს მხოლოდ მოთხოვნის საფუძვლით ან მისი ნაწილით და მოსარჩელეს განუმარტოს ღიად დატოვებული მოთხოვნის სამოქალაქო წესით წარდგენის უფლება. სასამართლოს უფლება აქვს, დაადგინოს, რომ განაჩენი სამოქალაქო სარჩელის ნაწილში წინასწარ აღსრულდეს. ასევე, სასამართლოს შეუძლია, გასცეს განკარგულება, რომ განაჩენი სამოქალაქო სარჩელის ნაწილში წინასწარ მხოლოდ იმ შემთხვევაში აღსრულდეს, თუ სამოქალაქო მოსარჩელე გირაოს შეიტანს. სასამართლოს შეუძლია, ასევე დაადგინოს, რომ განაჩენის წინასწარი აღსრულება სამოქალაქო სარჩელის ნაწილში შეჩერდეს, თუ ბრალდებული შეიტანს გირაოს სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით. სასამართლოს ეს გადაწყვეტილებები შეიძლება განჩინებით დამატებით იქნეს მიღებული, შეცვლილი ან გაუქმებული. სასამართლოს ეს გადაწყვეტილებები არ საჩივრდება. განაჩენით მიღებული გადაწყვეტილება სამოქალაქო სარჩელის ნაწილში უთანაბრდება სამოქალაქო წესით მიღებულ გადაწყვეტილებას. თუ სარჩელზე განაჩენით გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, იგი შეიძლება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით იქნეს წარდგენილი.

სამოქალაქო მოსარჩელეს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო სამოქალაქო სარჩელის ნაწილში გადაწყვეტილების მიღებაზე უარს იტყვის, არა აქვს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. თუ სასამართლო სამოქალაქო

სარჩელს დააკმაყოფილებს. ბრალდებულს, რომელიც სამოქალაქო მოპასუხეა, უფლება აქვს. განაჩენის ის ნაწილი, რომელიც სარჩელს შეეხება, გაასაჩივროს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება საჩივარზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს დახურულ სასამართლო სხდომაზე განჩინებით. თუ საჩივრის განხილვის შედეგად ბრალდებული, რომელიც სამოქალაქო მოპასუხეა, იმ ქმედების ჩადენაში. რომელსაც სამოქალაქო სარჩელი ეფუძნება, გამართლდება ან ამ ქმედებისათვის მას არ დაენიშნება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, ასეთ შემთხვევაში ამ ბრალდებულის მიმართ იმავდროულად გაუქმდება გადაწყვეტილება სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე (მაშინაც კი, თუ განაჩენის ეს ნაწილი არ გასაჩივრებულა). აღსრულება ხორციელდება იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც მოქმედებს სამოქალაქო გადაწყვეტილებათა აღსრულებისას.

ბრალდებულს, რომელიც სამოქალაქო მოპასუხეა, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო უფლება აქვს, საჩივრით მოითხოვოს განაჩენის გადასინჯვა სარჩელის ნაწილში არსებითად განსხვავებული გადაწყვეტილების მისაღებად. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს მთავარი სხდომის განახლების გარეშე განჩინებით.

პროექტი აწესრიგებს სუბსიდიური ბრალდების საკითხებს. სუბსიდიური ბრალმდებელია პირი, ვისაც ზიანი მიადგა შემდეგი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად:

ა) სსკ-ის 108-ე-116-ე მუხლებით გათვალისწინებული სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები;

ბ) სსკ-ის 117-ე-126-ე მუხლებით გათვალისწინებული ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები;

გ) სსკ-ის 137-ე-141-ე მუხლებით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები;

დ) სსკ-ის 142-ე-170-ე მუხლებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები;

ე) ასევე, ყაჩაღობა (სსკ-ის 179-ე მუხლი); ბანდიტიზმი (სსკ-ის 224-ე მუხლი); საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა (სსკ-ის 325-ე მუხლი); საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე თავდასხმა (სსკ-ის 326-ე მუხლი); მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით (სსკ-ის 329-ე მუხლი).

შედეგიან დელიქტებში პირის სუბსიდიურ ბრალმდებლად დაშვებისათვის საკმარისია ამავე ქმედების მომზადება ან მცდელობა.

მსხვერპლის გარდაცვალების შემთხვევაში, სუბსიდიური ბრალდების უფლება აქვთ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად გარდაცვლილის მშობელს, შვილს, და-ძმას, მეუღლეს.

გარდა ამისა, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას, პროკურატურას და სასამართლოს შეუძლიათ, დაზარალებული დაუშვან სუბსიდიურ ბრალმდებლად სხვა შემთხვევაშიც, თუ ქმედებას დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის მძიმე შედეგი მოჰყვა და დაზარალებულის მონაწილეობა პროცესში მისი ინტერესების განსახორციელებლად მიზანშეწონილია.

მსხვერპლის გაუფრთხილებლობით გარდაცვალების შემთხვევაში, სუბსიდიური ბრალდების უფლება აქვთ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად გარდაცვლილის მშობელს, შვილს, და-ძმას, მეუღლეს.

სუბსიდიური ბრალდების წესით დასჯად აქ ჩამოთვლილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა წრე შეიძლება შემცირდეს ან გაიზარდოს პროექტის საბოლოო ვარიანტში.

სუბსიდიური ბრალდება შეიძლება დაშვებულ იქნეს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. იგი შეიძლება დაშვებულ იქნეს განაჩენის გასაჩივრების შემდეგაც.

სუბსიდიური ბრალმდებლის პროცესში მონაწილეობის წესი ასეთია: საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ სუბსიდიური ბრალმდებელი სარგებლობს პროკურორის ყველა უფლებით. თუ სასამართლო აპირებს საქმის შეწყვეტას, სასამართლომ უნდა მოუსმინოს სუბსიდიურ ბრალმდებელს. საქმის შეწყვეტისას სასამართლო არ საჭიროებს სუბსიდიური ბრალმდებლის თანხმობას. სუბსიდიური ბრალმდებელი საბოლოო სიტყვას ამბობს კამათში პროკურორის გამოსვლის შემდეგ. დამცველის საბოლოო სიტყვის შემდეგ სუბსიდიურ ბრალმდებელს ერთხელ აქვს რეპლიკის უფლება.

სუბსიდიურ ბრალმდებელს უფლება აქვს, შეიტანოს საჩივარი პროკურორისაგან დამოუკიდებლად. მას უფლება არა აქვს, განაჩენი იმ მიზნით გაასაჩივროს, რომ მსჯავრდებულს სასჯელის ნაცვლად დაენიშნოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებები ან, პირიქით, ანდა მოითხოვოს მსჯავრდებულის გასამართლება იმ დანაშაულისათვის, რომელთანაც სუბსიდიურ ბრალმდებელს შემხებლობა არა აქვს. თუ სუბსიდიური ბრალმდებელი ან მისი წარმომადგენელი არ ესწრებოდა სასამართლოს მთავარ სხდომას, მას განაჩენის გასაჩივრების უფლება აქვს განაჩენის ჩაბარების მომენტიდან. თუ დაზარალებული მოითხოვს სუბსიდიურ ბრალმდებლად დაშვებას განაჩენის გამოცხადების შემდეგ განაჩენის გასაჩივრების მიზნით, განაჩენის გამომტანი სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას მისი სუბსიდიურ ბრალმდებლად დაშვების თაობაზე. სუბსიდიურ ბრალმდებლად დაშვების შემთხვევაში სუბსიდიურ ბრალმდებელს განაჩენი დაუყოვნებლივ უნდა ჩაბარდეს. შუამდგომლობა სუბსიდიურ ბრალმდებლად დაშვებაზე შეიძლება დაყენებულ იქნეს მხოლოდ განაჩენის გასაჩივრებისათვის გათვალისწინებულ ვადაში. თუ კანონი ითვალისწინებს, რომ საჩივარი დასაბუთებული უნდა იყოს, საჩივრის დასაბუთების ვადა იწყება განაჩენის მიღებიდან და მოიცავს ორ კვირას.

პროექტი არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმის დაბრუნების შესაძლებლობას დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად, მაგრამ შესაძლებელია ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა როგორც მსჯავრდებულის სასარგებლოდ, ასევე, მის საზიანოდ თვით სასამართლო პროცესზე საქმის არსებითი განხილვის დროს. შუამდგომლობის დაყენების უფლება აქვს დაზარალებულსაც. ამასთან, თუ მოსალოდნელია კვალიფიკაციის შეცვლა განსასჯელის საზიანოდ, ამის შესახებ უნდა განემარტოს დაცვის მხარეს, რომელსაც ეძლევა დრო დაცვის პოზიციის მოსამზადებლად. ასეთ შემთხვევაში, დაცვის მხარის შუამდგომლობით, შესაძლებელია სასამართლო გამოძიების განახლება და თავიდან ჩატარება.

5. დასკვნა

ჩვენს მიერ განხილულ იქნა დაზარალებულის მდგომარეობის პროცესუალურ-სამართლებრივი საკითხები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით და მისი ალტერნატიული გადაწყვეტის გზები. ქართული კანონმდებლობის მიხედვით, დაზარალებული სარგებლობს ფართო უფლებამოსილებით, რაც ნაწილობრივ შეიზღუდა 2005 წლის 25 მარტის კანონით, რომლითაც არსებითი ხასიათის ცვლილებები და დამატებები შეეიდა საპროცესო კოდექსში. ქართული კანონმდებლობით, დაზარალებულის უფლებები არ არის შეზღუდული. იმისათვის, რომ არ დაირღვეს ბალანსი, ერთი მხრივ. დაზარალებულის და, მეორე მხრივ, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის პროცესუალურ-სამართლებრივ მდგომარეობას შორის, ეფექტურობით, დაზარალებულის სტატუსი მომავალში კიდევ უფრო უნდა შეიზღუდოს, რომ აქით სისხლისსამართლებრივი დევნის უფლებამოსილებები უფრო მეტად სახელმწიფო ბრალმდებლის ხელში იყოს თავმოყრილი და სუბსიდიური დევნის განხორციელება რაც შეიძლება ნაკლებად იყოს შესაძლებელი.

დაზარალებულის როლი ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში

ანა დოლიძე
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე

შესავალი

ცალსახად ადვილია, გადმოიცეს დაზარალებულის ცნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით მოგვცემს საშუალებას, გავიგოთ, თუ რას ნიშნავს დაზარალებული სისხლის სამართლის სფეროში. თუმცა, ცხადია, ცნება ნაკლებად გამოხატავს ინსტიტუტის როლსა და მნიშვნელობას. მეორე მხრივ, ძალიან რთულია, მოკლედ გადმოიცეს ამ ინსტიტუტის დახასიათება ისე, რომ იგი, შესაბამისად, ობიექტურად აღნიშნავდეს ამ როლს, მნიშვნელობას და, ამავე დროს, გასაგები იყოს საზოგადოებისთვის. ამდენად, ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეიძლება, რათა შეძლებისდაგვარად თავი ავარიდოთ ამ საჩოთირო მდგომარეობას, არის ის, რომ დავაფიქსიროთ საკუთარი მოსაზრება დაზარალებულის ინსტიტუტის შესახებ. ამდენად, ჩემთვის დაზარალებული არის ის მამოძრავებელი ძალა, რომელიც წლების განმავლობაში აფხიზლებდა საქართველოს სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების კორუფციულ, ამორალურ და ინერტულ მანქანას.

დაზარალებულის ინსტიტუტის მიმართ, ფორმალური თუ ფაქტობრივი თვალსაზრისით, საქართველოში ყოველთვის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება იყო. თუმცა, უახლოეს წარსულამდე არ დასმულა საკითხი ამ ინსტიტუტის ყოფნა-არყოფნის შესახებ. 2004 წელს წამოწყებულმა სისხლისსამართლებრივი რეფორმის პროცესმა დაზარალებულის არსებობა ეჭვქვეშ დააყენა.

ვინაიდან კანონმდებლის პოზიცია ჯერჯერობით ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის, საჭიროდ ჩავთვალეთ, ჩვენეული მოსაზრება მოგვეწოდებინა დაზარალებულის ინსტიტუტის როლისა და მნიშვნელობის შესახებ და ამით გაგვეხსნა საჯარო დისკუსია, რათა ორივე მხარის არგუმენტაციის საფუძველზე კანონმდებლის ნება უკეთ ჩამოყალიბდეს.

შესაბამისად, სტატიის მიზანია, პასუხი გასცეს ორ კითხვას – ერთი მხრივ, როგორია კანონმდებლის დამოკიდებულება დაზარალებულის ინსტიტუტის მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმის პროცესში და, მეორე მხრივ, ჩვენი შეხედულებით როგორი უნდა იყოს ეს დამოკიდებულება.

აღსანიშნავია, რომ სტატია არ ეხება დაზარალებულისა თუ მსხვერპლის როლს მატერიალურ სისხლის სამართალში მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული სულ უფრო მეტად ხდება კონკრეტული დანაშაულის ცნებების ნაწილი, ხშირად კი დაზარალებულის ქცევა განაპირობებს დანაშაულის ჩადენისას პასუხისმგებლობისაგან განმათავისუფლებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობას. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ევთანაზიის დანაშაული, ასევე, ქორწინებაში გაუპატიურება, სადაც დაზარალებულად აღიქმება ქორწინებაში მყოფი მეუღლე. მატერიალურ სისხლის სამართალში დაზარალებულის როლი თავისთავად კვლევის საგანია და ამიტომ ამ საკითხს წინამდებარე სტატიაში არ შეეხებით.

აქედან გამომდინარე, სტატია ეძღვნება დაზარალებულის ინსტიტუტთან მიმართებით კანონმდებლის დამოკიდებულების გარკვევას საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, ასევე, ავტორის მოსაზრებებს, თუ როგორი უნდა იყოს ეს დამოკიდებულება საქართველოს დღევანდელობიდან გამომდინარე.

1. დაზარალებულის ცნება

დაზარალებულის მნიშვნელობის გასაგებად აუცილებელია, პირველ რიგში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული დაზარალებულის ცნების მიმოხილვა, ვინაიდან ავტორი ეყრდნობა შემდეგ მოსაზრებას – იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მომცველი და ფართოა დაზარალებულის ცნება და რამდენად შეესაბამება იგი საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, ვლინდება კანონმდებლის დამოკიდებულება ამ ინსტიტუტისადმი.

1998 წლის რედაქციით დაზარალებულის ცნება სამი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება:

1. დაზარალებული არის ფიზიკური პირი,
2. რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა
3. უშუალოდ დანაშაულის ან შეურაცხი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, ანდა, რომელსაც ასეთი ზიანი მიაყენა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებულმა პირმა.[2]

იმისათვის, რომ დადგინდეს, რამდენად შეესაბამებოდა ეს განსაზღვრება საერთაშორისო სტანდარტებსა თუ სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობისათვის დამახასიათებელ საერთო პრინციპებს, შევადაროთ ის იმ ძირითად

[2] მუხლი 68, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წლის 20 თებერვალი, საქართველოს პარლამენტის კანონი №1251.

საერთაშორისო დოკუმენტებში არსებულ ცნებებს, რომლებიც სწორედ აღნიშნული პრინციპების კოდიფიცირების საფუძველზეა შემუშავებული.

დანაშაულის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შედეგად დაზარალებულთათვის სამართლიანობის ძირითადი პრინციპების შესახებ გაეროს დეკლარაციის[3] I პრინციპი დაზარალებულს განსაზღვრავს, როგორც

> *"პირებს, ვისაც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად მიადგათ ზიანი – ფიზიკური და მორალური ზიანის, ემოციური ტკივილის, ეკონომიკური დანაკარგის ან ძირითადი უფლებების მნიშვნელოვნად შელახვის ჩათვლით – იმ ქმედების ან უმოქმედობის შედეგად, რომლებიც არღვევენ ქვეყნის შიგნით არსებულ სისხლის სამართლის ნორმებს – იმ ნორმების ჩათვლით, რომლებიც განსაზღვრავენ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას."*

ამავე პრინციპის საფუძველზეა შემუშავებული სისხლის სამართლის

საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის შესაბამისი მუხლი, რომელიც მიუთითებს, რომ დაზარალებულად მიჩნეულია:

1. ნებისმიერი პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფი, რომელსაც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, პირდაპირ ან არაპირდაპირ მიადგა ზიანი სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ ჩადენილი დანაშაულების შედეგად;
2. ზიანი მოიცავს ფიზიკურ ან მორალურ ზიანს, ემოციურ ტკივილს, ეკონომიკურ დანაკარგს ან უფლებათა მნიშვნელოვან შელახვას;
3. დაზარალებული, აგრეთვე, შეიძლება იყოს ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომელთაც მიადგათ პირდაპირი ზიანი.[4]

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ დეკლარაცია არ მოიცავს პირდაპირ მითითებას იმ შესაძლებლობაზე, რომ იურიდიული პირები ცნობილი იყვნენ დაზარალებულებად, თუმცა, პირველ ელემენტში არსებული მითითება, რომ პირები შეიძლება დაზარალდნენ კოლექტიურად, განიმარტა, როგორც დაზარალებულად იურიდიული პირების ცნობის შესაძლებლობა.

თუმცა, ამ მხრივ 1985 წლის დეფინიციასთან შედარებით რომის სტატუტში არსებული ცნება წინ გადადგმული ნაბიჯია, ვინაიდან ის პირდაპირ მითითებას მოიცავს, რომ საერთაშორისო სისხლის სასამართლოს წინაშე დაზარალებულად ცნობილი შეიძლება იყვნენ იურიდიული პირები.[5]

1998 წლის რედაქცია, ამ მხრივ, მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა საერთაშორისო სტანდარტებს, ვინაიდან იურიდიულ პირებს ართმევდა შესაძლებლობას, ცნობილიყვნენ დაზარალებულად.

თუმცა, 2004 წლის 13 თებერვალს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, მათ შორის, გაფართოვდა დაზარალებულის ცნება. 2004 წლის 13 თებერვლის ცვლილების შედეგად, ჩამოყალიბდა დაზარალებულის ახლებური ცნება.

68-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

1. „დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი,
2. რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი

---

[3] გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 40/34, 1985.
[4] მუხლი 15, რომის სტატუტი.
[5] იხ. ზემოთ გვ. 2.

3. მიადგა, უშუალოდ, დანაშაულის ან შეურაცხი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, ანდა, რომელსაც ასეთი ზიანი მიაყენა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებულმა პირმა."

როგორც ჩანს, დაზარალებულის ცნება გაფართოვდა, მან მოიცვა იურიდიული პირები და, შესაბამისად, ამ ცვლილების შედეგად მოხდა ერთი მიმართულებით საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მისადაგება საერთაშორისო სისხლის სამართლებრივ პრინციპებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიუთითებს – დანაშაულის მომზადების ან მდელობის ეტაპზე დაზარალებულად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ფიზიკური პირი, რომელსაც შეიძლებოდა მისდგომოდა ზიანი.[6] ასეთი შეზღუდვაც შესაბამისობაში მოდის რომის სტატუტის დებულებასთან, რომელიც მიუთითებს, რომ იურიდიული პირები ცნობილნი იქნებიან დაზარალებულად იმ შემთხვევაში, თუ მათ უშუალოდ მიადგათ ზიანი,[7] რაც გამორიცხავს იურიდიული პირების დაზარალებულად ცნობას დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიაზე.

გამომდინარე აქედან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილება შეესაბამება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს. თუმცა, არსებობს გარკვეული ასპექტები, რომლითაც საპროცესო ცნება განსხვავდება აღნიშნული პრინციპებისაგან.

ერთ-ერთი უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ცნება არ მოიცავს პირის ძირითადი უფლებების მნიშვნელოვან შელახვას, როგორც ერთ-ერთ ელემენტს დაზარალებულის ცნებისათვის ისე, როგორც ეს ზემოხსენებულ ორ საერთაშორისო დოკუმენტშია. მაგალითად, ერთი მხრივ, არსებობს კანონმდებლის მიდგომა, რომ ადამიანის უფლებათა თუნდაც მნიშვნელოვანი შელახვა არ წარმოქმნის დაზარალებულს ყარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი დარღვევა გამოიხატა ფიზიკურ, მორალურ ან ეკონომიკურ ზიანში. ზემოხსენებულ საერთაშორისო დოკუმენტებში კი არჩეულია განსხვავებული დამოკიდებულება და ძირითად უფლებათა შელახვა, თავისთავად, მიჩნეულია, როგორც ზიანის მიყენების ერთ-ერთი ფორმა.

შეიძლება არსებობდეს ამ განსხვავების რამდენიმე მიზეზი. ერთი შეხედვით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ნაკლებ ხარისხს ანიჭებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. თუმცა, თუ სისხლის სამართლის კოდექსში თავად დანაშაულის დისპოზიციებს გადავაელებთ თვალს, დავინახავთ, რომ კოდექსის ზოგიერთი ნორმა იცავს ადამიანის უფლებებს, როგორც თავისთავად ღირებულებებს და ახდენს ამ დარღვევების კრიმინალიზაციას ქონებრივი, მორალური თუ ფიზიკური ზიანის დადგენის მოთხოვნის გარეშეც. მაგალითისთვის, შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე ნორმა სისხლის სამართლის კოდექსის XXIII თავიდან, სადაც მოცემულია დანაშაულები, რომლებიც ბიძართულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ. საკმარისია 157-ე, 158-ე და 159-ე მუხლების დისპოზიციების მოყვანა. მოცემულ დებულებებში ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების

---

[6] მუხლი 68(3), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2005 წლის 1 მაისის მდგომარეობით.

[7] მუხლი 15, რომის სტატუტი.

დარღვევა. ფორმალური გაგებით, მიჩნეულია დანაშაულად, რაც პრინციპში სწორედ ზემოთ მოყვანილი დეკლარაციისა და რომის სტატუტში გადმოცემული ელემენტების შესაბამისია მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მითითებული დაზარალებულის ცნება ამ ელემენტს არ მოიცავს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება აღინიშნოს, რომ გარკვეული წინააღმდეგობა არსებობს თავად საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობას შორის – ერთი მხრივ, კანონმდებლობა არ აღიარებს დაზარალებულად მათ, ვისაც ძირითადი უფლებები მნიშვნელოვნად შეელახა, მაგრამ სახეზე არ არის მორალური, ფიზიკური ან ეკონომიკური ზიანი. ხოლო, მეორე მხრივ, თავად მატერიალური კოდექსი მოიცავს ისეთ ფორმალურ დანაშაულებს, რომელთა ხელყოფის ობიექტია ადამიანის ესა თუ ის უფლება.

იმისდა მიხედვით, თუ როგორია კანონმდებლის ნება, სასურველი იქნებოდა ერთი ან მეორე მიმართულებით მომხდარიყო კანონმდებლობის დახვეწა და აღნიშნული წინააღმდეგობის აღმოფხვრა. ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა პრაქტიკულად აღიარებს ადამიანის ძირითადი უფლებების ხელყოფას – როგორც ზიანის მიყენების ერთ-ერთ ფორმას – სასურველი იქნებოდა, რომ მომხდარიყო ამ მხრივ კანონმდებლობის დახვეწა და დაზარალებულის ცნება გაფართოებულიყო იმდენად, რომ პირები, რომელთა ძირითადი უფლებები მნიშვნელოვნად შეილახა, თავისთავად ჩაითვალონ დაზარალებულად მორალური, ფიზიკური და ეკონომიკური ზიანის დადგენის გარეშე. ამით მიღწეული იქნება ორმაგი შედეგი – ერთი მხრივ, მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შიგნით წინააღმდეგობების აღმოფხვრა და, მეორე მხრივ, მისი მისადაგება საერთაშორისო სისხლის სამართლის ძირითად დებულებებთან.

2. დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, დაზარალებულის უფლება-მოვალეობის თვალსაზრისით, თითქმის უცვლელია. დაზარალებულის უფლებათა ნუსხა გადმოცემულია სსსკ 69-ე მუხლში, თუმცა, იმისათვის, რომ საქართველოს კანონმდებლობა დაზარალებულის უფლებების მდგომარეობის მიხედვით შეფასდეს, განვიხილოთ, თუ რა მიმართულებით მიდის საერთაშორისო სამართალი.

დაზარალებულის ინსტიტუტს არ ცნობდა არც ნურემბერგისა და ტოკიოს და არც რუანდისა და იუგოსლავიის ტრიბუნალების პროცედურები და მათ, პრაქტიკულად, არავითარი უფლებები არ გააჩნდათ.[8] ეს მაშინ, როდესაც საერთაშორისო სისხლის სასამართლოს წინაშე მათ ორი ძალიან მნიშვნელოვანი უფლება აქვთ – პირდაპირ მიიღონ მონაწილეობა საქმეში და, ასევე, მოითხოვონ სასამართლოს მიერ მათ მიმართ განცდილი ზიანის ანაზღაურება.[9] მოკლედ, დაზარალებულის როლი შეიძლება გადმოიცეს სასამართლოს წესების 86-ე მუხლით: მათი ფუნქციების განხორციელების პროცესში სასამართლოს ორგანოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ დაზარალებულთა ინტერესები.[10] საერთაშორისო სისხლის სასამართლოს წინაშე

---

[8] F. Terrier. *The Procedure Before the Trial Chamber*, in the Rome statute of the International Criminal Court, A Commentary. Volume II, Oxford University Press, at 1317.

[9] C. Jorda. J. Hemptinne. *The Status the Role of the Victim*, in the The Rome Statute of the International Criminal Court, A Commentary. Volume II. Oxford University Press, at 1388.

[10] მუხლი 86, მტკიცების წესები და პროცესი.

დაზარალებულებს საკმაოდ ფართო უფლებამოსილებები გააჩნიათ – მათ შეუძლიათ, მოითხოვონ პროცესში მონაწილეობის მიღება მაშინვე, როგორც კი პროკურორი გამოძიების დაწყების გადაწყვეტილებას მიიღებს;[11] დაზარალებულებს უფლება აქვთ, ჰყავდეთ წარმომადგენელი,[12] მოითხოვონ სხდომაში მონაწილეობა, ასევე, დაკითხონ მოწმეები და ექსპერტები.[13]

როგორც კი საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის განვითარებას გადავხედავთ, რომელიც სახელმწიფოთა მრავალწლიანი შიდასამართლებრივი პრაქტიკის შეჯერების შედეგად იქმნება, დავინახავთ, რომ იგი, ცალსახად, დაზარალებულის როლის გაზრდის მიმართულებით ეითარდება. არგუმენტაცია ამასთან დაკავშირებით შემდეგია – დაზარალებულის მონაწილეობას წვლილი შეაქვს ჭეშმარიტების დადგენაში, სასამართლოს მიმართ ნდობისა და რწმენის განმტკიცებაში, კონფლიქტურ ასპექტებში ეროვნული თანხმობის ჰარმონიზაციებაში და, აგრეთვე, ელინდება, როგორც თავად დაზარალებულის დაკმაყოფილების ერთ-ერთი ფორმა.[14] თუმცა, დაზარალებულის როლის განსაზღვრისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვეპაროს აუცილებლობა, დაზარალებულის მონაწილეობამ არ უნდა დაარღვიოს პროცესის მხარეთა თანასწორობა და ხელი არ უნდა შეუშალოს ბრალდებულის უფლებას – მისი საქმე სასამართლოს მიერ "გონივრულ ვადაში" იქნეს განხილული.

იმისათვის, რომ განვსაჯოთ, თუ რა ადგილზე იმყოფება საქართველოს საპროცესო სამართალი დაზარალებულის როლის თვალსაზრისით, გთავაზობთ, მოკლედ მიმოვიხილოთ ორი, ამ მხრივ, რადიკალურად განსხვავებული ტრადიციების მქონე ქვეყნის: აშშ-ისა და გერმანიის ინსტიტუტები.[15]

მაშინ, როდესაც აშშ-ში თითქმის უგულებელყოფილია დაზარალებულის ინსტიტუტი და ერთადერთი სტატუსი, რომლითაც დაზარალებულს სასამართლოს წინაშე წარდგომა შეუძლია, მოწმის სტატუსია, გერმანიის სამართალი აღიარებს დაზარალებულს, როგორც სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელ მხარეს. გერმანიაში დაზარალებული გამოდის როგორც პარალელური (Nebenkläger) ან კერძო ბრალმდებელი (Privatkläger). როგორც პარალელური ბრალმდებელი, დაზარალებული თავად გამოდის პროცესზე პროკურორთან ერთად. გარდა ამისა, განსაკუთრებით წვრილმან საქმეებში კერძო ბრალმდებელმა შეიძლება მთლიანად შეცვალოს სახელმწიფო ბრალმდებელი. როგორც პარალელური ან კერძო ბრალმდებელს, დაზარალებულს აქვს ფართო უფლებები – დაკითხოს მოწმეები, იყოლიოს წარმომადგენელი, შეისწავლოს საქმე, მოითხოვოს სასამართლოს აცილება, წარმოადგინოს მტკიცებულებები და წარმოთქვას საბოლოო სიტყვა. ის დაზარალებულებიც კი, რომლებიც ვერ გამოდიან პროცესზე, როგორც კერძო ან პარალელური ბრალმდებლები, უფლება აქვთ, მიიღონ ინფორმაცია საქმეზე,

---

[11] მუხლი 53.1/2, რომის სტატუტი, მუხლი 91.2/3, მტკიცების წესები და პროცესი.

[12] მუხლი 89.1, მტკიცების წესები და პროცესი.

[13] მუხლი 91.2/3 მტკიცების წესები და პროცესი.

[14] Human Rights Watch Commentary to The Preparatory Commission on the International Criminal Court, Elements of Crimes and Rules of Evidence and Procedure, July 1999, at 23.

[15] ალბათ, სწორედ ამ ქვეყნებთან მიმართებით ყველაზე ნაკლებად შეიძლება იყოს ლაპარაკი ინსტიტუტების მონოლითურ გაგებაზე, ვინაიდან ორივე ქვეყანა ფედერალურია სახელმწიფო მოწყობის თვალსაზრისით და თითოეულ ფედერალურ ერთეულს საკუთარი სახესხვაობები გააჩნია, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება ქვეყნისათვის დამახასიათებელ საერთო პრინციპებზე საუბარი.

შეისწავლონ საქმის მასალები და იყოლიონ წარმომადგენელი სახელმწიფოს ხარჯზე.[16]

კონტინენტური სამართლის ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესი, ამ მხრივ, მეტ-ნაკლებად მსგავსია. დაზარალებულის ინსტიტუტს ფართო უფლებამოსილებები აქვს მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მას შეიძლება ოდნავ განსხვავებული უფლებები ჰქონდეს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ 2004 წელს განხორციელებულ ცვლილებებს, საქართველო მიეკუთვნებოდა იმ კონტინენტური სამართლის ქვეყანათა რიცხვს, რომელიც დაზარალებულს დამოუკიდებელ ინსტიტუტად აღიარებდა (*partie civile*).

თუმცა, ვინაიდან სტატიის ამოცანაა დაზარალებულის ინსტიტუტისადმი კანონმდებლის დამოკიდებულების გამოვლენა სწორედ რეფორმის პერიოდში, აუცილებელია, განვიხილოთ სისხლის სამართლის პროცესის ის ძირითადი ცვლილებები, რომლებმაც დაზარალებულის როლზე ყველაზე დიდი გავლენა იქონიეს. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, საპროცესო შეთანხმების შემოღებაა.

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი 2004 წლის 13 თებერვალს იქნა შემოღებული.[17] საპროცესო შეთანხმების დადებისას ხორციელდება სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულება,[18] რაც ბრალდებულისა და პროკურორის შეთანხმების საფუძველზე არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანაში გამოიხატება.[19] საპროცესო შეთანხმების დადებისას, დაზარალებულს არავითარი როლი არ აქვს მიკუთვნებული. იგი ჩამოცილებულია იმ ტრადიციულ როლს, რომელსაც დაზარალებული საქმის არსებითი განხილვისას შეიძლება თამაშობდეს. დაზარალებული ჩვეულებრივ მონაწილეობს საქმეში წინასწარი გამოძიებისას, თუმცა, ამ მონაწილეობას ყოველგვარი აზრი ეკარგება, ვინაიდან საპროცესო შეთანხმების დადებისას არ ხდება დაზარალებულის პოზიციისათვის რაიმე მნიშვნელობის მინიჭება. საპროცესო შეთანხმების დადებისას დაზარალებულის როლი მთლიანად გადაინაცვლებს სამოქალაქო პროცესში, ვინაიდან სპეციალურად იქნა მითითებული, რომ საპროცესო შეთანხმების დადება პირს არ ათავისუფლებს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან.[20] ამ ცვლილებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სწორედ ანგლო-საქსური სამართლის მიმართულებით წავიდა, სადაც დაზარალებულის ძირითადი ადგილი სამოქალაქო პროცესის საშუალებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაშია. ზოგჯერ სისხლის სამართლის პროცესის დასკვნით სტადიაზე სასამართლომ შეიძლება თავადვე გასცეს ბრძანება დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.[21] თუმცა, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი კიდევ უფრო შორს წავიდა და გენერალურ პროკურორს (ან მის მოადგილეს) მიანიჭა უფლება, განსაკუთრებულ შემთხვევებში, საპროცესო შეთანხმების დადებისას მიმართოს სასამართლოს ბრალდებულის გათავისუფლების შესახებ სამოქალაქო

---

[16] ბუფალოს სისხლის სამართლის ცენტრის კონფერენცია დაზარალებულებსა და სისხლის სამართალზე, 1998 წლის 12 სექტემბერი.

[17] 2004 წლის 13 თებერვლის საქართველოს კანონი №3287.

[18] მუხლი 15, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

[19] მუხლი 679[1], საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

[20] მუხლი 679[1] 8.

[21] ჟ. ვან დენ ვაენგარტი, რედ. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, 1993 გვ.98.

სამართლებრივი პასუხისმგებლობიდანაც.[22] სრულიად რომ არ ყოფილიყო უგულებელყოფილი დაზარალებულის უფლება – მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს.

საინტერესოა, რომ რამდენადაც საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის მეშვეობით დაუახლოვდა საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი ანგლო-საქსურ სამართალს, იმდენად მსგავსია წარმოდგენილი წინადადებები დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინების თაობაზე. ინგლისში სისხლისსამართლებრივ რეფორმაზე მომუშავე სამეფო კომისიამ ანგარიშში ჩამოაყალიბა რეკომენდაციები სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის ინტერესების უფრო ფართოდ წარმოჩენისათვის.[23] ანალოგიურად, აშშ-ში განიხილებოდა წინადადებები, რომ, მაგალითად, შეცვლილიყო განაჩენის ფორმულირება, რათა გამამართლებელი განაჩენი არ ტოვებდეს დაზარალებულის იგნორირების შთაბეჭდილებას. ამ წინადადების თანახმად, განაჩენი ორ ნაწილად უნდა დაიყოს – პირველ ნაწილში მითითებული უნდა იყოს, ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით, დაარღვია თუ არა ბრალდებულმა ესა თუ ის ნორმა, ხოლო მეორე ნაწილში უნდა მიეთითოს, რომ, ამის მიუხედავად, ბრალდებულის მიმართ გამოდის გამამართლებელი განაჩენი, ვინაიდან მისი ქცევა გამართლებული ან ნაპატიებია.[24] საქართველოს პარლამენტის მიერ 25 მარტს მიღებულ ცვლილებებზე მუშაობის დროს სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ შემუშავებულიყო ცვლილება, რომლის მიხედვითაც საპროცესო შეთანხმების დადების დროს აუცილებელი იქნებოდა დაზარალებულის თანხმობა. ერთი მხრივ, ასეთი შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გაზრდიდა დაზარალებულის როლს საპროცესო შეთანხმების დადების დროს და, პრინციპში, გარკვეულწილად დაუბრუნებდა კიდევაც მას პირვანდელ ადგილს სისხლის სამართლის პროცესში. მეორე მხრივ, პროკურატურის დღევანდელი ფაქტობრივი გაელენიანობის გათვალისწინებით, დაზარალებულის თანხმობა შეიძლება საპროცესო შეთანხმების დადების პროცესის მხოლოდ ფორმალურ ატრიბუტად ქცეულიყო. თუმცა, ამ მხრივ, მაინც ყველაზე რეალური იქნებოდა იმ დაზარალებულების პოზიცია, რომლებიც სიცოცხლის ან ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ყველაზე მძიმე დანაშაულების მსხვერპლნი ან, სულაც, უფლებამონაცვლეები არიან და, რომლებიც ისედაც ყველაზე პრინციპული პოზიციით გამოირჩევიან. საპროცესო შეთანხმების დადებაზე თანხმობის მიცემის აუცილებლობა ასეთი კატეგორიის დაზარალებულთა მხრიდან გამოიწვევდა პროტესტს და, შესაბამისად, იმის დიდ ალბათობას, რომ საპროცესო შეთანხმების დადება ვერ განხორციელებულიყო. ეს კი, თავისთავად, იქნებოდა როგორც დაზარალებულთა უფლებების, ასევე, ადამიანის ძირითადი უფლების – პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი მათ მიმართ სიცოცხლის და წამების დანაშაულის ჩამდენი პირები – დაცვის გარანტია.

ამგვარად, საწინააღმდეგო არგუმენტებით დასაბუთებული ნაკლოვანებების გათვალისწინებითაც კი, მაინც სასურველია ისეთი ცვლილების განხორციელება, რომელიც დაზარალებულს მეტ ბერკეტებს მიანიჭებს საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას.

---

[22] მუხლი 679[1] 9, სსსკ.
[23] სამეფო კომისიის ანგარიში, თავი 5, გვ 44 და თანამდევი.
[24] ფლეტჩერი, 1995 გვ. 180, 246.

თუმცა, მანამ, სანამ საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდება, შესაძლებელია, განმარტების მეშვეობით მოხდეს დაზარალებულის პოზიციების ინკორპორირება საპროცესო შეთანხმების დადების პროცესში.
ამ მხრივ, საინტერესოა ჩანაწერი, რომელიც მიუთითებს, რომ "ბრალდებულისათვის (განსასჯელისათვის) სასჯელის შემცირების ან ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი მხედველობაში უნდა იღებდეს *საჯარო ინტერესს*, ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმეს და ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის ხარისხს."[25]

დაზარალებულის პოზიციის მნიშვნელობის თვალსაზრისით, საინტერესოა, თუ რა იგულისხმება "საჯარო ინტერესში." ცვლილების თავდაპირველ რედაქციაში დასუსტებული იყო მისი მნიშვნელობა, როგორც ინტერესი, რომ მაქსიმალური ეფექტიანობით იყოს გამოყენებული სახელმწიფო რესურსები.[26] მოგვიანებით მომხდარი ცვლილებებით, საჯარო ინტერესის მნიშვნელობის დასუსტება ამოღებულ იქნა. შესაბამისად, დღესდღეობით საჯარო ინტერესი ბევრად ფართოდ შეიძლება იყოს განმარტებული და სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებასაც იძლევა.

ამ მხრივ, საინტერესოა, რომის სტატუტში არსებული "სამართლიანობის ინტერესის" განმარტება. სასამართლოს სხდომების გამართვის ადგილის გადასაწყვეტად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო მხედველობაში იღებს "სამართლიანობის ინტერესს."[27] "სამართლიანობის ინტერესი," აგრეთვე, მხედველობაში მიიღება საპროკურორო დისკრეციის გამოყენებისას.[28] მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ პირდაპირ არსდაა მითითებული, მიჩნეულია, რომ "სამართლიანობის ინტერესი" დაზარალებულთა ინტერესებს გულისხმობს.[29] ანალოგიურად, ინგლისის ბრალმდებლის "ქცევის კოდექსი" მიუთითებს საჯარო ინტერესზე, როგორც მთავარ კრიტერიუმზე, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დევნაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას და განმარტავს, რომ დაზარალებულის ფაქტორიც საჯარო ინტერესის ნაწილს შეადგენს.[30]

საპროცესო შეთანხმების თავში მითითებული "საჯარო ინტერესი" შეიძლება განიმარტოს, როგორც პროკურორის ვალდებულება – მხედველობაში მიიღოს დაზარალებულის ინტერესები.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავდა, წარმოედგინა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროცესში წარმოშობილი ისეთი საკითხები, რომლებიც უშუალო ზეგავლენას ახდენენ დაზარალებულის როლსა და მნიშვნელობაზე სისხლის სამართლის რეფორმის პროცესში. როგორც ჩანს, კანონმდებელს მოცემული საკითხისადმი ერთგვაროვანი მიდგომა არ გააჩნია – მაშინ, როდესაც ფართოვდება დაზარალებულის ცნება, მკვეთრად მცირდება მისი მნიშვნელობა პროკურორსა და ბრალდებულს შორის საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობით, სადაც თითქმის არ ხდება თუნდაც ყველაზე მძიმე

---

[25] მუხლი 679[1] (6).
[26] მუხლი 679[1] (6), სსსკ 13 თებერვლის ცვლილებები.
[27] მუხლი 3(3), რომის სტატუტი, მუხლი 100(1), მტკიცების და პროცედურის წესები.
[28] მუხლი 53(1c), რომის სტატუტი.
[29] მუხლი 53(2

დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირის პოზიციის გათვალისწინება. ავტორის აზრით, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის, სამართლიანობისა და დაზარალებულის რეაბილიტაციის მიზნით, აუცილებელია, განხორციელდეს გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებები და პრაქტიკა წარიმართოს იმ მიმართულებით, რომ ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი დამოკიდებულება, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებს დაზარალებულის ინსტიტუტს.

სახელმძღვანელო ქართულ ენაზე მომზადდა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ
2005 წელი